


ისტორია

ერთვედი იუნივერსიტეტი
შესანიშნავი
ხელმისაწვდომი

ნოტ-დამი
ცეცხლში



20200000419712

იმპერატორის კარის მონასტრის
უკანასკნელი მავლიური

„50 პერსონა —
ეათ ჰექტოს
ისტორია“
თრიზ XXXIX
„კლატონი“

საბანკო-საფინანსო
რეფორმის პირველ
რესუბლიკაში

ტყავის ჩაფხუტების
პირამიდა

სტალინის ქალიშვილის
გაქვემდებრება სსრკ-დან

ქალი დეატაზი 1918-1921 წწ.
პოლეონი ლოურენსი
და არაბეთის აჯანყება

გამოიცანი, რომელი დიდი მხატვრის შედევრია



3



1. მოფილიანი
2. პლიმზი ✗ ვან გოგი
3. დალი
4. პიკასო
5. მონე
6. კლიმტი

თვეში ერთხელ „კვირის პალიტრის“ მკითხველს აქვს შესაძლებლობა სპეციალურ ფასად შეიძინოს ყველაზე მოთხოვნადი ნახატები და შექმნას შედევრების საკუთარი კოლექცია.


დაშვენე შენ სახლი ვან გოგის, რეშრანდტის, კლიმტის, მონესა და სხვა უდიდესი მხატვრების შედევრებით!

თუ გოგონიაში მსოფლიოში აიარებული ამ უდიდესი მხატვრების ტილოების საკუთარ კოლექციაზე უკვე შეგიძლია აიხდინო ეს ოცნება. შენ მიიღებ თრიგნიანთან მასტონებულ მასლის, რომელიც სპეციალურად შექმნილი უნიკალური ტექნიკით იმყენდება მაღალი ხარისხის ტლიუზე და გადამუშავის ხარისხზე. დევორებული ტროეტი დაბჭვდილია წელის უსაფრთხო საღებავებით.

უკვე დასახელდა 4 დიდი მხატვარი: ვან გოგი, ლეონარდო და ვინჩი, კლოდ მონე და სალვადორ დალი.

გადახდე 30 დიდი მხატვრის შემოქმედებას ქვემოთ მითითებულ ვებგვერდზე, პირადად შეარჩიე შენი სასურველი მხატვარი და მიეცი ხმა, რომ მათი ტლიუზი მოხდეს 12 წელულ მხატვარს მორის.


* ტილოების შექმნა შესაძლებელია პრესის გავრცელების წერტილებში და ბიბლუსის მაღაზიათა ქსელში.



6




7



10



12



18



26

საჩინო

მოქალაქე ემართ	
დეპორაციული დიიკიები	
აღიდურებისთვის	6
სახი ემართ	
ცოტრ-დამი ცეცხლის აღვი	7
ფოსტისამინის	
შრაპით წაცხოუტების პირამიდა	10
სახი ემართ	
„იმიტომ, რომ სახლია ვენი!“	11

პირველი ჩასახისების

ძართვები იქნენების გესანიანები	12
ტურქები	
კათოკი ჯილილის მინისახი	
პირველი ქართველი ორდენი (დასასრული)	18
ეპისტოლა ერევანის გენერალი	
გრიგორ როგაშიძის ზედილები	
პრიტანეთის მროველი	
პიპლიორთვიდან	26



29



36



40



48



55



79

საქართველო

პირველი ჩასეუბილის

საბაკო-საფინანსო რეზონანსი	29
დამოუკიდებელ საქართველოში	
პირველი ჩასეუბილი	
ძალი დგინდატანები	
საქართველოს	
დემოკრატიულ რესპუბლიკაში	36
კუთვალები მიღება მოხატვა	
კვრის მონასტრის უგანასკოდი	
მექლიფურები	40
ეონების მოსხია	
როგორც მომსხოვა	
როგორც მომსხოვა	48

სამიერი რაჩები

სტალინის ჩაღიმვილის გაქცევა	
სარგ-დან	55
პირველი ისტორია	
„ზოთმლი ეჭმავ“ და საქართველო	63
მოფიციონ სწორი ტაქჩები	
კარიჭის ცოტრ-დამი	71
ცენტრალური მხედარები	
კოლექტივი ლოურენსი და	
არაპატის აჯანყება	79
ჯეისების თავალასაცალი	
500 დღე და დამე მტრის ზურგი	85
საავორდი	90

**ჟურნალ „ისტორიანის“ ძველი ნომრების შექმნა შეგიძლიათ
„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში**

հՀԵՂԱՔՄԻՈՒՅ ԵՅԿՈ

ნოტრ-დამის ბრწყინვალე გოტიკური შენობა
აღმართულია კუნძულ სიტეზე პარიზის შუაგულ-
ში, მდინარე სენის ორ ტოტს შორის. ის აშენდა
პარიზის პირველი ქრისტიანული ეკლესიის —
წმინდა სტეფანის ბაზილიკის ადგილას, რომე-
ლიც, თავის მხრივ, გალურ-რომაული იუპიტერის
ტაძრის საძირკველზე აიგო. ნოტრ-დამის მშენებ-
ლობა დაიწყო ლუდოვიკ VII-ის ეპოქაში, პარი-
ზის ეპისკოპოს მორის დე სიულის ინიციატივით
პირველი ქვა საძირკველში 1163 წელს ჩადო პაპმა
ალექსანდრე III-მ, რომელიც იმ დროს პარიზში
იმყოფებოდა...

ასე იწყება ჩვენი უურნალის მკითხველისთვის კარგად ნაცნობი რებრიკა „მსოფლიოში ცნობილი ტაძრები“, რომლითაც ამ ნომერში პარიზის ღვთისშობლის ტაძრის ისტორიას მოგითხოვთ და უკვე მოგონებად ქცეულ არაერთ ფოტოს გთავაზობთ. მოგონებად იმიტომ, რომ უურნალის საბეჭდი მასალის სტამბაში გაგზავნის წინაღლების მსოფლიო პარიზის ნოტრ-დამის ხანძარმა შეძრა. უურნალის გარეკანზე ნოტრ-დამი სამხრეთიდან ჩანს დღეს უკვე ჩამოქცეული ცენტრალური შპილით. განადგურდა ცხრასაუკუნობრი შენობის კონსტრუქციისა და დეკორის დიდი ნაწილი, კოშკის საათი, ლითონის სახურავი ხის კარგასით. საბედნიეროდ, ხანძარს გადაუჩა 1860 წელს შექმნილი ბრინჯაოს 16 ქანდაკება, რომლებიც სარესტავრაციო სამუშაოების გამო ტაძრიდან გატანილი იყო. მეხანძრეთა თავანწირვით შესაძლებელი გახდა პარიზის ღვთისშობლის ტაძრის მთავარი კონსტრუქციის გადარჩენა. გადარჩა ტაძარში დაცული მაცხოვრის ეკლის გვირგვინი და წმინდა ლუის ტუნიკა.

საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის თქმით, ნოტრ-დამი რეკონსტრუქციის შემდეგ კიდევ უფრო ლამაზი იქნება.

ნოტრ-დამი არა მხოლოდ საფრანგეთის, არა-
მედ შეუ საუკუნეების ვეროპული ცივილიზაციის
სიმბოლოა და ბუნებრივია, რომ მის აღდგენა-
ში არა მხოლოდ საფრანგეთი, არამედ მოული-
მსოფლიო გამოთქვამს მონაწილეობის სურვილს.
ნოტრ-დამის ხანძარი მთელ მსოფლიოს კიდევ
ერთხელ შეახსენებს, რომ ისტორიულ მემკვიდ-
რეობას გაფრთხილება სჭირდება.



ნოტ-დამის სანძარი
მსოფლიოს პიყვ ერთხელ
შეასვენებს, რომ ისტორიულ
ერავი იდრეობას გატი
გაფრთხილებას აჭირდება...

ისტორიულ-შემცნებითი უურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშა

რედაქტორი გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბროშვილი, ოქროპირ ჯიქური,
ნინო ჯაფარიძე, ლიმიტრი სილვანე,
მიხეილ ბართიშვილი, შოთა მათიაშვილი, განახერ
გალიშვილი, ნიკოლოზ ხოტერია

კორექტორები:

ნანა მაჭუვარიანი

ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №41
+ 328 12 72, 328 02 45

სტატუსი: სამუშაო

ტელ: 237-78-07, 238-78-70

„ნალიტრამედიკის“ ცხელი ხაზი: **219-60-13; 219-60-53**
e-mail: contact@naltira.ge

ეურისტიკა შეგიძლიათ ინტერნეტით
კვბ-გვერდზე: www.elva.ge
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:

Fabs
22/2/25

ლიკიური ქალაქის,
მირას მცხოვრებია
ნეკროპოლი



ლიკიური დიკიონი მდიდრების თავის

თურქეთის ანტალიის პროვინციაში, ქალაქ დემრესთან ორ კილომეტრში, შესანიშნავად არის შემონახული კლდეზე აგებული ანტიკური ნეკროპოლი. მის ძირში ელინური თეატრის ამფითეატრია. ნეკროპოლი ააგეს მცირე აზიის უძველესი ქვეყნის — ლიკიის მცხოვრებლებმა ქალაქ მირადან. მისი ნანგრევები დამრეს გარშემოა შემორჩენილი. მირა ასევე ცნობილია როგორც ქალაქი, სადაც ცხოვრობდა და ქადაგებდა წმინდა ნიკოლოზი. მისი სარკოფაგი აქაურ წმინდა ნიკოლოზის ქრისტიანულ ტაძარში დგას (ძვლები იტალიელებმა ბარიში გადაასვენეს).

მირაში მთის ფერდობზე ადამიანთა და კრძალვა მც. IV საუკუნეში დაიწყეს. კლდეში ნეკროპოლის გამოკვეთა დიდ შრომასა და ხარჯს მოითხოვდა, ამიტომ აქ მხოლოდ შეძლებულ და გავლენიან მოქალაქებს კრძალავდნენ. თითქმის ყველა სამარხში ორი სათვასია და ერთ-ერთში სარკოფაგა მოთა-

ვსებული. აღსანიშნავია, რომ ყველა სამარხი ერთმანეთს კიბით უკავშირდება.

ლიკიულთა რწმენით, სიკვდილის შემდეგ ადამიანები ფრთხისას არსებებად გადაიცეოდნენ და რაც უფრო მაღლა იქნებოდა სამარე, მით უფრო სწრაფად მოახერხებდა გარდაცვლილის სული ზეცაში მოხვედრას. სწორედ ამიტომ აგებდნენ აკროპოლს მაღალ კლდეზე. კლდეში კვეთდნენ და რამე სხვა სამშენებლო მასალას არ იყენებდნენ. სარკოფაგებს სახლებს ან ელინური ტაძრების ფასადებს ამსგაფებდნენ თავისი პილონებით, კოლონებით, ნაკვეთი კარით, დაქანებული სახურავით თუ რელიეფური გამოსახულებებით.

VIII საუკუნეში მომხდარი დიდი წყალდიდობის დროს მდინარე მიროსმა ქალაქი შლამით აავსო და ადგილობრივი მკვიდრნი იძულებული გახდნენ, საცხოვრებლები იქ გადაეტანათ სადაც დღვენდელი ქალაქი დამრეს.

მომხადებულია history.com-ის მიხედვით

(მარცხნივ) ნეკროპოლის ფრაგმენტი. (მარჯვნივ) მირას ამფითეატრი



ნოტი-დამი ცეცხლის კლასი



პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის შპილი, რომელიც ხანძრისას ჩამოინგრა, შეიძლება პირვენდელი სახით აღარ აღდგეს. ეს საერთაშორისო კონკურსის შედეგებზე იქნება დამოკიდებული. „საერთაშორისო კონკურსის საშუალებით ჩვენ დაგადგენთ, საჭიროა თუ არა შპილის ზუსტად ერთი-ერთში აღდგენა თუ სკობს, ტაძარს ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი შპილი დაგჭენოთ“, — ამბობს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ედუარ ფილიპი.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის დიდი ნაწილი ძლიერმა ხანძარმა 15 აპრილს განადგურა. მათ შორის არის ჯვრის ფორმის გუმბათი აღმოსავლეთ ნაწილში და მასზე აღმართული ერთ-ერთი შპილი.

გადარჩა შენობის ძირითადი კონსტრუქცია, დასავლეთ ნაწილის მრგვალი სარტყელი — ვარდული და მთავარი ფასადის ორი კოშკი.

ცეცხლს გადაურჩა ნოტრ-დამის რელიკვიები, მათ შორის, იესო ქრისტეს ეკლისის გვირგვინი და წმინდა ლუის ტუნიკა. მეხანძრე-მაშველები ჰყვებიან, რომ ეს სახანძრო ბრიგადის კაპელანის, უან-მარკ ფურნიეს დამსახურებაა, რომელსაც საფრანგეთში უკვე მოიხსენიებენ პარიზის გმირად. სწორედ მან გამოიტანა ცეცხლში გახვეული ტაძრიდან ქრისტიანული რელიკვიები, მათ შორის იესო ქრისტეს ეკლისის გვირგვინი. „მას არაფრის შეშინება. პირდაპირ მივიღა რელიკვიებან“, — ყვება ერთ-ერთი მეხანძრე-მაშველი.

უან-მარკ ფურნიემ სიმამაცე 2015 წელს

საკონცერტო დარბაზ „ბატაკლანზე“ ტერორისტული შეტევის დროსაც გამოიჩინა, როცა ის დაჭრილებს ქმარებოდა.

პარიზის მერის, ან იდალგოს ინფორმაციით, შენარჩუნებულია ტაძრის საკურთხეველიც. როგორც მერმა თქვა, ყველაფერი არც ისე ცუდად არის, როგორც თავიდან შიშობდა.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ხანძრის შესახებ შეტყობინება სამაშველო სამსახურში, როგორც ონლაინგამოცემა BuzzFeed წერს, აალებიდან 23 წუთის დაგვიანებით, პარიზის დროით 18:43 შევიდა. არადა, ნოტრ-დამში პირველი სახანძრო განგაში 18:20 წუთშე ჩაირთო. სიგნალიზაციის ჩართვის შემდეგ ტაძრის აღმინისტრაციამ წირვაზე მყოფთა ეგაუზაცია დაიწყო, თუმცა თანამშრომლები მაინც ფიქრობდნენ, რომ ხანძრის მაუწყებელი სიგნალიზაცია შესაძლოა მართალი არ ყოფილიყო. მათ მხოლოდ მეორე სახანძრო განგაშის ჩართვის შემდეგ გაარკვიეს, რომ ტაძრის სახურავი იწვოდა.

ტაძრის სახურავი
მთლიანად დაიწევა



სანდრის ლოკალიზებასა და ცეცხლის კერების ლიკვიდაციას ასობით მეხანძრე-მაშველი რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდა. ვერ გამოიყენეს ვერტმფრუნები, რადგან იყო საფრთხე, საპაერო ჭავლს კონსტრუქცია სრულად ჩამოეშალა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა პირობა დადო, რომ გოტიკური საკათედრო ტაძარი, რომლის შენებლობა XII საუკუნეში დაიწყო და XIV-ში დასრულდა, მაღვე აღდგება. დაიწყო ტაძრის რესტავრაციისთვის შემოწირულობების შეგროვება და სანდრიდან ორ დღეში უკვე მიღიარდი ვერო შევროვდა. თანხას რიცხავნ მეცნატები, მსხვილი ფრნგული კომპანიები, პარიზის მერია, საფრანგეთის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები, მათ შორის საქართველოდანც.

ნიშანდობლივია, რომ პარიზის დეთისმშობლის ტაძარში გაჩნილი ხანძრის შემდგევიქტორ პიუგოს რომანის, „პარიზის დეთისმშობლის ტაძრის“ გაყიდვა გაიზარდა და წიგნი „ამაზონის“ ტოპათულში შევიდა. სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს არც არის გასაკვირი, რადგან ნოტრ-დამი არა მხოლოდ საფრანგეთის, არამედ შუა საუკუნეების ვეროპული ცვილიზაციის სიმბოლოა და მას ხანძარი შენოვალწინ ანადგურებდეს — ასეთი რამ თანამედროვე ადამიანის მეხსიერებისთვის უცხოა.

თემა ჯაფარიძე



(შემოთ) ჩაქცეული შპილის აღდილი ტაძრის ცენტრში. უკანა პლანზე მოჩანს გადარჩენილი საკურთხევები მუხლმოყრილი მეფეების ქანდაკებებით. (შემოთ მარც ხნის) სახანძრო ბრიგადის ქაბელანი უან-მარკ ფურნიე. (შემოთ მარჯვნივ) პარიზელების ლოცვა



ერისმარი საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

კალიტრა მელია გისმენი!..


📞 დარეკეთ: 219 60 13

✉️ მოგვწერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვირის კალიტრის“ („სიტყვა და საჭმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით

ტყავის ჩაფეზების პირამიდა



1919 წელს გადაღებულ ფოტოზე ნიუ-იორკის ცენტრალური რკინიგზის თანამშრომლები „გამარჯვების გზას“ დღესასწაულობენ. ეს ხდება პარკ ავენიუზე, ცენტრალური ტერმინალის წინ გერმანული პიკელპელმებისგან აგებულ პირამიდასთან. პიკელპელმი არის ტყავის ჩაფეზები შუბისებრი წვეტით რომელსაც XIX-XX საუკუნეებში ატარებდნენ გერმანელი, ინგლისელი და რუსი სამხედროები, პოლიციელები და მქანძრები. პიკელპელმები წმირად ასოცირდებოდა პრუსიულ და გერმანულ იმპერიულ არმიებთან.

პარკ ავენიუს პირამიდა 12 ათასი პიკელპელმისგან შედგებოდა. ჩაფეზები კარგასზე იყო დამაგრებული. ეს ჩაფეზები გერმანიის საწყობებიდან პირველი მსოფლიოს ომის ბოლოს გაგზავნეს, სხვა გერმანულ აღჭურვილობასთან ერთად. ხოლო „გამარჯვების გზა“ პარკ ავენიუზე სამხედრო სესხისთვის ფულის შესაკრებად დადგეს. აქ გამოფენილი იყო სხვა გერმანული სამხედრო ნადავლიც — მრავალრიცხოვანი დროშები, არწივები სვეტებზე, ზარბაზნები პირამიდის მარჯვნივ და მარცხნივ, ხოლო პირამიდის წვერს გამარჯვების ქალღმერთის ფიგურა ქმნიდა.

აღსანიშნავია, რომ ამერიკულ საზოგა-

დოებაში თავდაპირველად გაჩნდა ეჭვები ამ ღონისძიების მორალურ მხარესთან დაკავშირებით, რადგან არ იყო მითითებული, რომ ჩაფეზები საწყობებიდან იყო გამოტანილი და არა ბრძოლის ველიდან წამოღებული. ისინი ჯარისკაცებს არასოდეს ჰურუბიათ.

გერმანიაში პიკელპელმი 1914 წლამდე ტყავისგან შხადდებოდა. ომის გამო ქეყანაში ტყავის მარაგი მაღლ ამოიწურა და მისი გამოშვება ტყავის შემცვლელებისგან დაიწყეს. 1915 წელს ზოგი სახის პიკელპელმი ფოლადის თხელი ფურცლისგან შხადდებოდა, თუმცა სარდლობას სულ უფრო მეტი და მეტი სჭირდებოდა და მასალად ჯერ ქეჩის, შემდგა კი ქაღალდის გამოყენებაც დაიწყეს. ომის პირველივე თვეებში გაირკვა, რომ პიკელპელმი სანგრებში ბრძოლის ამოცანებს ვერ პასუხობდა — ნამსხერვებისგან პრაქტიკულად არ იცავდა, ხოლო ჩაფეზების წვეტი მფლობელს სულაც სამიზნედ აქცევდა. 1915 წელს შექმნეს მოსახლეობის წევტი, რომელსაც წინ ხაზზე არ იკეთებდნენ. 1916 წელს პიკელპელმი თანდათან ფოლადის ჩაფეზებით ჩანაცვლეს, რამაც თავში ჭრილობებისგან გერმანულ ჯარისკაცთა სიკვდილიანობა 70%-ით შეამცირა.

მომზადებულია history.com-ის მიერვით


„იმიტომ, რომ სახლია შენი!“

გინდათ გაიცნოთ სოფლელი ბიჭი, რომელსაც შეიძი პარასკევი აქეს? ან მენახირე, რომელიც დაუინებით დაეძებს ცხოვრების აზრს? შექვდეთ პრომეთეს, რომელმაც თავისი მძიმე ბორკილები გაბრიელ მთავარანგელოსობის დღეს აიწყვიტა? ან მენელსაც ხებლე დედებივით მოსიყვარულე ქალებს, ჩვენებურ და უცხოელ კაცებს, უცნაურად ნიჭიერ ბავშვებს, ლამაზებს, მახინჯებს, ჰქვიანებს, სულელებს, ერთგულებს, მოლალატებს... და კიღვა, გაეცნოთ უამრავ დაუჯერებელ ამბავს, მწერლის მიერ სრულიად განსხვავებულ ფილოსოფიურ-შემეცნებით პრიზმაში გატარებულს და იმგვარად დატანილს ფურცელზე... რატომ უნდა გაეცნოთ?.. — „იმიტომ, რომ სახლია შენი!“ ამ წიგნში უამრავ დაუჯერებელ ამბავს, თავგადასავალსა და ისტორიას გვასმენინებს მწერალი, ქმნის საკუთარ მხატვრულ სამყაროს, გვინახავს ადამიანურ ლირებულებებსა და შმობელ ქვეყნას.

„იმიტომ, რომ სახლია შენი!“ — ასე ჰქვია საქართველოს საპატრიიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, არქიმანდრიტ ადამის (ახალაძე) პროზაული ტექსტებისა და მოთხრობების ახალ წიგნს, რომლის წარდგინებაც ახლახან გაიმართა საქართველოს საპატრიიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

საღამოზე შესავალი სიტყვით გამოვიდა ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო გარდოსანიძე, მამა ადამის შემოქმედებაზე ისაუბრეს მაკა ჯოხაძემ, სალომე კაპანაძემ, მარინა ტურავამ, ლევან ბებურიშვილმა, ჯამლებ ხუხაშვილმა, ელენე სალარიძემ. მამა ადამის ნაწარმოებებიდან ნაწყვეტები წაიკითხეს მსახიობებმა ვახტანგ ახალაძემ და მაკა შალიკაშვილმა.

მაგა ჯოხაძე, მწერალი: „საოცარი ფენომენია მამა ადამი ჩვენს სინამდვილეში.“



ასეთები თითქოს ისტორიული წარსულიდან გვახსოვს. იგი ზარიყითაა, იმ ზარიყით, ჯონ დონის სიტყვებად რომ წააწერა პემინგუეიმ თავის რომანს „ვის უხმობს ზარი“. ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან მოკიდებული, როცა ჩვენს სალიტერატურო სივრცეში გამოდიოდა უურნალი „ჩვენი მწერლობა“, ჩაფიქრებული მქონდა დამწერა წერილი სათურით „ვის უხმობს მამა ადამის ზარი“. ზარი, რა თქმა უნდა, ჩვენ გვიხმობს, თითოეულ ჩვენგანს, ვინც სიყვარულის, რწმნის, სიტყვისა და სამშობლოს ფასი იცის. ამ წიგნით, ისე როგორც მოული თავისი დვწლითა და შემოქმედებით, მამა ადამი ცდილობს თვალი აუხილოს ადამიანებს და მაცხოვარი, როგორც გიომ აპოლინერმა აღმოაჩინა, როცა თქვა — „უამის გუგაში ბროლია იესო“ — სწორედ ეს ბროლი დაანახოს.

„იმიტომ, რომ სახლია შენი!“ — ამ წიგნითაც, როგორც მოული თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით, მამა ადამი ცდილობს თითოეული ჩვენგანი უძღები შეილივით საკუთარ სახლს დაუბრუნოს, ხალხი კი, როგორადაც ერთ დროს გვახსოვს, ისევ ერად აქციოს“.

„ისტორიანი“

ქართველი იუნივერსიტეტი შესაციცავი ხათაული



სენ-მექსანის
სკოლის
ქართველი
კურსანტები.
უკანა რიგში
ღვანან
ღვანან
(მარც ხნიდან
მარჯვნივ):
ფანე ვაჩაძე,
ნიკოლოზ
თოხაძე და
ალექსანდრე
კინწურაშვილი.
წინა რიგში
სხედას:
ალექსანდრე
ჯინჭარაძე
და გიორგი
ოდიშელიძე
(ნანა
ქვინიტაძის
საოცა ხო
არქივიდან)

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ოქტომბერისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, მთავრობისა და სამხედრო ელიტის ნაწილთან ერთად, ემიგრაციაში სამხედრო სკოლის კურსანტები — იუნკრუბიც წაყიდნენ. ემიგრაციაში მყოფი მთავრობა ცდილობდა, ქართველი ოფიცრები და იუნკრუბი ვეროპული სახელმწიფოების არმიებსა და სამხედრო სასწავლებლებში დაესაქმებინა. 1921 წლის ზაფხულის ბოლოს იუნკროთაგან შეირჩა ხუთი გამორჩეული კურსანტი: ფანე ვაჩაძე, ნიკოლოზ თოხაძე, ალექსანდრე კინწურაშვილი, ალექსანდრე ჯინჭარაძე და გიორგი ოდიშელიძე. მათ სწავლა უნდა განვითაროთ საფრანგეთში, სენ-მექსანის ქვეითთა სამხედრო სასწავლებელში. კურსანტებს რეკომენდაცია გაუწიეს და დახასიათება მისცა სამხედრო სკოლის უკანასწელმა მეთაურმა, პოლკოვნიკმა (მოგვიანებით პოლონერი არმიის გენერალი) ალექსანდრე ჩხეიძემ და ქართული არმიის მთავარსარდალმა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდში დაცული ეს დახასიათებები საინტერესო უნდა იყოს იუნკროთა ისტორიით და კონკრეტულად ამ პირთა ისტორიით დაინტერესებულთათვის.

ემორის გზა

სანამ უშუალოდ დახასიათებებს გავეცნობოდეთ, საინტერესოა თუ რა ბიოგრაფია უმაგრებდა ზურგს არჩეულ ხუთეულს 1921 წლის ზაფხულამდე.

იანე გარნაძე დაიბადა 1899 წლის 10 აპრილს სიღნაღის მაზრის სოფელ კარდენახში. 1917 წელს დაასრულა სწავლა კორონეჟის კადეტთა კორპუსში. სამხედრო სკოლაში შესვლამდე მსახურობდა ქართულ ჯარში, კერძოდ, სამთოცხნოსან ბატარეაში. სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომში, სადახლოს ბრძოლაში მონაწილეობისთვის დაჯილდოვდა წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ჯვრით. სამხედრო სკოლაში შევიდა 1919 წლის 1-ლ სექტემბერს. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის პერიოდში იყო იუნგრთა უფროსი კურსის ცხენოსანი განყოფილების უფროსი პორტუპეი-იუნგრი.

ნიკოლოზ თოხაძე დაიბადა 1901 წლის 12 იანვარს ოზურგეთში. დაასრულა თბილისის ქართული გიმნაზია 1919 წელს. სკოლაში სწავლის პერიოდშიც კი, 17 წლის ასაკიდან ის მსახურობდა ჯარში, კერძოდ მე-2 ცხენოსან რაზმში და აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში. 1918 წელს მონაწილეობა მიიღო აწყურის ბრძოლაში თხალთა წინააღმდეგ, იბრძოდა საჩხერისა და სოჭის მიმართულებით ბოლშევიკების წინააღმდეგ. ენგურთან ბრძოლაში გამოჩენილი სიმაგრისთვის დაჯილდოვდა წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ჯვრით, ხოლო სომხეთთან ომში, იურხარისერალის ბრძოლაში მიიღო მე-3 ხარისხის გიორგის ჯვარი. 1919 წლის 15 სექტემბერს შევიდა სამხედრო სკოლაში. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის პერიოდში იყო იუნგრთა უფროსი კურსის სარტილერიო განყოფილების იუნგრი.

ალექსანდრე კონტურაშვილი დაიბადა 1900 წლის 1-ლ აპრილს ქუთაისში. 1919 წელს დაამთავრა ქუთაისის მე-2 გიმნაზია. 1920 წლის 1-ლ სექტემბერს შევიდა სამხედრო სკოლაში. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის პერიოდში იყო უმცროსი კურსის მე-3 განყოფილების ქვეითი იუნგრი.

ალექსანდრე ჯინჭარაძე დაიბადა 1897 წლის 16 იანვარს ოზურგეთში. 1917 წელს დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. 1917 წლის 2 თებერვლიდან ჩაირიცხა რუსული არმიის 116-ე ქვეით სათადარიგო

პოლკში, ამავე წლის 3 მაისს გადაიყვანეს რუსული არმიის ქართველ დრაგუნთა პოლკში. 1918 წლის 2 თებერვლიდან გადაიყვანეს ქართული საარმიო კორპუსის მე-2 საარტილერიო ბრიგადაში. მონაწილეობდა ოსმალთა წინააღმდევ ახალგაზიარებალაქის მიმართულებით მძიდნარე ასპინძის, ახალგაზიარებასა და ციხიჯვრის ბრძოლებში. ორჯერ დაიჭრა ტევით მარცხენა ხელში. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში, შულავრისა და სადახლოს ბრძოლებში, რისოვისაც დაჯილდოვდა წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ჯვრით. 1919 წლის 14 ოქტომბერს დაითხოვეს არმიიდან, როგორც ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. 1920 წლის 8 სექტემბერს შევიდა სამხედრო სკოლაში. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის პერიოდში იყო უმცროსი კურსის მე-2 განყოფილების ქვეითი იუნგრი.

გიორგი ოდიშელიძე დაიბადა 1898 წლის 6 თებერვალს თულაგში. 1917 წელს დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია. ხუთ თვეს მსახურობდა ქართული კორპუსის შტაბთნ არსებულ ცხენოსანთა ასეულში. მონაწილეობდა ოსმალების წინააღმდევ 1918 წლის აპრილში ნატანებ-ჩოლოქის ბრძოლაში. ქართული კორპუსის დაშლის შემდეგ მსახურობდა თელავის მაზრის სამხედრო ბეგარის უფროსის სამართველოში. სამხედრო სკოლაში შევიდა 1919 წლის 1-ლ სექტემბერს. რუ-



გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე
გენერალი გიორგი ქვინიტაძე





კაპიტანი ნიკოლოზ თოხაძე 1936 წელს (თამარ კინსკის
(ამილახვრის) საოჯახო არქივიდან)

სეთ-საქართველოს 1921წლის ომის პერიოდში იყო იუნკერთა ქვეთი ასეულის ზემდეგი და იმაგლროულად, უფროსი კურსის იუნკერი.

ରୋଗରୁଙ୍କ କ୍ଷେତ୍ରାବତ, ଶେରକ୍କେଜୁଲ୍ଲି ନ୍ଯୂଆ
କ୍ୟାରିସାନ୍ତ୍ରିଡାନ୍ ଓତ୍କେ ସାମକ୍ଷେଦରି କ୍ୟାନ୍ଦାଶି
ଶେବ୍ଳାମ୍ବଦ୍ରେ ସାମାନ୍ୟ ଦିନିଧି ସାମକ୍ଷେଦରି ଗମନ୍ୟ-
ଦିଲ୍ଲେବା କ୍ୟାନ୍ଦା. ମିଲ୍କେବ୍ୟୁଲ୍ଲି କ୍ୟାନ୍ଦାତ ସାଧନ-
ମୋଲ୍ଲ କ୍ରୀତିଲ୍ଲବଦ୍ଧେବି ରା ମେଲ୍ଲବେବି. ସାମକ୍ଷେଦରି
ସାମିଲିସାରଥି ମାତ୍ର ନିର୍ଭେର୍ରୁଣ୍ୟ କାରଗାପ ହାନି ଟୁବ-
ଦାପ ଠି ଘାର୍ଫିଲିଦାନ୍, ରୋମ ନ୍ଯୂଗ୍ୟରିଟୀ ମାତ୍ରାନ୍ତି
କ୍ୟାନ୍ଦାକ୍ଷିର ଦାମତାଗର୍ଭବାମ୍ବଦ୍ରେ ରା ସାମକ୍ଷେଦରି-ସାମାନ୍ୟ-
ଦିଲ୍ଲେବ୍ୟୁଲ୍ଲ ଆସାନ୍ (20 ମେଲ୍ଲି) ମିଲ୍କେଜ୍ଵାମ୍ବଦ୍ରେ କୌ
ମ୍ବାକ୍ୟାନ୍ଦାକ୍ଷିର ଜାରିଶି.

გენერლები და იუნიტები

უფროსი პორტუგელი იუნკრი ვაჩაძე ფანე
ასლანის ძე, 22 წლისა, გაათვა საკადეტო კორ-
პუსი, სკოლაში შემოსავლამდინ მსახურობდა
ქართულ არტილერიაში. სამხედრო სკოლაში
გაატარა თითქმის ორი წელი. მშენდი, დინჯი,
თავდაჭერილი, ზრდილობიანი, პატიოსანი
და განვითარებული, სამხედრო საქმე უყვარს
და გულმოლებით სწავლობდა. უფროსებთან
იცავდა დისკიპლინას, ამხანაგებს უყვართ და
პატივს სცემნ, ფიზიკურათ, კარგათ განვითარე-
ბელია, კენტისანი ჯარის მოყვარული მიღებელი

აქვს რიგიანი მომზადება. ოშში გამოიჩინა მამაცობა. ლტოლვილთა ბანაკში ასეთივე დარჩა. საერთო გამოჩენილი იუნკრია. ღირსია საზღვარგარეთ წარკვლინების. საშშობლოს მოყვარეა და რეპსტაციის მომხრე.

პოლკოვნიკი ჩხეიძე
6 აგვისტო 1921 წ.

ჩემი მოწაფეა. დინჯი, წყნარი ქმაწვილია. ლილი ეურადლებით ეპყრობა სამხედრო საქ-
მეს. გადასტურებ ატესტაციას.

გენ. კვინიჭაძე
8 მარიამობისთვე 1921 წ.

օյց յերի տოնեածյ նօյոլութօ գոյորջուս
մյ. 22 წնուսա (Տօնամծցուլցի 20 წնուս. —
Հ. Տ.). Գատայցեցնալու այցես Տատաշանակայրո
գոմինանու, Տյոռլամու Շըմուսայլամծոն մեսակոյ-
րոնք վարույթ չարժու և այցես մուղեցնալու
գոյորջուս չարժու, Տյոռլամու ոյու տուժմուս որոն
Ելու, մյուպաճուներոնք և Տիվալոնք վարույթ Տամեյ-
լոր Տամեյս ցուրաձնեցնու, Տարիւլույրուս
Տամեյս մոմինացյա Տակմառու այցես մուղեցն-
լու. Տասաւուտ Տրուլուած և ամույցուցեցնու,
ցանցուտարույթուա, առ առու ց շուլա եջուունու,
ցանցուտիւ և ց զարույրուտիւ, տայցու օնթյերյուս
հայելացյերնի մալուա այցեցնու. Ամեանացյա ցու-
յուրույն Ցայցուան, Տյոռլուս լուրջունքուս პո-
րոնքեցնու տայցակուրուունու և ուսկցուածունուանո
ոյու, ցեղա ցու, լուրջուցուունու ձանակշու, Ցայցույց
և այցուրուրունք. լուրջուցուունու ձանակշու ցալու
լույշանու — տայցու ամեանացյա ցու 100
և եմուրած 150% մուսացյան. մուշեցայատ մուսա
որու հյոմցան, բոշուրու կոմենդունքուսացան, այր-
մալուու Ֆյունդա — հյոմատ լույշեցյա լույշանու
լուրունքաս, բասաւ Մյուցայատ մյուլունքաւ
կոնաձամ մուզցան. ցութիւյրատ Տայցույցուսու
ցանցուտարույթուա, Ցայցուլու և այնմերույղու

პოლკოვნიკი ჩხეიძე
6 აგვისტო 1921 წ.

ჩემი მოწაფეა. მაგის კარგბაში არ ვარ
დარწმუნებული, შეიძლება ჩაიდინოს რაიმე
ცუდი. საერთოთ კაი იუნკრი იყო, მაგრამ არა
ისტოი, რომ ჩაითვალოს პირველ ხელში. აქ

ჩაიდინა ზოგიერთი არა გარგისი თვისებები. ატესტაციას გადასტურებ.

გენ. კვინიტაძე
8 მარიამობისთვე 1921 წ.

იუნკერი კინტურაშვილი ალექსანდრე სიმონის ძე, 21 წლისა, გათავებული აქვს სათავადაზნაურო გიმნაზია, სკოლაში შემოსვლამდინ სამხედრო სამსახურში არ ყოფილა. სკოლაში იყო თითქმის ერთი წელი. გამოიჩინა დიდი ინტერესი სამხედრო საქმისადმი და საგნებისადმი. ძლიერ ნიჭიერია და განვითარებული, საშუალო ნიშანი ჰქონდა თითქმის 12, მშვიდი, თავდაჭურილი, დინჯი, ზრდილობიანი, უფროსებთან დისციპლინიანი, ამხანაგებს უყვართ, პატიოსანი და კეთილშობილი. ფაზიკურათ კარგათ განვითარებულია. საერთოო, გამოჩენილი იუნკერია. დირსია საზღვარგარეთ წარვლინებისა. სამშობლოს მოყვარუა და რესპუბლიკის მომხრე.

პოლკოვნიკი ჩხეიძე
6 აგვისტო 1921 წ.

ვიცნობ ცოტათ, რადგან უნცროს კლასისაა. ვიცნობ კაი მხრივ. ატესტაციას ვადასტურებ.

გენ. კვინიტაძე
8 მარიამობისთვე 1921 წ.

იუნკერი ჯინჭურაძე ალექსანდრე დავითის ძე. 24 წლისა, გათავებული აქვს ქართული გიმნაზია, სკოლამდინ მსახურობდა რუსის ჯარში და შემდეგ ქართულ ჯარში, იმში რამდენჯერმე იყო, ახალციხის ოში ორჯერ დაჭრილია. სომხებთან ოში მიღებული აქვს გიორგის ჯგური. იჩენს დიდ ინტერესს

სუბ-შექსანის სამხედრო სასწავლებელი



სამხედრო საქმისადმი, სკოლაში იყო თითქმის ერთი წელი, გამოიჩინა დიდი ნიჭი და განვითარება, საგნების ადვილათ სწავლობდა. უკანასკნელ ოში ღირსეულად იქცეოდა. მშვიდი, თავდაჭურილი, პატიოსანი და კეთილშინიანი. ფაზიკურათ კარგათ განვითარებულია. უფროსებთან დისციპლინიანია, ამხანაგებში კარგი მექონიკია. საერთოო, გამოჩენილი იუნკერია. ლირსია საზღვარგარეთ წარვლინებისა. სამშობლოს მოყვარუა და რესპუბლიკის მომხრე. პოლკოვნიკი ჩხეიძე
6 აგვისტო 1921 წ.

აგრეთვე ცუდათ ვიცნობ, რადგანაც უნცროსი კლასისაა. ვიცნობ მაინც კაი მხრივ. ატესტაციას ვდასტურებ.

გენ. კვინიტაძე
8 მარიამობისთვე 1921 წ.

ზემდეგი ოდიშელიძე გიორგი ზაქარიას ძე. 23 წლისა, გაათავა თბილისის 1-ლი გიმნაზია, სამხედრო სკოლაში შემოსავლამდინ მსახურობდა ქართულ ცხენოსან ასეულში, სამხედრო სკოლაში იყო თითქმის ორი წელი, თავიდანვე გამოიჩინა თავი, როგორც კეთილშინიანმა, შრომისმოყვარე და პატიოსანმა ახალგაზრდამ. როდესაც იქნა დანიშნული ზემდეგის თანამდებობაზე, საუკეთესოთ ასრულებდა თავის მოგალეობას და შემდეგში შეიქმნა გამოჩენილი უფროსი და ამხანაგი, იუნკრები სავსებით სცნობდნენ მის ავტორიტეტს და იმავე დროს იყვნენ საუკეთესო მეგობრები. დინჯი, მშვიდი, ზრდილობიანი, კეთილშობილი, პატიოსანი, განვითარებული,





გიორგი ოდიშელიძე მართოში, 1930-იანი წლები

შრომის მოყვარუ, და სავსებით დისციპლინის მქონე. ფზიკურათ კარგათ განვითარებულია. ლტოლვილთა ბანაკის პირობებში შეინარჩუნა ისვე ის თავდაჯერებულობა და ამითი იყორბდა და გარეშე ოფიცირების ყურადღებას. სამხედრო საქმის შესწავლას ეყრდნობოდა დიდი ყურადღებით და გულმოლგმთ, ქვეით ჯარის მოყვარუა. საერთოთ გამოჩენილი იუნკერია. ლირსია საზღვრებულო წარვლინებისა. სამშობლოს მოყვარუა და რესპუბლიკას მომხრე.

პოლკოვნიკი ჩხეიძე
6 აგვისტო 1921 წ.

ჩემი მოწაფეა, კარგათ ვიცნობ. ნიჭიერია და ადვილათ ითვისებს სამხედრო მეცნიერებას. გადასტურებ ატესტაციას.


გენ. კვინიტაძე
8 აგვისტო 1921 წ.

ჩხეიძისა და კვინიტაძის შერჩეულმა ხუთეულმა მათი ნდობა სავსებით გაამართლა, მათ შორის ყველაზე მეტად კი „ნაკლებად სანდო“

ნიკოლოზ თოხაძემ. (მის შესახებ იხილეთ ალექსანდრე მიქაბერიძის წიგნი “With Honor and Fidelity”: Life and Career of Colonel Nicolas Tokhadze (1901-1975) of the French Foreign Legion. Tbilisi. 2015. „ღირსებით და ერთგულებით“: საფრანგეთის უცხოური ლეგიონის პოლკოვნიკის, ნიჭილოზ თოხაძის (1901-1975) ცხოვრება და კარიერა“. — დ.ს.). ხუთეულები მათგანი გახდა ფრანგული არმიის უფროსი ოფიცერი, მსახურობდნენ საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში, მეთაურობდნენ სხვადასხვა დონის შენართულბს, იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომში, მიიღეს მრავალი სამხედრო ორდენი, ასწავლიდნენ სხვადასხვა სამხედრო საშვალებელში და ზოგიერთი მათგანი აქტიური სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ მსახურობდა მაღალი რანგის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე. ამასთანავე, აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში.

დოკუმენტი დოკამაპვ

ისტორიკოსი



პოლკოვნიკ
ნიჭილოზ
თოხაძის
საფლავი
ლეგიონის
ქართველთა
სასაფლაოზე

**განსაკუთრებული საჩუქარი
პვირის პალიტრის ერთგულ მკითხველს**

ლოცვანი

**შექმნილია სრულიად საჭართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის,
უძმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის
ლოცვა-კურთხევით**



**სპეციალური
ფასი
1150 ლ
გაზითთან
ერთად 13 ლ**

- წიგნი დაბეჭდილია სპეციალურ ქაღალდზე;
- ჩასმულია ელვაშესაკრავიან, თერმულად
დამუშავებული ტყავის ჩანთა-ყდაში;
- გაფორმებულია ოქროს გრავირებით.

29 აპრილიდან გაზით „პვირის პალიტრასთან“ ერთად

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ
ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ



პირველი ქართული ორდენი

სამხელო
ფილონს
თამარ მეფის
გამოსახულებით
ბასცემდნენ | და ||
მსოფლიო ომის
პირველი

(დასწესი იხ. „ისტორიანი“ №100)

თამარ მეფის ორდენის კავალერი შეიძლება გამზღვდარიყო ისიც, ვინც არ შედიოდა ლეიინში, მაგრამ რამე არსებით სამსახურს გაუწევდა გერმანულ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. ასეთთა შორის იყვნენ როგორც ქართველები, ასევე გერმანელები.

ამ ორდენის ქართველ კავალერთა საპატიო რიგში არიან: „სამუსლიმანო საქართველოს განმათავსუფლებელი კომიტეტის“ მეუკური მემედ აბაშიძე (1873-1937) და იმავე კომიტეტის წევრი ყადირ შერვაშიძე (1887-1919). ამ წარჩინების ნიშნით ისინი 1918 წლის 10 სექტემბერს, ბერლინში დაუკავშირდობიათ.

გაიცა სათანადო ოფიციალური დოკუმენტებიც, რომელთაც ხელს აწერენ „საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის უცხოეთში მოქმედი კომიტეტის“ წევრები: გოორგი კერისელიძე, მიხეილ წერეთელი, ალექსანდრე გოზალიშვილი და ზია ბეგ აბაშიძე (მემედ აბაშიძის ლვიძლი ბიძაშვილი).

საბუთში ვკითხულობთ: „მოსაგონებლად იმ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მიგიძლვით ჩვენს საქმეში, გვაქვს პატივი, მოგაწოდოთ სამსახური ნიშანი ქართველთა ლეიინისა. ნიშანი უნდა იტარებოდეს მექრდის მარცხნა მხარეზე ქვემოდან“.

მოჩეულობებულ ჩარჩოში ჩასმულ ამ საბუთზე, ტექსტის ზემოთ, ცენტრში გვხვდება

II ცალილი



თამარ მეფის
ორდენი

თამარ მეფის III ხარისხის ორდენის მსგავსი გამოსახულება.

მემედ აბაშიძისა და ყადირ შერვაშიძის თამარ მეფის ორდენით დაჯილდობების დამადასტურებელ საბუთებზე, ტექსტის ქვემოთ, მარცხნა მხარეს არის დასმული მრგვალი ბეჭედი წარწერით: „საქართველოს დამოუკიდებლობის პარტია. უცხოეთში მოქმედი კომიტეტი“.

თამარის ორდენის კავალერი იყო გამოჩენილი მამულიმევილი და შემდგომში ჩვენი ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი დავით (დათა) ვაჩიაძე (1884-1962). თავის მოგონებებში იგი წერს: „1918 წლს „გერმანულ და ქართულ შტაბებთან ერთად ვიღებ მონაწილეობას საქართველოს ჯარის ორგანიზაციის პროექტის შედგენაში. ოქტომბერში დაჯილდობული ვარ „თამარ მეფის ორდენით“ დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ“.

თამარის ორდენის ქართველ კავალერთა შორის ღირსეული ადგილი უკავა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თვალსაჩინო წევრს, ქართული ლეიინის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ინიციატორსა და ხელმძღვანელ ლეიო ჯრუსელიძეს. ბათუმელი მურად ნიუარაძე იგონებდა, რომ II მსოფლიო ომის დროს უნახავს „ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, არწივით მომზირალი თვალებით, მუდამ შემართული და დაუდგრომელი ბატონი ლეო რა სიამაყით ატარებდა ამ ორდენს. კარგად მახსოვს, ახალ

ლეგიონერებს გვესაუბრა მასზე. ჩვენი დიდი დედის — წმინდა თამარის ორდენი, ყველა ქართველს უნდა აღავროთოგანებდეს საშმობლოს თავის სუფლებისათვის ბრძოლაში“.

I მსოფლიო ომის წლებში, გერმანულ წყალქვეშა ნაცისტები, შევი ზღვის საშუალებით საქართველოში ზოგჯერ გადმოჰყავდათ დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები და გადმოჰყონდათ საომარი საჭურველი თუ ფული. ცნობილია, რომ 1916 წლის დასაწყისში ფოთის სიახლოეს გადმოსულა 12-კაციანი ჯგუფი, რომელსაც მინშენელოვან თანხასთან ერთად გადმოუტანია „რაღაც დოკუმენტები“ და მოსახლეობაში გასავრცელებელი საგანგებო მოწოდებები.

1917 წლის 8 ოქტომბერს, დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებმა მიხეილ წერეთლის მეთაურობით, გერმანული წყალქვეშა ნაით საქართველოში (ფოთისა და ანაკლიას შორის) საიდუმლოდ შემოიტანეს დიდაბალი იარაღი და ფული. ამ ოპერაციის წარმატებით გნხორციელებაში, კერძოდ, შემოზიდული იარაღის დაბინავებაში დიდი წვლილი შეიტანა სამეგრელოს მთავრის ყოფილმა მოურავმა. მისი დაჯილდოების ამბავი ამაღლელვებლად აქვს გადმოცემული მიხეილ წერეთლს. იგი იხსენებდა: „შევდით სახლში და მოგვებება პატრონი მისი, შესანიშნავი მოხუცი ნიკო ხორავა... მიყართვით თამარის ორდენი, რომელიც 1916 წელს ქართული კომიტეტისაგან იყო დაარსებული. ნიკო აიღო თამარის ორდენი, დახედა თამარ დედოფლის სურათს, განაპყრო ხელები და ოქვა სახარების სიტყვები: აწ განუტევე მონა შენი, უფალო, რამეთუ ვიზილე მაცხოვებაი შენი... თამარის ქვეყანაში, მისი ქვეწის განთვალისუფლებისათვის ხალხი მეწვია ჩემს ქოხში“. 1918 წელს თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვდა შემდგამი საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილალის დირექტორი, პროფესორი ალექსანდრე გრიგოლია (1879-1976), რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგთან, გაგრის მფლობელ პრინც ალექსანდრ ოლდენბურგთან და სხვა ცნობილ პირებთან.

თამარის ორდენებით ასევე დაჯილდოვდნენ ნიკო ნიკოლაძე (1843-1928) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის თბილისის გარნიზონის უფროსი, გენერალი სტეფანე გიორგის ძე ახმეტელი (1877-1922).



მისამართი
გიგანტები



მემედ აბაშიძე

დადარ
შერვაშიძე

თამარის ორდენის გერმანელ კავალერთა სათავეში დგას გერმანიის შეიარაღებულ ძალათა სახელოვნი მთავარსარდალი, გენერალური შტაბის ხელმძღვანელი გენერალ-ფელდმარშალი პაულ ფონ პინდენბურგი (1847-1934).

1917 წლის 29 ნოემბერს, ქართული ლეგიონის ერთი ნაწილის ოსმალეთიდან რუმინეთში გადაეცნისა და დაბინავების საქმეში გაწეული სამსახურისათვის, თამარის ორდენით დაჯილდოეს პრუსიის პრინცი ვოლდემარი, რომელიც ლეგიონს რუმინეთში ქრისტიანული მხადვებისათვის ბრძოლაში მოიწვია და მისი საბრძოლო მზადყოფნა დაათვალიერა.



დაჯით (დათა) ჭავჭავაძე
გენერალი სტეფანე ახმეტელი



დასაცულეთული ფირშების მიერ სხვადასხვა დროს დაშავებული თამარ მეფის ორდენის გზუმბდარები



თამარის ორდენით სხვადასხვა დროს დაჯილდოვდნენ: გენერლები ერთ ლუდნენდორფი და ოტო ფონ ლოსოვი, კაპიტანი ფონ დერ შულენბურგი (რომელიც მანამდე თბილისში გერმანიის კონსულად მუშაობდა), უფროსი ლეიტენანტი კურტ ფონ გალენი, ლეიტენანტი, დოქტორი მარტინ შედე, დოქტორი რ. ფრიშ კუდა და „რამდენიმე ავსტრიელი მოქალაქე“.

მას შემდეგ, რაც ქართული ლეგიონის დაშლა გადაწყვდა, ლეიტენანტმა, დოქტორმა მ. შედემ სოხოვა კონსტანტინოპოლიში მყოფ „გავკასიის ოფიცერთა კავშირის“ მეთაურ ფონ დერ შულენბურგს, რომ ლეგიონის ოფიცერთა შუამდგომლობის საფუძველზე, თამარის ორდენით დაეჯილდებინათ ყველა ლეგიონერი. ამის შემდეგ დაამზადეს თამარის ორდენები — თანხლები დოკუმენტებითურთ.

1918 წლის ივნისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით, თბილისში ჩამოვიდა ორი ბავრიული ათასეული (სულ 1800 კაცი) და გერმანის სამხედრო-დაბლომატიური მისია გენერალ ფრიდრიხ კრის ფონ კრესენშტაინის მეთაურობით. გერმანულმა ათასეულებმა დიდი დახმარება გაუწიეს საქართველოს თურქ დამპყრობელთა აღაგმებში, რომლებიც ისტორიული ქართული მიწა-წყლის მიტაცებას ლამობდნენ.

აღსანიშნავად, რომ ამ ათასეულებას ჩამოსვლამდე და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სამხედრო ტყვეთაგან და ქვემო ქართლში მცხოვრებ გერმანელთაგან სახელდახვლოდ ჩამოყალიბდა „ლანდგერის“ (სახალხო ლაშქრის) ტიპის რაზები, რომლებმაც შეძლეს ბათუმი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის თურქთაგან დაცვა.

გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის ცნობით, თურქებთან ბრძოლას შევწირა 14 გერმანელი ჯარის კაცი და 2 ოფიცერი.

ვიქტორ ნოზაძის (1893-1975) ცნობით, გერმანელები თავიანთ თურქ მოკავშირეებს 1918 წლის 13 ივნისს შეეტაკნენ მდინარე ხრამ-

თან (ბორჩალოს მაზრა), რასაც რამდენიმე მებრძოლი შევწირა.

ამრიგად, 1918 წლის ფნისიდან დეკემბრამდე, გერმანია და საქართველო ბუნებრივ მოკაფშირებს წარმოადგენდნენ. გერმანული ჯარი საქართველოში ამ ქვეყნის მთავრობის მოწვევით ისეიოფებოდა და შინაგანი სტაბილურობის მტკიცე გარანტი იყო. ასე გარდაიქმნა 1914-1917 წლებში არსებული გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი გერმანია-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსად 1918 წლის გაზაფხულიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ორიენტაციის გერმანიაზე აღება 1918 წლის გაზაფხულზე საკეთი გამართლებული იყო და შექმნილი ურთულესი ვითარებიდან ერთადერთ გამოსაყალს წარმოადგენდა, სამწუხაროდ, პირველი მსოფლიო ომის დასასრულმა სასიკვდილო განაჩენი გამოიუტანა საქართველოს მესვეურთა პროგერმანულ ორიენტაციას, რამაც უარყოფითი როლი შესრულა 1918 წლის მიწურულიდან ამიერკავკასიაში შემოსულ ინგლისურ ჯარებთან ურთიერთობაში.

საგულისხმოა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურები ერთობ დადგებით შეფასებას აძლევდნენ გერმანელთა ყოფნას საქართველოში.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარენოე უორდანია წერდა, რომ ქვეყნის სუვერენულ უფლებათა პატიისცემისა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის „დაუკიწყარა მაგალითი მოგვცა გერმანიის ჯარების სარდლობამ. ჩვენ — სოციალისტები და დემოკრატები, ისინი — მონარქისტები, აზნაურები. განსხვავება პოლიტიკური და იდეოლოგიური იყო დიდი. მიუხედავად ამისა, ჩვენი ურთიერთშორის დამოკიდებულება იყო ლიადური, მჯობრული, გულწრფელი“.

1918 წლის 28 ფნისს, ფოთში, საქართველოსა და გერმანიის რაიხს შორის გაფორმებულ მრავალ სხვა შეთანხმებასთან ერთად ხელი მოქმერა ფინანსურ შეთანხმებასაც. კერძოდ, საქართველოში იმხანად მიმოქცევაში მყოფი ღროებითი ფულადი ნიშნის — ამიერკავკასიის კომისარიატის ბორის პარალელურად, გერმანული მარკაც დაუშევს. ადგილობრივი და გერმანული ვალუტების პარალელური მიმოქცევა I მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამდე გრძელდებოდა.

ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი აღნიშნავდა, რომ გერმანელთა „გეგმა



საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის
ხელმძღვანელი კამიტეტის მიერ გაცემული სიგელი
სართული დაუბონას საპატიო ნიშნით ფრთხოის
კვრენი ფონ დე შულენბურგის დაკილდღიების
შესახებ. ხელს აწერენ ქართველთა კომიტეტის
თავმჯდომარე პატრიკ სურგულაძე და წევრები
(1917 წლის 1 მაისი, კონსტანტინოპოლის)

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებისათვის
ძალიან ფართო იყო და ყოველმხრივი“.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგორი ლორთქიფანიძე წერდა, რომ „საქართველოს მოკაფშირული გერმანულმა შენდრობამ“ ჩვენი სამშობლო თხმალეთის ურდოებისაგან იხსნა.

გენერალ შალვა მაღლაკელიძის თქმით,
პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული
გერმანიის უბედურება საქართველოს უბედურებაც იყო.

ზურაბ ავალიშვილი წერდა: „1918 წლის ზაფხულში გერმანია აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმრქმელი — ამ



„საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის უწმოებში მოქმედი კომიტეტის“ მიერ გაცემული სიგვალი ქართული დავითის საპატიო ნიშნით პაუპტმან ბოლო ფორ კიონიგის დაჯილდოების შესახებ. სერის აწერებ გიორგი მაჩაბელი, გიორგი კურუსელიძე და ალექსანდრე გოზალიშვილი

საქართველოს დემოკრატიული ორბეჭდილიკის სამსახურო
სამინისტროს 1918 წლის 13 დეკემბრის № 5352
ბრძანებით თამარ მეფის ორგანიზაციის დაჯილდოების
დოკუმენტი, დადასტურებული კავარაში
დასლოცირებული გერმანული ჯარის სარდლობის მიერ



დროს ამ როლის შესრულება ხელში იფეხოდა მხოლოდ მას. მისი მხარდაჭერით, ეს საკითხი საერთაშორისო მნიშვნელობას იძენდა“.

აღსანიშნავია, რომ გერმანელებმა საქართველოსადმი თავიანთი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების საჯაროდ გამოხატვაც სცადეს. კერძოდ, თბილისში მყოფმა გერმანული დელეგაციის ხელმძღვნელმა, გენერალმა კრუსენმტაინმა, თავისი ქვეყნის რაიხსკანცლერისადმი 1918 წლის 8 სექტემბერის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში საჭიროდ მიიჩნა საქართველოს მესევერთა გერმანული ორდენებით დაჯილდოება, რაც I მსოფლიო ომის საბედსწერო ფინალის გამო, ვერ განხორციელდა. გერმანელი გენერალი მიიჩნევდა, რომ სხვადასხვა ხარისხის ორდენებით თანამიმდევრობით უნდა დაჯილდოებულიყვნენ შემდგინველმძღვნელი პარტია: ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენეგვილი, ნოე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, გრიგოლ გიორგაძე, გიორგი უურული, ივანე ლორთქიფანიძე, იოსებ ბარათაშვილი, ასევე გენერლები ალექსანდრე გელეგანიშვილი და ალექსანდრე ანდრონიკაშვილი. გათვალისწინებული იყო ოპოზიციური ეროვნულ-დემორატიული პარტიის ლიდერის — სპირიდონ კედაისა და ამავე პარტიის წარმომადგენლის — თავად დავით (დათა) გაჩაძის დაჯილდოებაც.

გერმანელ მოკავშირებს არც ქართველები დარჩნენ გალში.

I მსოფლიო ომში გერმანის დამარცხების შემდეგ, საქართველოში მყოფი გერმანული მისია, თავისი ჯარის ნაწილებითურთ, იძულებული გახდა საშობლოში დაბრუნებულიყო. ქართველებმა მოკავშირები ლირსეულად გააცილეს. ინგლისელთან დასაცავად, მათ შატარებულს ფოთამდე გაპევა 30 რჩეული ქართველი ჯარის კაცი კაპიტან გიორგი აფხაზის მეთაურობით

საქართველოს დემოკრატიული ორბეჭდილიკის სამხედრო მინისტრის სამხედრო მინისტრის მოგალეობის შემსრულებლის, გენერალ ზაქარია მდივნის 1918 წლის 13 დეკემბრის № 5352 ბრძანებულების თანახმად, კერძა გერმანული სამხედრო პირი, რომელიც 1918 წლის 4 ნოემბრის შემდეგ იყო მოკოცებით დამატებული საქართველოში, მის წინაშე დამსახურებისათვის, იღებდა უფლებას ეტარებინა „წმინდა თამარის ორდენი“.

ამ ბრძანებულებიდან ნათელი ხდება, რომ 1918 წლის მიწურულს, თამარის ორდენმა სამახსოვრო ჯილდოს ფუნქცია შეიძინა.

ბრძანებულებაში უკვე გამოკვეთილად ჩანს

ქართული მხარის პრეზროგატივა ორდენით დაჯილდოებაშე, რაც მეტად საყურადღებო ფაქტია, რადგან მანამდე, ამ ჯილდოს გაცემა, ზოგჯერ გერმანიის გენერალის პოლიტიკურ სექციასთან შეთანხმებით ხდებოდა.

წენებული ბრძანებულება წაიკითხეს საქართველოში დისლოცირებულ კველა გერმანულ საჯარისო ნაწილში. ამას მოჰყვა ბარონ ფონ დერ გოლცის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, თამარის ორდენით დაჯილდოებულებს შეეძლოთ მიეღოთ მათი დაჯილდოების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი, ხოლო ორდენი შეეძინათ საკუთარი სახსრებით. დაჯილდოებულთ უფლება პქონდათ, ორდენები გერმანიაში, თავიანთი ხარჯით დაემზადებინებინათ.

ცნობილია, რომ თამარის ორდენით 2500 გერმანელი ჯარისკაცი და 300 ოფიცერი დაჯილდოვდა.

სამშობლოში დაბრუნებულმა გერმანელმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა მაღვევე დაიმშვენეს მკერდი ბერლინური ფირმების მიერ დამზადებული თამარ მეფის ორდენებით, თუმცა წარჩინების ამ ნიშნის საქართველოს სახელმწიფო ჯილდოდ აღიარება გერმანიაში საქმაოდ გაჭიანურდა.

1919 წლის 12 თებერვალს, გერმანიის საგარეო საქმით სამინისტრო აღნიშნავდა, რომ საქართველოს დე იურე ცნობამდე თამარის ორდენის სახელმწიფო ჯილდოდ აღიარება გერმანიაში შეუძლებელი იყო.

ამის საპასუხოდ, იმავე წლის 19 თებერვალს, ხენებული სამინისტროსადმი, მათივე თხოვნით გაგზავნილ წერილში, გენერალი კრესენშტაინი სავსებით მართებულად მიუთითებდა: „წმინდა თამარ მეფის ორდენებით დაჯილდოებამ ოფიცრებსა და ჯარისკაცებში დიდი სიხარული გამოიწვია. აღრმუნებული კარ, რომ მებრძოლთა დიდმა ნაწილმა საქმაოდ ძვირფასი ჯილდო მიიღო. ორდენის არცნობამ კი შესაძლოა მის კავალერთა იმედების მწარე გაცრუება გამოიწვიოს და ქართველები, რომლებიც დაჯილდოებისას საუკეთესო განხრახვით ხელმძღვანელობდნენ, უეპელად განაწყენდებიან. ამის ასაცილებლად, თავს უფლებას ვაძლევ, შემოგთავზოთ, რომ თუმცა ორდენის სახელმწიფო ჯილდოდ ცნობისაგან გერმანიის მთავრობამ ამჯერად თავი შეიკავა, მოგვიანებით, ეს ჯილდო მაინც უნდა ვალიაროთ, ხოლო მანამდე, წარჩინების ამ ნიშნებით

დაჯილდოება, სამხედრო სამინისტრომ თავის სათანადო დოკუმენტებში უნდა აღნიშნოს“.


1920 წლის 24 სექტემბერს, გერმანიის ხელისუფლებამ იურიდიულად აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლად არსებობის დღეები, სამწუხაროდ, უკვე დათვლილი იყო. 1921 წლის გაზაფხულზე, იგი საბჭოთა რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის მსხვერპლი გახდა....

თამარის ორდენის არსებობა საბჭოთა პერიოდის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახა. მათ შორის არის კონსტანტინე გამსახურდას რომანი „დიონისოს ლიმილი“, რომელიც პირველად 1925 წელს გამოიცა. ამ ნაწარმოებში, თამარის ორდენის სხვა გერმანელ კავალერთა შორის დასახელებული არიან ფალკნერისანი და მაკენზენი, რაც დოკუმენტურად ჯერ კვერდას დასტურდება.

თამარის ორდენის გერმანელი კავალერების ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, საქართველოდან წასვლის შემდეგაც სიამაყით ატარებდა ამ საპატიო ჯილდოს.

საინტერესო მოგონებას გვაწვდის მეორუმსიული ომის დროს გერმანელთა ტყვეობაში მყოფი, შემდგები ცონბილი უურნალისტი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც წერს: „აბა, რას ვიფაქრებდი, თუ ჰელლერულების გამდვინვარუბული ბრძოლის უამს მოულოდნელად ვნახავდი მახილე წერული (ცენტრში) მეობრუბთან ერთად

მახილე წერული (ცენტრში) მეობრუბთან ერთად





გენერალ-ფელდმარშალი ჰაუს ფონ ჰინდუნგი

გერმანულ უნიფორმაში ჩატარებულ ჯარისკაცს, რომლის მქრდის 1915 წელს საქართველოში დამზადებული თამარ მეფის ორდენი ეკვთა. ფრიად განვიციაფრდით, როცა იკუპანტებს ერთი ხნიერი მებადრაგე გამოყო, ქართველ ტყვეთა მცირე ჯგუფთან მოყიდა და საქართველოს ქება-დიდება დაიწყო მონძომებით და აღალად გვაგრძნობინა: ქართველებს სიმპათითა და პატივისცემით ვეყყრობიო. ალბათ ამიტომაც მოინდომა ამ ჯილდოს ჩვენება. თავისი ასეთი განწყობილების მიზებად ის დაასახელა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ნიადაგის მოშადებას პირველი შეოფლიო ომის პერიოდში მაშინდელმა გერმანიამაც გაუმართა ხელი. ცნობილია, რომ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით ქართულმა ჯარმა ბათუმი დაიბრუნა და როგორც მებადრაგებ განაცხადა, მაშინდელ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისთვის იგი თამარ მეფის მესამე ხარისხის თარდენით დაუჯილდოებიათ, რომ ელიც 1915 წელს საქართველოში მოიჭრა“.

თამარის ორდენი რომ დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ქართველთა, ასევე გერმანელთა შორის, ამაზე მეტყველებს მისი აღდგენის ფაქტი.

ამ საქმის ინიციატორები იყვნენ გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალების „მილიტრერატერი“ (სამხედრო მოჩვენელი),

ობერსტი (პოლკოვნიკი) შალვა მალლაგელიძე და გამოჩენილი მეცნიერი მიხეილ წერეული. შალვა მალლაგელიძე იგონებდა: „1942 წელს საქართველოს მისადაღმებთან ის გერმანული ჯარი იდგა, რომელშიც ბევრი ერთა ოფიცირები (ან ოფიცირები მერუ გახდნენ) იმ ბაგრატიული დღისზიდანაც, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1918 წელს. ბევრ მათგანს მაშინვე დაურიგდათ სამახსოვროდ ეწ. „თამარის ორდენი“ ჩვენი მთავრობისაგან, მაგრამ ბევრს ახლაც სურდათ. ამიტომ მე და მიხაკო წერეულმა... 1941 წელს ჩემი ხარჯებით ჩამოგასხმევინეთ ეს ორდენი და თითოეული ორდენის საბუთს მე და მიხაკო ვაწერდით ხელს. ბევრ მსურველს მივეცი აქ ეს ორდენი და მოვინანდირეთ მათი გული. გენერალი მაკეტენისათვის, ცნობილი სარდლის შვილისათვის, რომელიც 1918 წელს ბაგრატიულ დღისზიაში ლეიტენანტი იყო საქართველოში ყოფნისას და ახლა შტაბს ხელმძღვანელობდა, – მიხაკო მიუცია ეს ორდენი“.

1941 წელს აღდგენილი თამარის ორდენი გარეულად 1916 წელს დამზადებული თამარის III ხარისხის ორდენის მსგავსი იყო. ტექნიკური თუ ფინანსური თვალსაზრისით, მისი ამ სახით ჩამოსხმა ბევრად უფრო იოლი და ხელმისაწვდომი იქნებოდა, ვიდრე თამარის I და II ხარისხის ორდენების მსგავსისა, რომელთა მედალიონებსაც ბრილიანტების რკალი ჰქონდა შემოვლებული.

II მსოფლიო ომის დროს დამზადებულ თამარ მეფის ორდენსაც ჰქონდა საორდენო ბაფთა — სამკუთხედის ფორმის მომცრო შინდისფერი ლენტი თეთრი ფერის ვერტიკალური ხოლოებით.

1916 წელს დაწესებული თამარ მეფის ორდენით დაჯილდოება, როგორც ჩანს, შეწყდა 1918 წლის ბოლოს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ცნობა იმის თაობაზე, რომ 1918 წლის მიწურულიდან — 1941 წლამდე, ამ ორდენით ვინმე დაეჯილდოებინოთ. ეს კი იმან განაპირობა, რომ 1918 წლის 13 დეკემბერს, გერმანულ მოკაფშირეთა თამარ მეფის ორდენებით მასობრივი დაჯილდოებისა და ქართველ მამულიშვილთა ერთი ნაწილის მოხდომების მიუხედავად, ეს ორდენი მაინც ვერ იქცა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოდ შემდეგ მიზეზთა გამო:

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სათავეში მყოფი სოციალ-დემოკრატიული პარტია სერიოზულ უთანხმოებაში

იმჟოუებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან. ამდენად, კომიტეტის მიერ ჩამოყალიბებული ქართული ლეგიონის სამხედრო ჯილდოს — თამარ მეფის ორდენს ქართველი სოციალ-დემოკრატები „ოპოზიციურ ორდენად“ განიხილავდნენ.

2. ხსენებულ ორდენზე ბეთანიის მონასტერში გამოსახული თამარის ფრესკა იყო აღმოჩენილი. მარჯვის სტული მოძღვრებით გატაცებული სოციალ-დემოკრატები სრულ ინდიურენტიზმს ამჟავნებდნენ საქართველოს წარსულისადმი და ცხადია, რომ „ექსპლოატატორი მეფის“ სახელობის ორდენის სახელმწიფო ჯილდოდ გადაქცევას არ დაუშვებდნენ.

3. თამარ მეფის ორდენი, არსებითად, გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჯილდო იყო. 1918 წლის მიწურულს კი ეს ალიანსი დაირღვა და საქართველოში გერმანიის მოწინააღმდეგე ინგლისის ჯარი შემოვიდა. ინგლისელები საქართველოს I მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის მოკავშირე ქვეყნად განიხილავდნენ და თავიანთ დასაყრდენად კავკასიაში „ანტანტის“ ერთგულ დაშანაკურ სომხეთს მიიჩნევდნენ. ასეთ ვითარებაში, ამ ორდენის ქვეყნის სახელმწიფო ჯილდოდ ქცევა ისედაც დამაბულ ინგლისურ-ქართულ ურთიერთობებს კიდევ უფრო გაამწვევდა.

4. სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას ქვეყნის „აზიის შევიცარიად“ გადაქცევა სურდა, შევიცარიაში კი არ არსებობს არყითარი სახელმწიფო ჯილდო. ასე რომ, შევიცარიის მიბაძიოთ, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი სამწლიანი (1918-1921) მმართველობის განვითარებაში, არ იზრუნვეს ეროვნული ორდენებისა და მედლების დაწესებაზე. რაც შექმნა რუსულ საიმპერიო ჯილდოს — წმინდა გიორგის ჯვარს, რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატის, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხასახი გაიცემოდა შედრული მამაცობისათვის, ეს ჯილდო ხალხში უზარმაზარი ფერორიტეტით სარგებლობდა და მისი გაუქმება ხელისუფლებაში ვერ გაბედა.

აი, სწორედ ის მიზეზები, რომლებმაც 1918-1921 წლებში ხელი შეუშალეს თამარის ორდენის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოდ ქცევას.

1941 წელს აღდგენილი თამარ მეფის



გენერალი
ერიხ
ლუდვიგი



გენერალი
ოტო ფონ
ლოთოვი

ორდენით დაჯილდოება II მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ შეწყდა.

ამრიგად, თამარ მეფის ორდენის დაწესებისა და არსებობის ისტორია გადაჯაჭვულია I მსოფლიო ომში გერმანიის მხარეზე მებრძოლი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა და ქართული ლეგიონის ისტორიასთან, ხოლო ამ ჯილდოს აღდგენის ფატე 1941 წელს — უკავშირდება II მსოფლიო ომში ასევე გერმანელთა მხარდამსარ მებრძოლ ქართველ შედეგათა ისტორიას. ხსენებული წარჩინების ნიშნის კავალერთა შორის არიან როგორც გერმანელები, ასევე ქართველები. აქედან გამომდინარე, თამარის ორდენი, არსებითად, გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჯილდოა, თუმცა, ამავე დროს, იგი პირველი ქართული ორდენიც არის.

ნიკო პავლიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გრიგორ რობაქიძის

წერილი ბრიტანეთის
ეროვნული
ბიბლიოთის
ბიბლიოთის
ბიბლიოთის

წლეულს იანვარში შესაძლებლობა მომეცა
მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმდიდრეს
ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთუეკაში
(სამეცნიერო პროექტის „უცნობი
ინგლისური ისტორიული წყაროები
საქართველოს შესახებ — ტიუდორების
არქეო“ ფარგლებში). აქ დაცული
კოლექციები ზორად ფასდაუდებელ
ცნობებს შეიცავს გვიანი შუა საუკუნეების
საქართველოს შესახებ. თუმცა, ამჯერად
ყურადღებას გავამახვილებთ ცნობილი
ქართველი მწერლის, საზოგადო მოგვწისა
და პუბლიცისტის, თანამედროვე ქართული
და გერმანული ფიქტოლოგიური რომანის
ერთ-ერთი ფუძემდებლის, გრიგოლ რობაქიძის (1882-1962) პირად წერილებზე.

გრიგოლ რობაქიძის პირადი წერილები სულ ახლახან შეისყიდა ბრიტანეთის ეროვნულმა ბიბლიოთუეკამ ამ წიგნსაცავის ქართველი თანამშრომლის, ანა-ხათუნა ჭელიძის აქტიური მცდელობით. ეს არის ოთხი წერილი და ერთი ლია ბარათი, საინვენტარო ნომრით Or 16935. წერილები შედგენილია 1949-1952 წლებში ქართველ ენაზე და მათი ადრესატი დავით ყურულაშვილია. ამ უკანასკნელის საფლავი დღემდე შემორჩენილია ლევილში და აქვე მითითებულია ემიგრანტის სიცოცხლის წლები (1907-1994).

ბრიტანეთის ბიბლიოთუეკაში დაცული გრიგოლ რობაქიძის წერილები კარგად წარმოაჩნის დიდი მოღვაწის სულიერ სამყაროს; იმ სიმძიმილს, რომელსაც რობაქიძე ემიგრაციაში განიცდიდა.



4.12.1949

ქვემა

დიდად პატივცემულო
ბ-ო დავით!

მივიღე თქვენი ბარათი, გმადლობთ. მე გპაირებ ჩამოვიდე პარიზში იანვრის დამდგენ — თუ რაიმე დაბრკოლება არ გადამეღობა



გრიგოლ
რობაქიძე

წინ. განზრახვა მაქეს გაემართო ქართველთა სათვისტომოში საღამო ქართული სიტყვისა. თქვენც აპირებთ გამართოთ — უფრო სწორად: გამიმართოთ — „ლიტერატურული შეხვედრა“ — მოხსენებაც დაგიმზადებიათ ამისთვის. სასიამოვნო ამბავია. არ ვიცი მხოლოდ: შესაძლოა თუ არა, ხანის მოკლე მანძილზე, „საღამოც“ გაიმართოს და „შეხვედრაც“. ამას თქვენ გამოარკვევთ — ითათირებებთ მეცნიერებთან.

დიალ, ფრიად დავაფასე დაცვა თქვენ მიერ ჩემი სახელისა, რომელსაც აუგით „წვდებან“ ვითნი თქვენს მოხსენებაზე. სხვისათვის თავამოღება — ნიშანია კეთილშებილებისა. მე — აუგსაც გულდასმით ვისმენ, თუ გაუგებელს რაიმე გავება ლიტერატურისა. თუ არა და — ყურსაც არ ვათხოვებ. ეს არის ჩემი წესი. „ვიღაც რაღაცას მიეღომედება“ — ამას რომ გავყვე, დროსაც დავკარგავ და ხასიათსაც ვაგნებ ჩემსა. ამ წესს მე არ ვარღვევ.

გამიხარება თქვენი გაცნობა. გამიხარება სხვა ჩხარელთა გაცნობაც. ვინ არის ს. ფანჩულიძე, რომელიც მოკითხვას მითვლის. ფანჩულიძეთა რომელი კუთხიდანაა? ხომ იცით, ჩხარის მიდამოში ფანჩულიძები სხვადასხვა

კუთხებად არიან დაყოფილი — გვარს: „ფან-ჩულიძე“ მეორე გვარი ემატება ხოლმე, ასე ვთქვათ, „მითხული“, ხანდახან „უხამსიც“!

რამდენი კაცი ხართ მანდ ჩხარელინი ?

ჰე, რა იქნებოდა: ოქონის მაღლობიდან ერთხელ კიდევ ამჟალისებია თვალი! „ვა, სოფელო...“

კეთილი სურვილებით,
თქვენი
გრიგოლ რობაქიძე

22.12.1950

შენჯვა

დ. პტ. ბ. დავით!

გმადლობთ საშობაო-საახალწლო მოლო-
ცვისათვის. ევგებ მომავალმა წელმა შემიმ-
სუბუქოს მწარე ბედი. გულითადი მოკითხვა
თქვენს მმას და სანდროს, ჩემს ნათესავს.
იყვათ მხნედ და კარგად!

კეთილი სურვილებით
თქვენი

გრიგოლ რობაქიძე

ამ ფამად წერილებს ვწერ „ბ. ქ.“ მორიგი
რვეულისათვის. ესეც მიიღოთ.



9.5.1951

შენჯვა

დიდად პატივცემულო
ბ-ო დავით!

გულითადი მადლობა სააღდგომო მოლო-
ცვისათვის. სამწუხაროდ, ისე ვარ დატვირ-
თული შრომით — ჩემი ცოლის აყადმყოფობის
გამო — რომ მხოლოდ ორიოდე სიტყვით
შემიძლია გამოვეხმაურო თქვენს წერილს.
მესმის თქვენი გულისტკოილი, მარტობით
გამოწვეული.

1. ჩვენ ისეთს მძიმე ხანაში ვცხოვრობთ,
რომ ცოცხალნიც თითქმის მკვდრები ვართ
ერთიმეორესათვის. „შენ“ არ ეხსნება მზიუ-
რად „ჩვენს“. დაწმულობა ადამიანთა გულისა
თანდისთან მატულობს და მძაფრდება. 2.
განმარტოვებულს — ეს მე ხშირად განმიც-
დია — თვითონაც უდევს წილი მარტობაში,
რამდენიმეთ. 3. ადამიანის ბუნება მხოლოდ
მარტობისას ღრმავდება — ეს ყველასა-
თვის ცნობილია; საჭიროა მხოლოდ შინაგან
სძლიო მარტობას. 4. თქვენ გყავთ მმა:
ნამდვილი; გყავთ მეგობარი (სანდრო): იგიც
ნამდვილი; ეს უკვე საკმარა მარტობის
სიმძაფრის შენელებისათვის. 5. დროდადრო

უნდა გამოაქვეყნოთ ნარკვევი თუ შაირი
რომელიმე უურნალში; ამ გზით გააპამთ
კავშირს მკითხველთან — მარტობის ძლევა
გაგიადვილდებათ; „ბედი ქართლისა“ თქვენ-
თვის გახსნილია. მჯერა, „გულის-ყურით“
მოისმენთ ზემოთქმულს.

იყვათ მხნედ და კარგად!

გულითადი მოკითხვა თქვენს ძმასა და
სანდროს.

თქვენი პატივცემული
გრიგოლ რობაქიძე



2.11.1951

შენჯვა


დიდად პატივცემულო
ბატონო დავით!

თვენი წერილი — 11.10.51 — მივიღე-
გმადლობთ!


განსაკუთრებით გმადლობთ დახმარების
აღთქმისათვის.

მწერო: „შესაძლებლობის ფარგლებში
აკარულებთ, რასაც თქვენი გული მოითხოვს
ჩვენგან“. „ჩვენ“ აქ ასე უნდა გავხსნა: თქვენ,
თქვენი მმა და ჩემი ნათესავი სანდრო. ამ
აღთქმაშ ფრიად შემარხია შინაგან. ჯერჯე-
რობით არამიჭირს რა (სახეში მაქვს ნივთიერი
მხარე). ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, ეს
„მხარე“ ჯეროგნად იყენეს მოგგრებული. თუ

დავით გურულიშვილი



ბრიტანეთის
ეროვნულ
ბიბლიოთუკაში
დაცული
გრიგოლ
რობაქიძის
წერილები



გრიგოლ რობაქიძე

■ ისე უნდა უცქერდე საკუთარ წარსულს, როგორც გველი უცქერს საკუთარ პერანგს — გახდილსა და დაგდებულს...

■ ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავის-უფლია; თავისუფლებაა სხივური ელექტრი ადამიანში.

■ ჩემი ნატერაა, როცა მე ამსოფლად უკვე აღარ ვიქნები, მიღიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხოვას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს ამ პატია საღლოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს.

დაუით კურულიშვილის საფლავი ლევილში



გამიჭირდა, ძალიან გამიჭირდა — გაცნობებთ. ხოლო ეს ცნობაც სანელო იქნება ჩემთვის მორალურად, ვიცი რა, თუ რა ჭაპანწყვეტაში იმყოფებით თქვენ თვითონ, სამივე. იმედია, არ დამჭირდება მომართვა.

ჩემ ცოლს გამოკეთება ემჩნევა — ხოლო სულ მცირე.

ვახტანგ დაბაშიძის გარდაცვალების ამბავმა ძალიან დამაღინა. მართალია, ძალიან მოხუცებული იყო — ხოლო გული ამას ანგარიშს არ უწევს. კეთილი და ნათელი კაცი იყო, სიყვარულით ანთებული მაჟულისადმი. განუსვენის უფალმა!

იყავით მხედ და კარგად!

გულითადი მოკითხვა თქვენს მმასა და სანდროს

თქვენი პატივცემული გრიგოლ რობაქიძე
(როგორ ჩაიარა თქვენმა მოხსენებამ? რა იყო თუმა?)

* * *

აქვე გაგაცნობთ სასიამოებო სიახლესაც: ევროპაში გრიგოლ რობაქიძის არაერთი წერილი და მისი ბიოგრაფიის შესავსებად დირექტული ჩანაწერი ინახება. როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ბრიტანეთის ბიბლიოთეკა უახლოეს მომავალში საკუთარი კოლექციისთვის ამ ეპისტოლარული მემკვიდრეობის შეძენასაც აპირებს.

გიორგი პალაცია

ხელოვნების სასახლის დირექტორი.
პროფესიონალი

საქანკო-საფინანსო რეზორმები დამოუკიდებელ საქართველოში



საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგეობის წევრები.
მეორე რიგში თუთარ სამისში — ფინანსთა და გაჭრობა-მრჩეველობის მინისტრი გიორგი უშარული

1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა. სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ფორმად, დამოუკიდებლობის აქტით, დემოკრატიული რესპუბლიკა აღიარეს. ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ საფუძველზე, დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 21 მარტს, დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ახალი მთავრობის შემადგენლობაში შედიოდა ფინანსთა და გაჭრობა-მრჩეველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკიც, რომელიც მანამდე მინისტრ გიორგი უშარულის მოადგილე გახდათ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ფულად-საფინანსო სისტემის შექმნასა და მის გამართულ მოქმედებას. 1919 წლის 19 დეკემბერი საქართველოს რესპუბლიკის მიერ ბონების გამოშვების შესახებ. დეკრეტი საშუალებას იძლეოდა, საქართველოს მთავრობას გამოეცა 300 მილიონი მანეთის ღირუბელების ბონი. ბონს უნდა ემოქმედა დროებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფულის გამოშვებამდე. საინტერესოა, რომ ქართული ბონი მოქმედებდა რუსული ფულის ნიშნებისა და ამიერკავკასიის კომისარიატის ბონებთან ერთად. ბონს საკმაოდ მყარი კურსი ჰქონდა იმზანდაც და შემდგომ წლებშიც. იგი ბრუნვაში იყო 1921 წლის შემდეგაც.

დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაზე ბევრად იყო დამოკიდებული ახალგაზრდა სახელმწიფოს ბედი, ამიტომ ეკონომიკური რეფორმა

ფინანსთა და გაჭრობა-მრჩეველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი





1000-მანეთიანი
კუპიურის
(1638X1028)
წინა მხარე



5000-მანეთიანი
კუპიურის
(1758X1058)
წინა მხარე

წარიმართა არა მხოლოდ საბანკო-საფინანსო სფეროში, არამედ მრეწველობაში, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში აგრძარული რეფორმის სახით. იღებების ნაბიჯები გაჭრობის გამოცოცხლებისთვისაც. ოუმცა, უნდა ითქვას, რომ უდიდესი მნიშვნელობა მაინც საბანკო-საფინანსო სფეროს განვითარებას ენიჭებოდა. ამ მიზნით 1920 წელს ჩამოყალიბდა „საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიკური საბჭო“, რომლის მოვალეობებში შედიოდა:

1) სახელმწიფო ფინანსების მოწესრიგება და ბიუჯეტის შედგენის ხელმძღვანელობა;

2) ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთიანი გეგმის შემუშავება.

1919 წლის ბოლოს დემოკრატიული რეს-

პუბლიკის ფინანსთა სამინისტროშ სახელმწიფო ბიუჯეტის მონახაზი შეადგინა. 1919 წლის 1-ლი ივნისიდან 1920 წლის 1-ლ ივნისამდე ბიუჯეტის შემოსავალს უნდა შეედგინა თითქმის 2 მილიარდი მანეთი. ოუმცა, ჯერ ბიუჯეტის განხილვა არ დასრულებულიყო, რომ ინფლაციის შზარდი ტემპის პირობებში შემოსავალ-გასავლის გათვლა არარეალური გახდა. იმ დროისთვის მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა ქვეყნის მდგრამარეობა ვერ გააუმჯობესა. შექმნილ უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში, მთავრობამ სცადა აგრარული სფეროსთვის მიეხედა და ამიერკავკასიის სააღილმამულ კომისია შექმნა. ოუმცა, აგრარულ სფეროში რეფორმის გატარება ძალიან გართულდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პირველი რესპუბლიკის ხანაში (1918-1921 წწ.) იმდენად მძიმე ეკონომიკური ვითარება შეიქმნა, რომ მთავრობას არ გააჩნდა თავის განარგულებაში არც ოქროს მარაგი და არც საქონლის მნიშვნელოვანი ფონდები. მაშასა-დამე, არ შეეძლო შეექმნა საკუთარი ფულის სისტემა, ამიტომაც იმ ნაკრები ხარჯთაღრიცხვის სუროგატს, რომელსაც იგი აღგენდა, მხოლოდ პირობითად თუ დაუწეულეოდა სახელმწიფო ბიუჯეტი. ფინანსთა და გაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის (მოადგილის), სიმონ ავალიანის ანგარიშით, სახელმწიფოს 1918-1919 წლის ბიუჯეტის წმინდა დეფიციტი 75% შეადგინა, ხოლო 1919-1920 წლისამ კი 60%. ბიუჯეტის დეფიციტს მთავრობა ბონების გამოშვებით ფარავდა, ვინაიდან მას შემოსავლის სხვაგვარი წყარო, გარდა „საბეჭდი დაზგისა“, არ მოეპოვებოდა. საგულისხმოა, რომ მთავრობას „საბეჭდი დაზგაც“ დალატობდა. „ჩვენი ექსპედიცია ვერ ასწრებს ფულის ნიშნების დამზადებას, თანახმად სახელმწიფოს მოთხოვნებისა“, — მოახსენებდა ფინანსთა მინისტრს ს. ავალიანი. ფინანსთა სამინისტროს წინადაღება შეკვინდა, ქართული ბონების ბეჭდვის შეკვეთა მისცემოდა „იტალიის სახელმწიფო ექსპედიციას“.

გართულებული საგარეო პირობები (სამხედრო მოქმედებები და ომები) დიდ ხარჯებს მოითხოვდა. მთავრობის უპირველესი საზრუნოვანი სახელმწიფო შემოსავლის გაზრდა გახდა. 1920 წლის სექტემბერში სპეციალური დეკრეტიც კი გამოიცა „თავისუფალი გაჭრობის

შესახებ“. „საქართველოს ნავსაღგურები თავისუფალი ვაჭრობისთვის გახსნილია“, — იტერატიული დეკრეტი. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბიუჯეტის შევსების შესაძლებლობას თავისუფალ სავაჭრო პოლიტიკაში ხედავდა. მონოპოლიზებული საქონლიდან ყველაზე მნიშვნელოვანი აღილი მარგანეცმა დაიკავა და შეიქმნა „ჭიათურის მარგანეცმის საექსპორტო საზოგადოება“ ანუ როგორც მას მაშინ უწოდებდნენ — „ჩემო“.

დემოკრატიული რესპუბლიკის ბიუჯეტს მონოპოლიზებმაც ვერ უშველა და 1918-1919 წლის ბიუჯეტი 260-მილიონიანი დეფიციტით დასრულდა. მდგომარეობა არც 1920 წელს გამოსწორებულა. „ჩვენი ბიუჯეტი ისე მირბის მაღლა, რომ... თუ ასე ვიარეთ, ვერავითარი სესხი ვერ გამოასწორებს ჩვენს ფინანსებს“, — ატყობინებდა 1920 წლის გაზაფხულზე პირად წერილში ნოე ქორდანია ფინანსთა მინისტრს, რომელიც იმ დროს ინგლისიდან სესხის მიღებას ცდილობდა. საჭრო იყო, მთავრობას უფრო ქმედითი ნაბიჯები მოექცებნა ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1920 წლის 26 აგვისტოს „ერთობა“ (№231) მოითხოვდა: „ჩარმოების ორივე ფორმა — როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო — უნდა ჩაეცნებულ იქნას თანასწორ პირობებში“.

სპეცულაციის აყვავებისა და ინფლაციის პირობებში ყველაზე სარტიან საქმედ ფულით ვაჭრობა იქნა მიჩნეული. მოელი საქართველოს ვაჭრულ-ფინანსურა წრები 1919-1920 წლებში ე.წ. ბანკობის ციებ-ცხელებამ აიტანა. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის





სამინისტროს კანცელარიის საქმეებიდან ირკვევა, რომ იმ ხანებში დაარსდა აბაშის საგაჭრო-სამრეწველო ბანკი, სამეცნიეროს საგაჭრო-სამრეწველო ბანკი, ოზურგეთის კომერციული ბანკი, ჭაოთავის ბანკი, ქიზიფ-კახეთის საგაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ბანკი, „ქიზ-კახ ბანკი“. საგარაუდოდ, ბანკების ეს სას სრული არ არის და სხვადასხვა რაიონისა და ქალაქშიც იქმნებოდა მსგავსი ბანკები. მაგალითად, გაზეთ „საქართველოს“ 1920 წლის 21-27 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი განცხადებები:

1) ქ. ლანჩხუთში არსება ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით გურიის საგაჭრო-კომერციული ბანკი, რომლის ძირითადი თანხა არის 2 მილიონი მანეთი;

2) დამფუძნებელი დასავლეთ საქართველოს საგაჭრო-სამრეწველო ბანკისა ქ. ქუთაისში, ამით აცხადებენ, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ა/წ 15 ფილის ს ხსნებული ბანკის წესდება დამტკიცა. ძირითადი თანხა განსაზღვრულია 20 მილიონი მანეთით.

საქართველოში ახალდაარსებული ამიერკაგუასის ბანკის, საქართველოს კოოპერაციული ბანკის „ცენტრობანკის“ გეერდით შეუფერხებლად განაგრძობდნენ მუშაობას რეკოლუციამდე არსებული ბანკები: კაქასის ბანკი, ღონისა და აზოვის კომერციული ბანკი, ვოლგა-კამის კომერციული ბანკი და სხვ. აქ

მოქმედებდნენ აგრეთვე ევროპა-კავკასიის საგაჭრო ბანკი, იტალია-კავკასიის გამნაღდებელი ბანკი და მთელი რიგი უცხოური ბანკების განყოფილებები და სააგენტოები. ცხადია, ამ მსხვილი საბანკო დაწესებულებების მოქმედების ზოგადი ლანჩხუთის თუ აბაშის ახალდაარსებული კომერციული ბანკები, თუმციმი უმნიშვნელო ძირითადი კაპიტალით, მნიშვნელოვან როლს ვერ ითამაშებდა, მაგრამ ისიც საკარისი იყო, რომ წვრილი ბანკების საშუალებით, ბურჟუაზიის ადგილობრივი ჯუფები ახერხებდნენ მოსახლეობის გაფინანსული დანაზოგების კონცენტრაციასა და ამით საგრძნობლად ზრდიდნენ მათ განკარგულებაში არსებულ კაპიტალს.

ამას გარდა, საფურადებოა საქართველოს ცენტრალური ბანკის დაარსებაც, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის სახელით არის ცნობილი. დამოუკიდებელი საქართველოს საფინანსო წრეების წარმომადგენელთა აზრით, ცენტრალური ბანკი თვისებრივად ახალ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა დაუფრქნელიყო. საქართველოს მაშინდელი ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ბანკი არ უნდა მოქცეულიყო კერძო აქციონერებისა და ფინანსთა მინისტრის გავლენის ქვეშ (როგორც ეს რუსეთის საბანკო პრაქტიკაში იყო მიღებული). ასეთ პირობებში საქართველოს სახელმწიფო ბანკის მოდელი შევდეთის

სახელმწიფო ბანკის მაგალითზე აიგო, რომელიც სუკეტუსო რეპუტაციით სარგებლობდა, თუმცა განსხვავდებოდა ორივე ქვეყნის შესაბამისი დაწესებულებისგან.

ბანკის დაარსებისთვის საჭირო ძირითადი თანხა სახელმწიფო ხაზინამ გაიღო და მთელი მისი მოგებაც სახელმწიფო ხაზინას ეკუთვნოდა. იგი პირდაპირ ექვემდებარებოდა საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტს. წესდების მიხედვით, ბანკის გამგეობა და ზედამხედველობის საბჭო მთავრობისგან დამოუკიდებელი ორგანოები უნდა ყოფილიყო.

1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, როთაც ქვეყანაში საბანკო სისტემის მარჯულირებელი და ეროვნული ფულად-საკულიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაუყარა საფუძველი. კანონს ერთვოდა წესდება, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბანკის დანიშნულება, სტრუქტურული მოწყობა, საწესდებო კაპიტალი და უფლება-მოვალეობანი იყო განმარტებული.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ კანონით:

„1. დამფუძნებელი კრების მიერ მიღწეული წესდების თანახმად, დაარსებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკი.

2. გაღებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკის ძირითად თანხად წესდების მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხაზინიდან ორმოცდათი მილიონი მანეთი.

3. არსებული კანონმდებლობის ყოველი ის მუხლი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებას, გაუქმდებულ იქნეს ბანკის მოქმედების დაწყების დღიდან.

4. კანონი ეს ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ“.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ამოქმედება 1920 წლის ოლისიდან გახდა შესაძლებელი და სახელადაც, კანონის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბანკი ეწოდა. მისი ძირითადი ამოცანა იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე, გაჭრობის, მრაველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მოკლევადიანი სესხების გაცემა. საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ


თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი, ბანკირი იასონ ლორთქიფანიძე.

1918 წლის ფინანსი დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მომავალი ქართული გალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი მექანი გარანტი უნდა გამხდარიყო. აღსანიშნავა, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის ოქტომბერი გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების კონკრეტული მხატვრული სახის შესარჩევად და დასადგენად. ღონისძიებას კურირებდა მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელმაც ერთხმად მოიწონა მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ შესრულებული სეიჩი. სწორედ ეს ესკიზი დაუდი საფუძვლად ქართული ბორგების გარევნულ სახეს...


საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამგვარი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გამხდარიყო როგორც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის, ასევე სამოქალაქო მშენებლობის საფუძველი. თუმცა, ისტორიაშ სხვაგვარად იქნება და დამოუკიდებლობის დაკარგვები ეს პოლიტიკა გრძელებადიანი შედეგების მიღებამდე შეწყვიტა.

ანა გიორგაძე

თუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის
ისტორიის მიმართულების სტუდენტი



იასონ
ლორთქიფანიძე



იოსებ
შარლემანი

ԱՐԵՎԱԿԱՆ

2019 Երևան Մասնակի Յոթաշրջան Ուղարկություն



ნოვაზონული F-117 NIGHTHAWK-II

მსოფლიო ავიაციაში ამ საფრენ აპარატს განსაკუთრებული ადგილი უკავია. სერიული წარმოების შედარებით მცირე რაოდენობის – 59 ერთეულის მიუხედავად, მისი შექმნა რევოლუციური მოვლენა იყო. 2008 წელს შეიარაღებიდან ნაადრევად მოხსნილი F-117 სირიაში საჰაერო იერიშებისთვის ორიოდე წლის ნინ მწყობრში ისევ დააბრუნეს, მაგრამ მოვლენებს თანამიმდევრობით მივყვეთ.

Stealth-ის ტექნოლოგიით რადიოლოკაციურ, ინფრანიტელ, აკუსტიკურ არხებში საფრენი აპარატის შემჩნევადობის შემცირება, ძირითადად, რთული გეომეტრიული ფორმების, რადიოშთანმთქავი მასალებისა და სპეციალური დაფარვის გამოყენებით არის შესაძლებელი.

მეორე მსოფლიო ომის დროს ორძრავიანი ბრიტანული Mosquito გერმანელებისთვის თავ-სატეხად იქცა – რადარები ხისგან დამზადებულ თვითმფრინავს ვერ აფიქსირებდნენ, რადგან რადიოტალაებისთვის ხე გამჭვირვალე მასალაა. Mosquito-ს კონსტრუქციაში ხის მასობრივად გამოყენება ლითონის დეფიციტმა განაპირობა, თუმცა მაშინ ნაკლებშემჩნევადობაზე არც ფიქრობდნენ.

რადარებისთვის „უხილავი“ კიდევ ერთი ომისდროინდელი თვითმფრინავი – გერმანული Go.229 უნდა ყოფილიყო. საფრენ აპარატს მფრინავი ფრთის სქემა და ხის პლანერი ჰქონდა...





საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. მარც ხნიდან: თაგმადომარის მოადგილები ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, სეიმინ მდიდარი, დამფუძნებელი კრების მდიდარი ქრისტინე შარაშიძე. მარჯვნივ მთავრობის ლოუაში სხდან მთავრობის თაგმადომარე და მინისტრები

ქალი დეკუტატები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

„ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიკურ და საოჯახო უფლებებით“, — წერია პირველ ქართულ კონსტიტუციაში. 39-ე მუხლი აღიარებდა სქესთა შორის სრულ თანასწორუფლებიანობას — ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეკრობის რიგ ქავშნებში ქალებს ხმის მიცემის უფლებაც არ ჰქონდათ. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში 26 ქალი იყრიდა ქნჭს. აქედან ექვსი სოციალ-დემოკრატი გახლდათ და ხუთი მათგანი გახდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს წევრი.

ამ ქალების ისტორიები არც 1919 წელს იწყება და არც საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრობით სრულდება. თითოეულ მათგანს აქეს საკმაოდ როგორ გზა განვლილი, ვიდრე ქვეყნის მართვის სათავესთან აღმოჩნდებოდნენ. ზელმძღვანელობდნენ ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებს, პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში და არსებული წეს-წყობილების საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდასაც მისდევდნენ. საარჩევნო სიაში ისინი იმიტომ მოხვდნენ, რომ მათი განვლილი გზა და ისტორია პარტიას ხმებს მოუტანდა. ეს არ ყოფილა გენდერული ბალანსითვის გადადგმული ნაბიჯი და ქალები

მხოლოდ სქესის გამო არ გამხდარან საკანონ-დებლო ორგანოს წევრები. ამასთან, იმ დროს, როცა ისინი მოღვაწეობდნენ, საზოგადოება ქალებს მხოლოდ საოჯახო სივრცის წევრებად განიხილავდა და ეს ფაქტორი მათ მოღვაწეობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს.

მინადორა ტოროშელიძე (1879-1967 წწ.) — კანდიდატთა პარტიული სიის მე-60 ნომერი, შრომის კომისიის მდივანი და სახალხო ჯანმრთელობის კომისიის თაგმადომარე. მინადორა აქტიურად მონაწილეობდა კომისიის საქმიანობაში და მისი სახელით მოხსენებით გამოიიდა კრების სხდომებზე. ტოროშელიძე გახლდათ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შემუშავებული სეანეთისა და ახალქალაქის

სამკურნალო და საქაიმო დაწესებულებათა შესახებ პროექტების მომსხვებელი, სადაც შტატისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებაზე იყო საუბარი.

ჯანმრთელობის კომისიას მიმართა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ. ისინი ითხოვდნენ 4.500.000 მანეთს სურამის ფსიქიატრიული ახალშენის შესანახად. თავმჯდომარეული კრებას განუმარტა ამ შენობის მნიშვნელობა რესპუბლიკისთვის და დასძინა, რომ ეს ერთადერთი შენობაა მთელს ქვეყანაში, რომელშიც სულით აეადგიოთები არიან მოთავსებული. კომისიამ ერთხმად დაადგინა, რომ მთავრობასთან შუამდგომლობას გაუწევდნენ ხსენებულ საზოგადოებას.

ასევე მინადორას დაუვალა მოქსენებინა, კრებისთვის საქაიმო-სასანიტრო განყოფილების საპროტეზო სახელოსნის შტატისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ. ჯანმრთელობის კომისიამ მუხლობრივად განიხილა კანონმდებლობის საქართველოს რესპუბლიკის სასანიტარო ინსტიტუტის დაარსების თაობაზე. მინადორა ტოროშელიძეს სამედიცინო განათლება ჟენევაში ჰქონდა მიღებული და კითხვზე, ვის უნდა დაექვემდებაროს ინსტიტუტი, უპასუხა: „შვეიცარიაში, მაგალითად, თვითეულ განყოფილებას ინსტიტუტისა ცალკე პროფესორი ჰყავს, მაგრამ ამით საქმე არ ბრკოლდება და კველა დაწესებულება და პირი იმით ისე სარგებლობს, როგორც უნდა. უკეთესია იგი უნივერსიტეტთან არსებობდეს და განათლების მინისტრს ექვემდებარებოდეს. და მე მგონა, ამის საწინააღმდეგო შინაგან საქმეთა მინისტრს არაფერი ექვება“. კომისიამ დაადგინა, რომ ინსტიტუტი განათლების სამინისტროს დაექვემდებარებოდა და სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდებოდა. მინადორა იყო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების გამგეობის წევრიც და ამ კუთხითაც აქტიურად იყო ჩართული ჯანდაცვის სფეროში.

ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე (1889-1973) — კანდიდატთა სიის 71-ე ნომერი, საბიბლიოთეუკო, სარედაქციო და სახალხო განათლების კომისიების წევრი და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის უმცროსი მდივანი. ქრისტინემ მის კოლეგა გაბრიელ ცისკარიშვილთან ერთად პრეზიდიუმს მოახსენა აგვისტოს 27-დან სექტემბრის 14-მდე თიანეთის მაზრაში მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში საუბარი იყო აქცხოვრების დიდ სიძნელეებსა და დემოკრა-

ტიული მართვა-გამგეობის დამყარების სირთულის შესახებ. მათი თქმით, ადმინისტრაცია ერიდება პანკისის ხეობაში სასტიკ ზომებს, შიშობს, ეროვნულ დევნად არ ჩაუთვალონ ეს. ქსტები ვერ ურიგდებიან რესპუბლიკის სამართალს — მათი სურვილია, სამართალი წარმოებდეს შარიათის წესით. ისინი ასევე წუხილს გამოთქვამენ მთელი მაზრის კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ, რადგან



მინადორა
ორჯონიშვილი
ტოროშელიძე



ქრისტინე
შარაშიძე



ანა
სოლოლაშვილი



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრუბის პრეზიდიუმი. მარც ხნიდან: კონსტანტინე ჯაგურიძე, გრიგოლ ნათაშე, ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ლომიასთავე, სიმონ მდიხანი, ქრისტინე შერამძე

აქ უჩარმაზარი რაიონები თითქმის უსკოლოდ არის დარჩენილი. ამასთან, სამაზრო ერობის გამგეობა ზოგჯერ სრულიად არ უწევს ანგარიშს ცენტრის განკარგულებასა და დადგენილებას. მაგალითად, ერობამ აკრძალა პურის, ფველისა და ერბოს გატანა მაზრიდან, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის დადგენილების თანახმად, ეს აკრძალული არ არის. საუბრობდნენ ადმინისტრაციის თავაშებულობაზე, რაც გამოიხატება მაგალითად, ე.წ. ადმინისტრაციული დაპატიმრების ბოროტად გამოყენებაში (უმნიშვნელო მიზეზით ან უსაფუძვლო ეჭვით). მოხსენების ბოლოს საუბარი იყო ერობის მუშაობის დადებით მხარებზეც, რომ მაზრაში იმ წელიწადს აღადგინეს ოთხი გაუქმებული სკოლა, პენინდათ სასურსათო დუქანი, მუშაობდნენ ტელეფონ-ტელეგრაფის ქსელის გაფრცელებისთვის, გზები შეაკვიუს და სხვ. „ერთი სიტყვით, თუმცა სუსტათ, მაგრამ მაინც სჩანს ტენდენცია გადახალისებისა“, — წერია მოხსენებაში.

1919 წლის 9 ოქტომბერს შეიკრიბა განათლების კომისია, სადაც ქრისტინემ კერძო მოხსენება წაიკითხა სიღნაღის მაზრის სკოლებისა და მასწავლებლების მდგომარეობის შესახებ. მოხსენების მიხედვით, სკოლები ვეღარ იტევდნენ მოსწავლებს, მასწავლებლებთა ცენზი დაბალი იყო და მატერიალურადაც დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ (ერთი მასწავლებელი შიმშილითაც კი მომკვდარა). კომისიაზე გადაწყდა ქრისტინე შარაშიძის გაზავნა სიღნაღის მაზრაში, მდგომარეობის

ადგილზე შესასწავლად. ამ განკარგულების შესახებ ეცნობა სიღნაღის მაზრის ერობასაც. ის 30 ოქტომბერს მოკლე, ხოლო 11 დეკემბერს — ვრცელი მოხსენებით წარდგა კომისიის წინაშე. მოხსენებას მსჯელობა მოჰყვა, რომელშიც მონაწილეობდნენ ლეო ნათაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გრიგოლ ნათაძე და ნოე ცინცაძე. ქრისტინე შარაშიძის აზრით, ცენტრალურმა მთავრობამ გადამეტებული ნდობით აღჭურვა ერობა და სწავლა-განათლების საქმის მოწესრიგება საქებით დააკისრა მას. დადგინდა შარაშიძის მოხსენების გამოქვეყნება, სამშენებლო ხარჯებისთვის თანხის გადადება სახელმწიფოს მიერ და მასწავლებლების მოშაბადებისთვის უფრო ენერგიულად ზრუნვა. 1919 წლის 13 ოქტომბერს ქრისტინე შარაშიძეს დაევალა მოხსენების მოშაბადება სკოლის გარეშე სწავლის შემოღების შესახებ.

ანა (ოლა) სოლოლაშვილი (1882-1937) — კანდიდატია სიის ას მერვე ნომერი, სარედაქციო და ცენტრალური კომისიების წევრი. საბიბლიოოეკო და საპენსიო კომისიებისა და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მდივანი. ანა, როგორც სარედაქციო კომისიის წევრი, კრებაზე მოხსენებით გამოღიოდა. 1919 წლის 17 ივნისს სოლოლაშვილი დამფუძნებელ კრებას მოახსენებდა კანონპროექტის შესახებ, რომელიც უქმე დღეების რიცხვის შემცირებას ითვალისწინებდა. კრებამ კანონი დაამტკიცა. კრებამ ასევე დაამტკიცა კანონი დაზარალებულ მეომართა და მათი ოჯახების დახმარების შესახებაც, რომელსაც

ასევე ანა წარადგენდა. ტფილისის ქალაქის თვითმმართველობას 10 მილიონი მანეთი მიეცა სესხად — ეს დეკრეტიც კრებას ანა სოლოლაშვილმა გააცნო. 1919 წლის 8 ივნისს ის კრებას მოახსენებდა საზღვარგარეთ სწავლა-განათლების, ან სპეციალური ცოდნის შესაძენად გასაგზავნ პირთათვის 2 მილიონი მანეთის გადადებისა და გადამდებ სენად საბრძოლველად შინაგან საქმეთა სამინისტროს სანიტარულ ნაწილისთვის ერთდღოულად 20.000 მანეთის გადების შესახებ. ორივე კანონპროექტი ერთხმად მიიღეს.

მეორე სესიის 32-ე სხდომაზე (1920 წელი, 13 ივნისი) დამფუძნებელი კრების წინაშე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ წარადგინა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სანახაობა-გართობებსა და წარმოლგენებზე დასახწერები ბილეთების დაბეჭვრას სხვადასხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა და დამსახურებულ მოღვაწთა სასარგებლობიდ. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, რომლის მდგანიც ანა სოლოლაშვილი გახსლდათ, კანონპროექტში ცვლილებების შეტანა მოითხოვა. საბოლოო ტექსტში აღნიშნა, რომ ბილეთები დაბეჭრებოდა ღირებულების 10%-ით, ხოლო მუშათა კლუბები ამ გადასახდისგან გათავისუფლდა. სარედაქციო კომისიამ ანა სოლოლაშვილი დანიშნა მომსხენებლად ხაზინიდან 290.089 მანეთისა და 25 კაპიკის გადების დეკრეტის კრებისთვის გასაცნობად, რომელიც უნდა გაღებულიყო „რკინის გზაზე პარტახტიან ტიფთან ბრძოლის დროს გაწეულ ხარჯების დასაფარავად“. ასევე ანამ გააცნო კრებას ქუთაისისა და თბილისის საადგილამულო ბანკების წესდების შეცვლის დეკრეტის საბოლოო ტექსტები.

დამფუძნებელი კრების წევრი კიდევ ორი ქალი იყო: ელისაბედ ბოლქვაძე (1885-1937 წ.). — პარტიული სიის სამოცდამეთვრამეტე ნომერი, შრომისა და მომარაგების კომისიების წევრი და ელეონორა მახვილაძე (1875-1930-იანი წლები) — პარტიული სიის ოცდამეტეთ ნომერი, შრომის, საპენსიონ და სახალხო ჯანმრთელობის კომისიების წევრი. თუმცა, საარქივო დოკუმენტების სიმცირის გამო, კრების საქმიანობაში მათი მონაწილეობის დეტალები უცნობია.

აღსანიშნავია, რომ 1921 წელს საბჭოთა რესერტის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპარების შემდეგ, ხუთივე

მათგანი ქვეყანაში დარჩა, ისინი ჩაებნენ წინააღმდეგობის ორგანიზაციებში და არალეგალურად მუშაობდნენ პოლიტიკური პატიმრუბისა და მათი ოჯახების დასახმარებლად.

100 წლის წინ ამ ქალებმა შეძლეს, ებრძოლათ დღესაც მიუღწეველი გენდერული თანასწორობისთვის და ქალების სახელით დაუტოვებინათ კვალი ისტორიის ფურცლებზე. მათთვის დამფუძნებელი კრება იყო პოლიტიკური ბრძოლის ველი, რომელიც შესანიშნავდ გამოიყენეს, ნათლად წარმოჩნდა, რომ ისინი არა უბრალო წევრები და ხელის ამწევები, არამედ აქტიური პოლიტიკოსები იყვნენ. როგორც მინადორა ტოროშელიძე წერდა: „მუშაობა დუღდა!“ და მათაც, კოლგა მამაკაცებთან ერთად, წელილი შეკერნდათ დემოკრატიული რესპუბლიკის შენებაში.

იმპა შანტურია

თუ ისტორიის მიმართულების სტუდენტი



ელეონორა
მახვილაძე-
ტერ-ფარსეგოვა

ქართველი
პოლიტიკური
პატიმრუბი
გადასახლებაში,
მარჯვნივ
ელისაბედ
ბოლქვაძე





ჯვრის მონასტრის უკანასკნელი მაკლიტურები

ცაფილი II

კალესტინის მკვიდრები ქართველთა საკანის სამსახურში

ჯვრის მონასტერი იერუსალიმის ზღუდის გარეთ იდგა. ქალაქის შემოგარენში მდებარე სოფლებში კი მეტწილად არაბები მკვიდრობდნენ. სალაპატ ად-დინის მიერ იერუსალიმის აღების შემდევ ადგილობრივ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მაჭადიანთა ხელირითი წილი. ამ ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, ჯვრის მონასტრის ბინადრებს საუკუნეების განმავლობაში უწევდათ მათთან ურთიერთობა. ზოგჯერ ეს იძულებითი იყო, ზოგჯერ კი ბუნებრივი ან პრაგმატული. ის ფაქტი, რომ ქართველთა მონასტერი პალესტინაში ფლობდა სოფლებსა და მამულებს, თავისთვად გულისხმობს ჯვარელების ინტენსიურ ურთიერთობას ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ ჯვარელ ბერებს საპუთივ მონასტერშიც ჰყავდათ დასაქმებული ადგილობრივი მკვიდრნი. ასე, მაგალითად, 1490 წელს შედგენილი ერთი არაბული საბუთიდან ირკვევა, რომ იმ დროს იერუსალიმში მყოფი ქართველი პილაგრიმების ალეპომდე თანხლება განსაზღვრული საზღვრის ფასად ვინმე ალა ად-დინს, შემდგომ კი მის ვაჟს ეკისრებოდა. 1457 და 1527 წლებით დათარიღებულ არაბულ საბუთებში ნახსენებია თარჯიმნები, ადგილობრივი ქრისტიანები — იბრაჰიმ ქამუნა და იუპანა, რომლებიც ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დროს თან ხლებიან ჯვრის მონასტრის წინამდგრებს. ჩვენთვის უცნობია, რა ენიდან თარგმნიდნენ ეს პირები; თარგმნიდნენ კი უეჭველად არაბულად. ხოლო თუ თარგმნა ხდებოდა პირდაპირ ქართველიდან, მაშინ ადგილი შესაძლებელია, რომ მათი სახით იერუსალიმის გაარაბებულ ქართველებთანაც კი გვქონდეს საქმე. ყოველ შემთხვევაში, ან-

გარიშგასაწევია ტიმოთე გაბაშვილის ცნობა, რომ „იგინი ქართველი არიან გარემოს იერუსალიმისა არაბინი და ეფრათას არაბინიცა, აწ არაბინი იერუსალიმელნი ქართველი არიან“, რომლებიც მისივე სიტყვით, ძველ დროში „მუნ დასახლებულა“ და რომლებსაც „ენა შესცვლიათ არაბულად“. ჯვრის მონასტრის კუთვნილი სოფლების (მალხა, კატამონი, დაირ კა'კული, დაირ მუსა) იერუსალიმისა და ეკვრატას სიახლეებს არსებობის ფაქტი ტიმოთეს ცნობას კარგად ქამება. ორიოდე წლის წინ თვით იერუსალიმის ძველ ქალაქშიც გამოვალინეთ გარაბებული ქართველების შთამომავლები სიკეთა საგვარეულოს სახით.

ჯვრის მონასტრის აღაპთა დავთარში გვჩვდება XIV საუკუნის მეორე ნახევრის დროინდელი რამდენიმე ჩანაწერი ადგილობრივ არაბ შემომწირველებზე:

1. „აღაპი და პანაშვიდი ობედ ებნი სურუებნუ სალამ და გაუქნეთ პანაშვიდი და წირვაი. შემოგუწირა რამლას მისი სახლი მეტო-

ქედ სამლოცველად მისთა შშობელთათვის და მისი მეუღლისათვის. ღმერთმან ჰყითხოს, ვინცა შეცვალოს“ (№4ა/2ბ).

2. „ქ. სალამ ებნი ფარა, დარი შემოგუწი-რა რამლას და ჩუენ გაუზინეთ სეკდებერსა თ აღაპი და შეუნდვენ ღმერთმან“ (№9/8).

3. „აღაპი აბედ ებნუ სურურის და სა-ლიმ პანაშვიდი და წირვაი შემოგუწირა მისი სახლი რამლას მეტოქად. ღმერთმან ჰყით-ხოს, ვინცა შეცვალოს, მისთა შშობელთა და მისისა მეუღლისათვის“ (№301/294).

მოყვანილი აღაპებიდან ჩანს, რომ რამლე-ლი ქრისტიანი არაბების ოჯახს (იკვეთება რამდენიმე თაობა: ფარა — სალამ/სალიმ — სურურ — ობედ/აბედ) ჯვრის მონასტრის-თვის ქალაქ რამლაში მეტოქად შეუწირავს დარი (სასტუმრო სახლი). რა იყო აღნიშ-ნული ქველმოქმედების მიზეზი და რა აკავ-შირებდა ამ ოჯახს ჯვრის მონასტერთან, ამ კითხვებზე ჯერჯერობით პასუხი არ გვაქვს. ზოგიერთი მეცნიერის მხრიდან გამოთქმულია ვარაუდი, რომ აქ შეიძლება საქმე გვქონ-დეს ოდესლაც ჯვართან დაკავშირებული და მოგვიანებით დევთინიზებული, გაარაბებული ქართველების ოჯახობასთან.


ჯვრის მონასტრის ერთ-ერთი აღაპი (№216/214) დაზელი არაბების ოჯახის წვე-რებს გვაცნობს: „ღმერთო, შეიწყალე აისა ებნი

ავად და ძე მათი მოსე, ჯუარისა იკონომოსი ღაზისა“. ჩანს, რომ ეს ოჯახი მონასტრის კუთვნილ მეურნეობას უძღვებოდა დაზა-ში. საინტერესოა, რომ ჯვარის კუთვნილი ერთ-ერთი სოფელი ჯალჯალაც იქვე, დაზას ოლქში მდებარეობდა. სულტან ხუშკადამის 1467 წლის ბრძანებულებაში ნახსენებია ქართველებთან მცხოვრები ვინმე ზაინ ად-დინ შა'ბანი, ვისთვისაც იმ დროს ათწლიანი იჯარით გადაუციათ აღნიშნული სოფელი. ბრძანებულებით ისიც ირკვევა, რომ ჯალჯა-ლა უფრო ადრე იკტად ჰქონდა გადაცემული სხვა, ჩვენთვის უცნობ პირს (იკტა — სახელ-მწიფოს მიერ მიწისა და მისი შემოსავლის კონკრეტული პირისთვის მემკვიდრეობით გადაცემა. — ბ.ხ.).

იერუსალიმელი სიკენების საგვარეულო ტრადიციით, მათი შორეული წინაპარი (სი-მონი) წმინდა მიწაზე რომელიღაც ქართველი მეფის ელჩობას ჩამოჰყოლია XIII საუკუნის ბოლოს თუ XIV საუკუნის დასწყისში. მას თავდაპირელებად ჯვრის მონასტერში დაუდ-ვია ბინა ცოლ-შვილთან (თამარი, იოანე და იოსები) ერთად, ხოლო 1432 წელს მისი შთამომავლები იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში, წმინდა ეკატერინეს ქართული მო-ნასტრის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სახლში დაბინავებულან. საკითხის შესწავლაში

გამცილებლები წმინდა მიწაზე მოგზაუროს ქარაგებს XX საუკუნემდე სჭირდებოდათ





შესახლელი კარი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში



იერუსალიმი
XIX საუკუნის
დასახული

ცხადყო, რომ სიკსექტა შორეული წინაპარი მონასტრის აღაპებში სამგზის ნახსენები ჯვრისმამა სვიმონ ელმელიქის ძე (XIII-XIV სს.) გახლდათ.

სიკსექტის გვარში მღვდლობას ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა. მათი საგვარეულო გაღმოცემით, ერთ-ერთ წინაპარს ნიკოლოზ ჩოლოფაშვილის (ნიკიფორე ირბაზი) დროს ჯვრის მონასტერში უმსახურია; მას ახლო სცნობია მღვდლმონახონი მოსე, ვინც ეკლესიის შესახლელი კარის თავზე არსებული ბერძნული წარწერის მიხედვით, სხვა პირებთან ერთად მონაწილეობდა ტაძრის ფრესკების მოხატვას თუ განახლებაში. იერუსალიმელი სიკსექტის საგვარეულოში უკანასკნელი მღვდლელმსახურები იყვნენ ჯირჯა/გიორგი (1788-1836) და მისი ძე — პანა/იოანე (1834-1889). ამ უკანასკნელის ერთადერთი ვაჟი — ჯორჯ/გიორგი სიკსეკი (1887-1971) კი ცნობილი პიროვნება იყო ბრიტანეთის მანდატის ქვეშ შემოვა პალესტინაში. 1936 წელს იერუსალიმში ყოფნისას მას რამდენჯერმე შეცვედრია მღვდლი გრიგოლ ფერაძე. გიორგი სიკსეკის მეუღლე (კატერინა პანანა) და ასული (ლატიფა/ჰენრიეტა სიკსეკ-ფარაჯი) პალესტინაში ფრიად ცნობილი ფილანტროპიული დაწესებულების — „მოწყალების ოთხი სახლის“ დამუზებელი და პირველი ხელმძღვანელები იყვნენ.

ჯვრის მონასტერობან ოდითგან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ სოფელ მალხას მკვიდრებს. ამ სოფელის მცხოვრებლები მონასტერს მსახურობდნენ ქართველთაგან მისი დაცლის შემდგომაც თითქმის ორსაუკუნე-ნახვრის განმავლობაში. 1936 წელს იერუსალიმში ყოფნისას მამა გრიგოლ ფერაძეს ჯვრის მონასტერში უნახავს სოფელ მალხას მკვიდრი ოჯახობა, ვისაც იმჟამად ყოფილი ქართული საგანის მცველობა ჰქონია დაკისრებული. მის დღიურებში „იერიქოის ვარდები“ ნახსენებია მამა-შვილის, პაჯი პასანისა და იბრაჰიმ სპირას სახელები. 2002 წელს ქართული სამეცნიერო ექსპედიციის წევრებმა ბეთლემში, ქრისტეს შობის ტაძრის კათოლიკურ მონასტერში ინახულეს ხანდაზმული არაბი ქალი, რომელიც ექსპედიციის ხელმძღვანელის, აწ განსვენებული თამილა მგალობლივილის ცნობით, გრიგოლ ფერაძის დღიურებში ნახსენები პაჯი პასანის, ჯვრის მონასტრის უკანასკნელი მეკლიტუ-



როს ასული — „აბუ საიდა“ იყო. გრიგოლ ფერაძის ჩანაწერებიდან ისე ჩანს, თითქოს ზემოთ ნახსენები ჰაჯი ჰასანი ჯვარის პირველი მცველის შთამომავალი იყო. მაგრამ, საკითხის კვლევაზ სულ სხვა ფითარება გამოავლინა.

ჰაჯი ჰასანის ასულს თამილა მგალობლიშვილი მოიხსენიებდა „აბუ საიდა“ სახელით, თუმცა მისა გვარი საჯაროდ არასოდეს დაუსახელებდა. მალხელთა შთამომავლების წრეში ჩვენ მიერ ამ ქალის ფოტოსურათის გავრცელების შემდეგ ბეთლემში მცხოვრები, წარმოშობით მალხელი სწორული ისსა ალანი გამოგვეჩმაურა. მან ამოიცნო ფოტოსურათზე აღბეჭდილი ქალი და დაასახელა მისი გვარიც: ალ ფისასი (სხვა ვარიანტით: ფსეისი). გაირკვა, რომ „აბუ საიდი“ სინამდვილეში მისი მეუღლის სახელს წარმოადგენდა. ისსა ალანისვე ცნობით, ამ ქალის 70 წლის გადაცილებული ასული — აბლა ამჟამადაც ბეთლემში მონასტერში იმყოფება. ეს ინფორმაცია დაადასტურა და რამდენადმე შეაგსო მოცემული გვარის ახალგაზრდა წარმომადგენლემა, ბეთლემში მცხოვრებმა ანან ფსეისმა, რომელმაც გვამცნო შემდეგი:

„სურათზე რომ ქალია, ის ჩემი დიდი მამიდაა. ის ცხოვრობდა ბეთლემის მონასტერში იერუსალიმის დატოვების შემდეგ. ჩვენ მას ე'მ ელ საიდს ვეძახდით ის იქ მის ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა. მე არ ვიცი, რა იყო მისი ქალიშვილობის გვარი, მაგრამ ვიცი, რომ ის ნამდვილად ჰასანის ასული იყო. ნე'მა ალ ჰასან ალ ფსეისი იყო მისი სრული სახელი. ხოლო მისი ქმრის სახელი აბედ საიდ ალ ფსეისი გახლდათ“. ფოტოსურათზე აღბეჭდილი ჰიროვნება ასევე იოლად ამოიცნო წარმოშობით იერუსალიმელმა და ამჟამად ასტრალიის ქალაქ მელბურნში მცხოვრებმა ფოტულა საპარმაც: „მე მას კარგად ვიცნობდი. ცოლ-ქმარი ე'მ საიდი და აბუ საიდი და მათი შვილები აღებდნენ და კეტავდნენ მონასტერის კარს ბეთლემში. მისი ასული აბლა ახლაც იქ, ბეთლემის შობის ტაძრის მონასტერში ცხოვრობს. აბლა ე'მ საიდის ქალიშვილია. აბლას ღვიძლი მმა — საიდი კი გერმანიაში ცხოვრობს. ისინი სოფელ მალხადან იყვნენ და როგორც ვიცი, ერთ დროს ჯვრის მონასტერსაც დარაჯობდნენ. ბეთლემში ისინი 1948 წლის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ აღმოჩნდნენ. აბუ საიდი ე'მ საიდის ქმარი იყო. მათი გვარი კი ფისასი გახლდათ“.

ისსა ალანის ცნობით, ფისასის გვარი სოფელ მალხას მკვიდრთა არცერთ დიდ საგვარულო კლანს არ ეკუთვნის, თუმცა კი ისინი მალხაში ცხოვრობდნენ. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ ისევ გრიგოლ ფერაძის პალესტინურ დღიურებს მიღუბრუნდით და ფურადლება მღვაპყარით ჯვრის მონასტერის იმჟამინდელი მეკლიტურის — ჰაჯი ჰასანის მიერ გრიგოლ ფერაძისთვის ნათებამ შემდეგ სიტყვებს: „ეს მონასტერი ჩვენს ქველა თანასოფლელს ძალიან მოსწონს, მაგრამ ჩვენ აქაურები არა ვართ“. იქევ მამა გრიგოლი დასძგნს: „ჰაჯი ჰასანი შემპირდა, რომ სოფელში წამიყვანდა და თვის ნათესაობასთან რამდენიმე დღეს მასტუმრებდა“. ამ ცნობებიდან ისე ჩანს, თითქოს ფისასები არ იყვნენ ძირძევლი მალხელები (თუმცა მალხაში ნათესავები ჰყოლიათ) და 1936 წლისთვის



გრიგოლ
ფერაძე



(მარც ხნიე) ჰაჯი ჰასან ფისასი — ჯვარული მექლიტური, ვიც ჯვრის მონასტერში მასულ გრიგოლ ფერაძეს შეჯება 1936 წელს. (ბარჯვენი) ეს საიდი ფისასი — ჰაჯი ჰასანის ასული



ჯვარულ მექლიტურთა პირდაპირი შოამომულები (მარც ხნიდან): სუად ფარჰანი და მისი ქალიშვილები სალსაბელ, საჯა და სონიროს ალ ბაშბი

მათ, როგორც ჩანს, ამ სოფელში თავისი პირადი საცხოვრებელიც კი არ გააჩნდათ, რომ იქ სტუმრისთვის ემასპინძლათ. მაშ, როგორ მოხდა, რომ ჯვრის მონასტრის მექლიტურობა იმ ოჯახს დაეკისრა, რომელიც შევიდრ მალხელებს არ ეკუთვნოდა? ამ კითხვაზე პასეხის გაცემამდე უნდა გა-

სოფელი მალხა, ყოფილი ჯვარიშების უბანი



ვიხსენოთ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ჯვრის მონასტრის გარშემო შექმნილი ვითარება.


ქართველთაგან დაცლილი ჯვრის მონასტერი XVIII საუკუნის დასაწყისში ბერძების ხელში გადაიდა. თუკი თავდაპირველად იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქო პრაგმატული მოსაზრებით მონასტრის ჯვარისმამებრ კვლავ ქართველ მღვდელმსახურთა წრიდან არჩევდა, XIX საუკუნის II ნახევარში ამ ფორმალურ ტრადიციასაც დაესვა წერტილი. 1864 წელს აკაზაკებმა საკუთარ კელიაში მოკლეს მონასტრის ქართველი იღუშენი — გრიგორი. არქიმანდრიტი გერასიმე დოგრაშვილი, რომელიც ბერ ბენედიქტე ბარკალაას 1866 წელს უხილავს ჯვარში, მონასტრის უკანასენელი ქართველი იღუშენი იყო. მანამდე, 1855 წელს ბერძენებმა ჯვრის მონასტერში თავისი სასულიერო სემინარია გახსნეს.

სხვადასხვა მოგზაურ-პილიგრიმთა, აგრეთვე, ხსენებული სემინარის წარმომადგენელთა ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მონასტერთან მალხელებს კავშირი არ ჰქონდათ გაწყვეტილი XIX საუკუნის მიწურულსაც კი; ალექსანდრე ცაგარელისა და პეტრე კონჭოშვილის ცნობების თანახმად, იმ დროს შენარჩუნებული ყოფილა მხარეთა შორის ზოგიერთი ძველი ვალდებულებებიც. მოპყვა თუ არა უსახსრობის გამო 1908 წელს სემინარიის დახურვას რამე ცვლილება აღნიშნულ ურთიერთობებში, უცნობია. ვიცით, მხოლოდ ის, რომ მონასტერი იმ დროს უფუნქციონ დარჩა და ერთხანს მისი კარი გამოკეტილიც კი იყო. ვინ დარაჯობდა იმ დროს ჯვრის მონასტერს, არ ჩანს. მაგრამ, ეს მოვალეობა რომ ფისასებს არ ჰქონიათ დაკისრებული, ამის თქმა თამაად შეიძლება.

ფისასების მექვივიდრეობით ცველობას ჯვრის მონასტერში კატეგორიულად არ ეთანხმებიან მალხელი ჯვარიშების საგვარუულო კლანში შემავალი ფარპანები. ფარპანთა საგვარუულო ტრადიცია, რომელიც ჩვენ ჩაიიწერეთ იერუსალიმის მეგობრი აბუდ ფარპანისა და რამალაში მცხოვრები მისი დისტულის, საჯა ალ ბაშას მონათხობის საფუძველზე, გვამცნობს, რომ ოდესლაც მათი შორეული წინაპარი ჯვრის მონასტერში მღვდელმსახურობდა, იყო ქრისტიანი და კითხულობდა ბიბლიას. აბუდ ფარპანის დედის, 75 წლის წარმოშობით ჰებრონელი ქალის მაისარ ალ

ჟამის ცნობით, მისი მალებელი მეუღლის მო-
პამად ფარპანის (1929-1994) მამა (მუსა), პაპა
(ისლა), პაპის მამა (პანი), პაპის პაპა (აპმადი)
და პაპის პაპის მამა (ალი), უკლებლივ ყველა
ჯვრის მონასტრის მცველის მოგალეობას
ასრულებდა. აქედან ჩანს, რომ ფარპანების
საგვარუულოს მექვიდრეობით ეკისრებოდა
აღნიშნული მოგალეობის შესრულება მოელი
XIX საუკუნის განმავლობაში და უფრო ადრე,
XVIII საუკუნეშიც. ფარპანების საგვარუულო
გადმოცემა უცნობია წინაპრის ოდინდელი
ქრისტიანობისა და სავარაუდო მღვდელ-
მსახურად ყოფნის თაობაზე, მისი ქართუ-
ლი წარმომავლობის შესახებ მიგვანიშნებს
(ამას ისინი თავადაც აღიარებენ) და ჯვრის
მონასტრის ქართველთაგან მფლობელობის
ეპოქისკენ გვახედებს.

თუკი ფართკანების წინაპარი მართლაც ქართველი მღვდელი იყო, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა ვითარებაში და როდის მოხდა მისი შთამომავლების გამაპმადანება და შემდგომ ჯავარის შთამომავლობით მცველებად გარდასახვა? ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არ გვაქვს. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ამ საგარუულოს იმ უცნობმა შორეულმა წინაპარმა ადგილობრივ მკვიდრთან ერთად შექმნა ოჯახი და სათავე დაუდო მალებელი ფართკანების გვარს. რაკიდა ეს გვარი სოფელ მალხაში მკვიდრობდა, უფრო მეტად საგულებელია, რომ მისი მეუღლე სწორედ მალებელი ქალი იყო. და ეს ლოგიკურია იმ მხრივაც, რომ მალხას მკვიდრებს ადგილობრივები ტრადიციულად გურჯებად მიიჩნევდნენ და მწირი არჩევნის პირობებში ფართკანთა ქართველ წინაპარს თანამეცენებულებულ სწორედ ამ გურჯთა (შეიძლება იმ დროს უკვე დევთინიზაციის გზაზე შემდგარი თვისტორომების) წრეში უნდა შეერჩია. ფართკანთა ქრისტიანი წინაპრის შთამომავლების გამაპმადიანება-გარაბებასაც იქვე, სოფლის გარემოში უნდა პქონდა ადგილი. სამწუხაროდ, ჩვენთვის დღემდე უცნობი რჩება, რა დროს შეწყვიტა მოქმედება მალხაში არსებულმა იმ ეკლესიამ, რომლის ნანგრევები ჯერ კიდევ იხილვებოდა გასული საუკუნის 60-იან წლებში. ის სამლოცველო მალებელთა ძევლი (თავდაპირველი) სამოსახლოს ტერიტორიაზე მდგარა. სრული გამაპმადიანების შემდგ სოფელმა მდებარეობა შეიცვალა, ხალხი შორიახლოს, ბორცვის თავზე გადასახლდა და ახალ სამოსახლოში



**მუსა — უკანასკნელი
ჯვარელი მექლიტური
ფარპანთა გვარიდან, თავის
გაუებთან ერთად**

ՀԵՐԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ
ՀԱՐԴՎԵՐԸ ՏԱՏՈՒՅԻՌԸ

ამჯერად უკვე მეჩეთი ააგო. ამ ამბავს უკავშირებს ლეგენდა ახალი სოფლის დაარსებას და მისთვის სახელად მაღალია (არაბ. „მარილიანი“) დარწმუნას.

როდის, რა მიზეზით და რა გარემოებებში
დაგარება ფარპანების გარმა მონასტრის მე-
კლიტურობა, როდის ჩაენაცვლა მათ ფისასე-
ბის გვარი, ამის დაზუსტება ჯერჯერობით
ვერ მოხერხდა. ოუმცა, ფარპანთა საგვარეუ-
ლო ხსოვნის გათვალისწინებით, საფიქრებე-
ლია, რომ ეს ჯვრის მონასტრის გედლებში
მოწყობილი სემინარიის გაუქმებას უნდა
მოჰყოლოდა. ნიშანდობლივია, რომ ჯვარიში
ფარპანების გვარი ერთადერთია მალეურ
საგვარეულოებს შორის, ვისაც საკუთარი
წინაპრების ღდინდელ ქართველობასა და
ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრობაზე
ხსოვნა ჩვენს დრომდე შემორჩა.

ଶ୍ରୀମତୀ ପ୍ରମିଲାନାୟକ

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

Auto Bild

საქართველო



იმპერატორ სტატუს
სრულად ქართველ
„AUTO BILD
საქართველოს“
გაისცი
ცემონია

ქართველი AUTO BILD საქართველო ცარმოგიძებათ





თავისი მარკი

არნოლდ შვარცენეგერი

მანქანაში უკან არასდროს ვზივარ!

AUTO BILD-ის ექსკურსიური ინტერვიუ არ-
ნოლდ შვარცენეგერთან. არნი გერმანულ ავტომ-
ნარმოებლებს უტევს, ეკოლოგიური ავტომობილე-

ბისთვის იბრძვის და ცხოვრების ყველაზე საინტე-
რესო მომენტებს იხსენებს. ინტერვიუს ქართული
AUTO BILD-ის მაისის ნომერში წაიკითხავთ.

როგორც მზარის ერთ წვეთს...

ნოსტალგიათა
სკივრის კუთხეში


ჩემს ბავშვობაში, „რომელიც სულაც არ იყო თქვენი ბავშვობისნაირი“, იყვნენ ჩემი აჭარლები: ფადიმე, იძრაიმი, ემინე, მუხამედი, ასევე, აშუკა, ზია, რეჯები, ესედი, აიშე, მემედი, ოსმანი, ასლანი, სულეიმანი, იშილი, ქურიე, შაისტე, დურსუნი, ქემალი, იუსუფი, ხატიჯე, ენერი, სურიე, ფერიდე, რემიზა, ისკანდერი, სელიმი.

ესენი ჩემი მეზობლები, ამხანაგები, მასწავლებლები, თანაკლასელები, უბრალოდ, ბათუმელები იყვნენ, რომელთაგან უშეტესობას პირადად ვიცნობდი, მათი საუბარი მომისმენია, ქეჩაში შემხედრიან.

ახლაც თვალწინ მიღვას მუხამედ ბაბუ, წყნარი, წელში მოხრილი, ჩია ტანის მოხუცი, განუყრელი ქარვის კრიალოსნით ხელში და ზამთარ-ზაფხულ ნაქსოვი ქუდით თავზე. მიუვება სოხუმის ქუჩას — იგი ხომ ლამის ყოველდღე დადის სალოცავად მეჩეთში. ამას უფროსები ამბობენ, თორუმ ჩვენ, ბავშვებმა, რა თქმა უნდა, არც კი ვიცით, რა არის მეჩეთი, არც გვინახავს, არც ის ვიცით, სად მდებარეობს, როგორია ან როგორ ლოცულობენ იქ ადამიანები.

ერთია, მუხამედ ბაბუ ყველას უყვარს და ყველა პატივს სცემს, ისევე როგორც მის მეუღლეს — ემინე ბებიას განუშორებელი თეთრი ჩადრით, ლამაზი, რმიანი ყავისცერი, ფართო სარტყელშემორტყმული, კოშკებამდე კაბით, ყელსაბამით, სიყვარულითა და სიკეთით სავსე უცნაურად ჭრელი თვალებით, ყოველთვის შშვიდი, ოდნავ მოლიმარი სახით და ნაძვის სურნელოვანი, ნებისმიერი ბავშვისთვის საოცნებო კვეთ.

თითქოს გუშინ იყო: ბალღობისას ჩემი ხშირი ავადმყოფობის დროს, ოთახში, რო-



ბათუმი, 1950-იანი წლები

გორც იმედი, ლოცვა, ნუგეში, შვება, ოღონდ ძალიან წყნარი და უხმაურო, ემინე ბებია შემოდის. მანაბდე წინა ოთახიდან მესმის — დედახემს ელაპარაკება, ოღონდ ჩურჩულით: „ხართ ვინმე სახლში?“

„მობრძანდით, ემინე ბიცოლა“.

„აგერ ახლა მითხრეს, ბიჭი აყად არისო. დიდი ხანია, რაც წევს?“

„კია აგერ მეოთხე დღე“.

„სიცხე? სიცხები აქვს?“

„წუხელიც გავათნეთ დამე. ვარვარებდა, ისეთი ცხელი იყო“.

„გაიზრდება, დაკაცდება და გაუვლის ეს ავადმყოფობა“, — ამშვიდებს ემინე ბებია დედას.

ექიმიც ასე ამბობს, ბათუ ექიმი. თორმეტი წლის ასაკიდან აღარ იავადმყოფებსო, მაგრამ ეს როდის იქნება, როცა ჯერ შეიძიოდე წლისა ვარ.

სამაგიროდ, მე უკვე ვიცი, რომ სულ მალე, ერთ ან ორ დღეში დაუშვრები ამ მობეზრებულ ლოგინს და იქ, ფანჯრის იქით აღმოვჩნდები; იქ, სადაც ახლა, მე რომ ვწევარ,

იმდენი რამ ხდება უჩქმოდ; იქ — ეზოში, ქუჩაში, სკოლაში, ქალაქში, ბულვარში, პიონერთა პარკში — ყველაფერი ისეთი საინტერესოა და ასე მიუწვდომელი, როცა ვსიცხიანობ, გარეთ კი მზე ანაფეს, ყველაფერი ყვავის და როცა მესმის, როგორ ცდილობს დედაჩემი, უჩქმრად იტიროს, საწოლთან მოძღვარ სკამზე ჩამოჯდარმა.

ლოგინს რომ დაუუძღრები, ფერიაშიც წაგალთ ფერია სოფელია, ბათუმს მიმული. ყველაზე ბოლო ქუჩას ჩემს ქალაქში და ყველაზე ახლოს ფერიიდან მთისძირის ჰქვაა. ეს, ზედ გორაკის ძირში რომ რკინიგზა გადის, იმ ქუჩის სახელია. ჩვენ ამ რკინიგზას არ მიუყვებით სოხუმის ქუჩის ბოლოსკენ მივდივართ, მარცხნივ ბაგრატიონზე გაფუხვევთ, აქ გადავგვეთავთ რკინიგზას, სოუქსოსკენ მიმგალ ქუჩას გვერდს აუქცევთ და ფერიის გზას აუყვებით.

რა ახლოსაა თურმე სოფელი ქალაქთან და რა განსხვავებულია. აქ გზის მარცხნივ და მარჯვნივ ლამაზი ორსართულიანი სახლები დგას დამრეცი ეზოებითა და ფერდობებზე გაშენებული ბოსტნებით, ბაღჩებითა და მანდარინის ბაღებით. ფორთონსლებიცა და ლიმონებიც ყვავის. გრეიიპფრუტები უფრო იშვიათია, მუშმალისა და წყავის ხეები კი თითქმის ყველას უდგას, კიდვე — ლელვი და კოში, ხურმა და პერმისონი, აქაურები კარალიონებს რომ ეძახიან, ფეიხოა და მაგნოლია, ყვალიაპტი და ჩინური ტიტა, ნაძვი და ფოჭვი.

გაზაფხულია. ციტრუსოვანთა ყვავილების

არომატი ძვალ-რბილში გასჯდომია აქაურობას. დედას ხელჩაკიდებული მივყავარ და ასე მივუყვებით ასფალტიან გზას. დედას მეორე ხელში სარძევე უჭირავს. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ მაღე სურნელოვანი, გემრიელი, ახალმოწველილი ძროხის რძით გაივეხა ეს იასამნისფერი ჭურჭელი და ისევ გზას დაკადებით, ოღონდ ქალაქისკენ.

სამი ან ოთხი წლისა ვარ. ძროხის პატრონს ქურიე ჰქვია. კუთილი ქალია და მე ძალიან ვუყვარვარ. ამიტომაც რძესთან ერთად რაღაცას გამოგატანს კიდევ გაზაფხულზე — ნარცისების თაიგულს, ახალგამომცხვარ ჭადას, ზაფხულობით — ლობიოს, მწვანილს, კიტრს, პამილორს, შემოღვმაზე — გეორგინებს, მანდარინს, ლელვს, ზამთრობით — ქილა მარინს, ხურმას, ლელვის ჩირს, თხილს.

ეს ყველაფერი მთელი ცხოვრება მქსომება. არა, უბრალოდ კი არ მქსომება, ეს ნაირგარი სურნელება, გემო, სილამაზე, ყვავილები, ხეები, სიმწვანე, შებინძების განუმეორებლობა, დედის ხელის სითბო და სიმტკიცე, ქურიეს სიკეთით სავსე თვალები და ტკბილი მოფერება თანამგზავრებად მექცვანი და ჩემი ცხოვრების ნოსტალგიათა სკივრში დაიდებენ ბინას სამუდამოდ.

„ნუნუ, მართლა ავალაა ბადანა ისევ?! ნუ ჩამოგტირის სახე. ბაღნები ასე არ იზრდებიენ? ხან ავად გახდებიენ, ხან კარგათ. მე ხუთი გამოვზარდე და კი იცი, რა გაჭირვებაში“. „ვიცი, ჩემო ფადიმე, აბა, არ ვიცი!“

„ნახე, რა მოუტანე! სულ ცხელია, ახლა-

მტკვარი არტანუჯათან





ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმში

ვე აჭარე. ჩემს ფლავს რო შეჭამს, მაშინათ ვე
წამოხტება, ხო იცი!“

ეს კი ფადიმე დეიდა, უსაყვარლესი,
ქოქოთა, ხალვისანი, მუხლჩაუხრელი,
ხუთშილიანი. ნეტა მოგამენიანათ მისთვის!
ღმერთო, რა ნიჭიერი მთხრობელია, გასუსუ-
ლი უსმენს ყველა! რა არ იცის ქვეყანაზე, რას

ფრიდონ ხალვაში და გაღაეტიონი. ფოტო ფრიდონ
ხალვაშის სახლ-მუზეუმიდან



არ მოგიყვებათ. აჭარის ისტორიას გიამბობთ
მთლიანად, ოლონძ წიგნებში ამოკითხულს კი
არა, ნამდვილს. იმას, რაც გადმოცემით იცის
ან თავად ან მის ნათესავებს და ახლობლებს
გადახდა. იუსუფ ფაღავსა და პარმენ ლო-
რიას მერე ჩვენი კუთხისა და ჩვენი ქალაქის
უახლოეს და შორეულ წარსულს ფადიმე
დეიდასავით ვერავინ გვიცოცხლებს, ვერც
გვასწავლის. თუმცა ხანდახან ცოტა-ცოტა
გამონაგონსაც შეურევს მეტი დამაჯერებლო-
ბისთვის, მეტი დრამატულობისთვისაც.

„ჩემს ბიძაშვილებს შემოუთვლიათ, ერ-
თ თურქეთამდე ჩამოით, დევგენაზეთ, მერე
ჩაგვამო მანქანაში და მთელ მსოფლიოს
მოგატარებოთ“.

„ამერიკასაც?“

„ამერიკასაც. თურქეთიდან ყველა გზა წს-
ნილია და კველგან წიგიყვნთი. ნეტა გვანახა
ჩვენი ბიძაშვილები, მამიდაშვილები. იცი,
რამდენი არიგო?!”

და ჩემი ბავშური ფანტაზიის წიგნის
ფურცლებზე მე უკვე ვხდავ მათ — საქართვე-
ლოდან ოსმალეთში იძულებით გადახვეწილ
მუკაჯირებს, გაქცეულ ქართველ მენშვეიკებს,
საოწარკვეთილ ქაქუცა ჩოლოუაშვილსა და
მის თანამებრძოლებს...

აქ დარჩენილებსაც ხედავ — გადასახლე-
ბულებს ციმბირსა და შუა აზიაში, უუფლე-
ბოებს, სვეგამწარებულებს, და გადასახლებას
შემთხვევით გადარჩენილებსაც, როგორიც
ფადიმე დეიდაა, მთელი თავისახლი რომ
აუწიოეს, ახალგათხოვილს კი არ მოაკითხს,
ადარ ახლეს ხელი თურმე ოჯახიდან გასულს,
სხვა, ანუ ქმრის გვარზე გადაწერილს. მისი
პაწია და-შები ქარხორშაკსა და უდაბნოს
პაპანაქებაში, შშიერნი და უსახლკარონი,
ისე გადაყარა ხელისუფლებამ, როგორც
უსარგებლო, არაფასეულ, ყოვლად უფარგის,
გამოუსადეგარ, თავიდან მოსაცილებელ ხა-
რახურას ექცევა დასახლისი.

ვხედავ მათ: დაზაფრულ ბავშვებს, რო-
გორც საშინელებათა ფილმში, ქვეწარმატებე-
თან ერთად რომ სძინავთ და შეშლილობამდე
მისულ დედას ამღვრეული სახითა და თვა-
ლებით, თვედაუზოგად, რაღაც სასწაულით
მოპოვებული, უკანასკნელ პურის ნაჭერზე
გადაცვლილი ცოცხით, სადღაც გადამალუ-
ლი პირველი მანქანებით ცოტა ხნით მაინც რომ
ახერხებს ამ გესლიან არსებათა განდევნას

აქაურობიდან. ვხედავ და ძალიან მეშინია ქვეწარმავლებისაც და ბედის უკუღმართობისაც. ჩემც რომ გადაგხსახლონ იმ საშინელ შუა აზიაში, რა გვეშველება?

ვხედავ რუსეთ-თურქეთის საზღვარსაც. ვერაფრით ვერ ამისნია, ჩემი სამშობლოს, დედასაქართველოს აჭარულ მიწაზე რატომ გადის საზღვარი ორ უცხო სახელმწიფოს შორის. მხოლოდ დიდობაში მიყვადი, რომ იმ გველებაპა მაჯლაჯუნებმა დაგვსაჯეს, დაგვცინეს, ჩაგქოლეს, რადგან მოგვერივნენ სამშობლოდაუძლურებულებს, თავისუფლებადაგიწყებულებს, რაკიდა ქარტეხილების მოტანილი დამოუკიდებლობა სისხლში ჩაგვიხრჩვს!

და ამიტომაც ახლა ეს საზღვარი ჯალათის გულმოლგინებით დაუნდობლად გადაჭრის-გადახერხავს შუაზე მიწასაც, სოფელსაც, ეზო-კარსაც, ოჯახსაც, დედაშვილობასაც, მამაშვილობასაც, ბიძაშვილმამიდაშვილობასაც, ნალიასაც, ღობესაც, ორლობესაც, ბაღჩასაც, ყანასაც, სათამაშო მინდორსაც, წისქვილსაც, ბედისაც. გადაჭრის, გადახერხავს და მერე უჩინარი კედლით გაყოფს, დააშორებს. აკი ეშმაკი რის ეშმაკია, თუ ადვილად ვერ ყოფს ნათესავებს და ვერ აშორებს გულებს.

იქით დარჩენილებსაც ვხედავ, თითქოს ნისლი გაიფანტაო. არადა აქამდე საზღვარს იქით არავინ მეულებოდა ჩვენიანი. მე ხომ საზღვარიც არ მინახავს, საზღვარი კი არა, ხელახაურის რაიონის ორიოდე სოფლის იქით, ბათუმიდან ორ ათულ კილომეტრში აღარ გაშვებდნენ იმ დაქცეული იმპერიის ქოფაკი დარაჯები. არადა, ამ საზიზღარი, ცივ-სისხლა საზღვრის მიღმა თურმე ჩემი სისხლი და ხორცი ცხოვრობს, ჩემი ჩვენებურუები, ჩემი ქართველები, ჩემი გურჯები, ფუდიმე დეიდას, მუხამედ ბაბუს, ემინე ბებიას, იბრაიმ ბიძიას, ასევე ბიცოლას, ფრიდონ ხალვაშისა და ალი ხორავას ნათესავები!

ამ ნისლის გაფანტვამდე ჯერ შორია. სკოლა უნდა დაგამთავრო, მერე ინსტიტუტი, მეტროპოლიაში წავიდე კიდევ სასწავლებლად და იქ გაეხდე მოწმე იმპერიის დასუსტებისა, კოლონიების დამოუკიდებლობისა, საზღვრების გახსნისა...

გადავიარე სარფი და ისევ საქართველოში აღმოვჩნდი. თურქეთიმდე ჯერ კიდევაა სავალი. მანამდე ყველაფერი ჩემს სამშობლოს ჰგა-

ვს ტყუპისცალივით. ვთოომ საზღვარზე სარგვჩაუდგამთ და გზა იმ სარეცხი გაგრძელდა: ისევ იმნაირ ზღვის სანაპიროს მოუყვები, როგორითაც სარფამდე მოვედი, ოდონდ ამჯერად სარგასმიღმეთში ვარ. ეს ჩემი საოცრებათა ქვეყანაა, სადაც სარკისწინეთის შავი ზღვის სანაპირო უფრო კლდოვან, ქვიან მიწასა და მღელვარე ზღვაში გრძელდება, ქართული გზა-ტკეცილი — თურქულ ოტობანში, ეკლესიები მეჩეთებითაა ჩანაცვლებული, ვენახები — თხილის ბაღებით, თხილნარები — მანდარინის ბაღებით, მანდარინის ბაღები — ნარინჯ-თურინჯით, ნარინჯ-თურინჯი — სიმინდის ყანებით, სიმინდის ყანები — ბაღჩა-ბოსტნებით...

ტრაბზონში პირველად ვხვდები ქართულად მოლაპარაკე თურქეთულ ქართველებს:

— რა ლამაზი ქართული აქვთ, რა გულთბილები არიან, რა კარგები! — იცრებლებიან დედაჩემი და მამაჩემი.


მე ჯერ კიდევ არ ვიცი, რომ გაივლის წლები და ლამის მოულ თურქეთს მოვთვლი, ყველგან შევხდები ჩემს თურქეთულ ქართველებს: ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში, იმერხევსა და მაჭახელაში, ისტანბულსა და იზმირში, ბურსასა და ანატოლიაში...

საუბრისას ხანდახან დაირცხვენ იმის გამო, რომ გამართული ქართული არ იციან, მაგრამ ჩვენი სიხარული, გულის სითბო და სიყვარული მაღვევე გაათამამებთ.

კიდევ მაშინ დაიმორცხვებენ, როცა ჩვენს სახელებს გაიგებენ. საკუთარ სახელებს რიდით წარმოოქმნენ. მე კი ჩემს აჭარლებს გავიხსენებ, იმათ მოვუხმობ და ისევ წაგათა-მამებ ჩვენებურებს.

ბათუმი, 1950-იანი წლები





ნოდარ დუმბაძე

მინდა ყველას გადაექციო, განსაკუთრებული და მინდა ფადიმე დეიდას, მუხამედ ბაბუს, ემინე ბებიას, იბრაიმ ბიძიას, ასიე ბიცოლას, ესედ ვერძაძეს, ფატი გენჯაძეს, ასმათ ფარტენაძეს, ჯამბულ ნინიძეს, თენგიზ ქათამაძეს, ნოდარ დუმბაძეს, ფრიდონ ხალვაშეს, იუსუფ ფადავას, პარმენ ლორიას, ჯამალ ჯაყელს და კიდვე ასობით ადამიანს, ვინც უჩუმრად აგებდა ამ ხიდებს ჩემს სულსა და გულში, ხიდებს, რომლებმაც ჩვენებურებთან მიმიყვანეს!

არუცლელსა სად მიმიყვანეს...

ვეღარ მოვიცალე. ორი დღეა, რაც ჩამოვედი ისტანბულიდან. ვფიქრობდი, დავჯდები, დავწერ, ამოვთქამ და იქნებ მოვისვენო-მეთქი. ვერ მოვიცალე. ამიტომაც გადავწევიტე, მოუცლელს დამწერა ცოტა რამ.

ისტანბულში რომ ვარ, ყოველთვის ვეძებ. ვეძებ იმ სახლს, იმ ბუდეს, იმ ეზოს, იმ

ქუჩას, იმ უბანს, სადაც მიმიყვანს ამ ქალაქის ჩაის ფერითა და არომატით გამობარ შენობებსა და ორი ზღვის გრილ სანაპიროებს შორის ხეტიალი, თოლიების ყივილისა და მათი ფრთების ტყლაშუის ექო, საამო ნიავით გადაუზღული ქალაქის საცნობარო წიგნები და აღმოსავლეთისა და დასავლეთის საპარმნოდ აგებული გრძელი ხიდები...

მიმიყვანს, აუცილებლად მიმიყვანს და ჩემი გული მაშინვე იცნობს იმ სახლს, იმ ბუდეს, იმ ეზოს, იმ ქუჩას, იმ უბანს, რომელიც, რაც თავი მახსოვს, უკადრისობებს ჩემი ტვინის მქსიერების ტერიტორიას და ოდენ ქვეცნობიერში სახლობენ.

იქნებ სულ სხვანაირად მოხდა ყველაფერი.

იქნებ, დედახემი და მამახემი სამოგზაუროდ იყვნენ ამ ზღაპრულ ქალაქში ჩემს დაბადებამდე, უფრო ზუსტად, ჩემს დაბადებამდელ ბავშვობაში!

ამიტომაც შევიგრმნობ აქაურობის ცოცხალ სხეულს, მისი გულისა და ძარღვების ფერტებას, სისხლისა და ლიმფის მიმოდინებას, მძლავრი კუნთების დაძაბულობასა და სხვადასხვა შეფერილობის კანის აბურძებენას, ათასნაირი ტებილეულის გემოსა და სამხარეულოს ნაირ-ნაირ სურნელს. იმასაც შევიგრმნობ, როგორ უსახლდება აქაურობას ნაირსახა ვნებისა და განცდის კანკალი თითებში, მერე მუხლებში ჩადის, გულსაც აღწევს და ხმაში ტყდება...

ან იქნებ დიდედახემი და პაპახემი?!

ან იქნებ ვინებ სხვა ნათესავი?!

თუმცა ხომ გვახსოვს წარსული და ამ წარსულში ჩვენი ცხოვრებიდან ამოგლეჯილი ადამიანები, ამ ამოგლეჯის შედეგად გაჩერილი სისხლითა და ოხვრა-კვნესით მწვეთავი ჭრილობები, ამ წარსულშივე აშენებული ჩინურივით დიდი, ოღონდ რეკინის კედელი იქითურ და აქეთურ, ჩვენსა და ჩვენებურ ქართველთა შორის, ისეთი დიდი და ოფლუწვდენელი რომ გვევრნა — სამუდამოდ!

მიმიყვანს, აუცილებლად მიმიყვანს და მე მაშინვე ვიცნობ იმ ფანჯარას, სადაც ახლა აზალიები და სენპილიები ჰყავის, აგურის სახლის სიძველისგან დაბზარულ და მაინც საიმედო კედლებს, ჭიშკარს, საიდანაც იწყება ხელისგულა ეზო შიგნითა მხარეს, ხოლო როგორც კი შემობრუნდები — ჩვენი უბნის ვიწრო ქუჩები.

სასტუმრო ოთახში — შავ-თეთრი ტელე-ვიზორი, გრამოფონის შემცვლელი, მელო-დიაჩქტერილი ფირფიტების საკრავი და შავი ტელეფონი, კიდევ — ორი გახუნებული მწევანე ფერის საყარძელი, ბამბუკის თაროები, სამი შავი ვენური სკამი და შავივე მაგიდა.

კი, ვიცი, ახლა სულ სხვანაირი ინტერიე-რი დამხვდება, მაგრამ ისიც ხომ უეჭველია, რომ ყოველი ძეველი ნივთი უცნობ ქალაქში, შორეულ მხარეში, უცხო უბანში ან სხვა კონტინენტზეც კი გადასახლებული ან სუ-ლაც გარდაცვლილი ადამიანიებით იმისთანა რამეს ტოვებს — საკუთარი არსების იმისთანა უხილუა ნაწილს, რომ წლების მერეც იოლად გრძნობ, იქ რომ ხარ, მათ სამყოფელში და არა სადმე სხვაგან.

ისტანბული, სტამბოლი, კონსტანტინოპოლი, ახალი რომი, ისტინბოლინი, ბიზანტიუ-მი, ბიზანტიონი!.. შეუძლია კი მატიანებს, დაიტიოს ყველაფერი, რაც ერთი ქალაქის ამ განსხვავებულ სახელწოდებათა მიღმა იმდე-ბა?! ოცდაშვიდასუუკუნგანი ისტორიული გზა იტევს ოთხი უზარმაზარი სახელმწიფოს — რომის, ბიზანტიის, ლათინური და ოსმალოთა იმპერიების დედაქალაქებას!

არადა, 1923 წლიდან იგი მხოლოდ ყო-ფილი დედაქალაქის ჩინს ყაბულდება, თუმცა მისი მეტროპოლიური ბრწყინვალებისა და დიდებულების შემხედვარუ ვინ გაბედავს მის საპარწონედ სხვა ქალაქის მოაზრებას?!

მით უფრო გასაკვირა, როგორ ახერხებს იყოს ასეთი შინაურული, გულიანი, კეთილ-შობილი? როგორ ახერხებს ამდენი უცხო-ტომელის მოხიბვლას, მიზიდვას, შეფრებას, დაპურებას?

მის ქუჩებში კი ისე დანაგარდობენ თო-ლიები, როგორც სხვაგან ზღვის სანაპიროზე თუ შეამჩნევ მხოლოდ, ისე როგორც ჩვენში მხოლოდ ბეღურები და ყვავები გრძნობენ თვეს.

ორშაბათს, ცოტა არ იყოს, ადრე ვბრუნ-დებოდი სასტუმროში. მანქანიდან დავინახე თოლიები, უამრავი თოლია ფათიპის მეჩეთის თავზე სტამბოლის მზიან ამინდში ულურჯე-სი ცის ფონზე. თოლიების ასეთი სიმრავლე არასოდეს მენახა შავი ზღვის პირას გაზრ-დილს. ალბათ მეთხუთმეტე საუკუნემდეც ასე დაფარფატებდნენ, ახლაც დაპოფინებენ აქაურობას და მერმეც არ მიატოვებენ.

მხატვარი რომ ვიყო, ამას უსათუოდ

დავხატავდი: როცა „ცა თოლიებით თოვს“, — აკი „ვეღარ ვუყურებ ნაცეცხლარიდან ბოლს“.

მერე მათრობს გემით გასეირნება ბოს-ფორის სრუტეში: მარცხნივ და მარჯვნივ გაწოლილი, გააზიზებული სანაპიროების დაბინდული გმოოხედვა, შინაურულად ვიწრო ქუჩების მოჩვენებით უკაცრიელობა, თეთრო-სანი სასახლეების ოსმალური შესამოსელი-ვით სიხალვათე და სილახათე.

ბაღები და შადრევნები ერთმანეთში ირჯვა და ისტორიული კალეიდოსკოპიც იწყებს ტრიალს: წარსული, აწყო და მომავალი ხან ერთმანეთის ერწყმის,

ხან კიდევ შორ სიყრცეებში გაიჭრებან — რომელი საით, და შენშიც აირეკლებიან.

მერე გემი ისევ ნაპირს მიადგება და ფეხით გავუყვები ჯერ სანაპიროს, მერე ფართო ქუჩას გადავჭრი და ვიწრო ქუჩაბანდებში შევიმალები.

ვუყურებ სახლებს, აივნებს, ფანჯრებს, ვიტრინებს, გამოფენილ ხილს და ნაირ-ნაირ ბოსტენეულს... ხანდახან ქვაფენილსაც ვა-ცქერდები და ვხედავ ყველასოვის უხილუა ხაფეხურებს, ჩემთვის კი ნაცნობს და საყვა-რელს...

უფრო თამაბად მივაბიჯებ ხალიჩებსა და ჩაიხანებს შორის.

უკან დამედვენება შაქარლამის სურნელი და ვაჭართა მიპატიუებების ქორო.

წინ მიმიძღვის ანგელოსი, რომელიც ამ ქალაქმა მომიჩინა.

მიმიყვანს...

გამა ადამი (ახალაძე)





სტამბოლი, კაფე „გალაკტიონი“ – საქართველოდან სტუდიად ოურქეთელ ქართველებითან (შუაში მამა ადამი). მარც ხნიდან პირველი – მწერალი ორაკლი კაკაბაძე, სწორებ მან გახსნა კაფე „გალაკტიონი“ სტამბოლში. ეს კაფე ბეიოლლუს უბანში, გალათას კოშკთან მდებარეობს.

გამახელიერ, ღმერთო, გულისთვალი!

გაცრუცილი ქალალი უპოეს გულისჯიბე-ში. წერილი აღმოჩნდა, გაუგზავნელი, ან იქნებ არც არასდროს მოსვლია აზრად, ვინმესთვის გაეგზავნა. წერილი მელნი იყო ნაწერი და ალაგ-ალაგ აღარც იკითხებოდა. არ დაფიძნე. მოული დამე ვარჩევდი ასო-ასო თითოეულ სიტყვას და დილისთვის მთლიანად გადავათეთრუ.

აი, რა ქწერა გაცრუცილ ქალალდზე:

„ჩემო გურჯებო, ჩემო ქართველებო!

მე ისე მიყვარხართ, რომ შეიძლებოდეს, თქვენთვის დავთმობდი და გაჩუქებდით ჩემს ერთადერთ ბედნიერებას – იყო ქართველი სამშობლოში და გტკაოდეს საქართველო და ამ ტკივილით ნუგეშობდე და გიხარიდეს!

რომ შეიძლებოდეს, მე თქვენს მაგივრად დაურჩებოდი უცხო მზისქვემეთში. დავიტანჯებოდი. გული დამინაწიბურდებოდა იმდენჯერ, რაძლენჯერაც მასში ჩამოდენილი სისხლი ქართულად აჩქარდებოდა, ახმაურდებოდა, მოულ სხულს ამითოთოლებდა და მოცახცახე ამ გულს და სისხლს კიდევ ერთ თქენგნის გაჩუქებდი და ისევ გაგარძელებდი ლოცვას.

და როცა ღმერთი ისევ გამახელინებდა ჩემში გულისთვალს და დავინახვდი სიქართულეს ჩემი ძალაგებისას, ვიგრძნობდი, აპა, სისხლის მდინარებას არაგვის ან ჭოროხის ძახილი

შემოერიაო, ისევ ამოვიგლეჯდი ამ გულს, სულერთიანად ამოვისხაპავდი ამ სისხლს ყველა ძალვიდან და კვლავ ერთ თქენგნის ვაჩუქებდი! და ასე ათასჯერ და ასიათასჯერ.

ასე და ამგვარად ჩვენ – ღმერთი და საქართველო და მე დაგიბრუნებდით შვილებდაფანტულ და ბადიშძაკარგულ და ნაგრამვერდაბრუნებულ დედის კალთაში.

მე ისე მიყვარხართ...

მე ისე მიყვარხართ, რომ მეშინა... ვაითუ ვერ დაგიბრუნოთ. ამას ვერ შევეგუები. მე ამიტომაც მეშინა სიკვდილის, რომ ვაითუ ვერ მოვასწრო ის, რაც უნდა გაეკეოთ.

ჩემო გურჯებო, მენატრებით! მეცრემლებით, მეტკვილებით, მესველებით და არაფერი მიხარია, ვიღრემდის... ვიღრემდის არ დაგიბრუნებთ!

მე ხომ მიყვარხართ, როგორც მტკვრის წყლის ერთ წვეთს უყვარს სხვა დანარჩენები, რადგან იმ დანარჩენთა გარეშე იგი მდინარის წვეთი ვერ იქნება...

მე ხომ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ თ, როგორც მიწა უყვარს ამ მიწაში გადგმული ფესვებიდან ამოზრდილ ნორჩ ხერგს.

მე ისე მიყვარხართ, როგორც მხოლოდ ქართველს უყვარს ქართველი.

**მამა ადამი
(ვახტანგ ახალაძე)**

სტალინის ქალიშვილის გაეცავა სსრპ-დან

რატომ არ სურდა არც ერთ ქვეყანას თავშესაფრის
მიცემა სვეტლანა ალილუკასთვის


41 წლის ასაკში, ანუ ნახევარი ცხოვრების გავლის შემდეგ, სკოტლანდია ალილუკამ საბჭოთა კავშირი დატოვა, როცა ბოლოს და ბოლოს მან აშშ-ის ტურისტული ვიზა და იქ ჩასვლის თანხმობა მიიღო. ამერიკელები მას ისე შეხვდნენ, როგორც საბჭოთა კავშირიდან გაქცეულთა შორის ისტორიაში ყველაზე ცნობილ ადამიანს. სკოტლანდია იოსებ სტალინის შვილი გახლდათ და მართლაც ასე იყო.

საბჭოთა კავშირში სკოტლანდია ალილუკას ცხოვრება ნამდვილ ჯოჯონეთად იქცა. დედამ, ნადევდა ალილუკამ, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მაშინ სკოტლანდიაში წლისაც არ იყო. წმენდას, როგორიც სტალინმა მოაწყო 30-იან წლებში, მისი მრავალი ნათესავი ემსხვერპლა. საყვარელი დედა მარიამი და ბიძა ალექსანდრე სვანიძე — სტალინის პირველი ცოლის ძმა, დააპატიმრეს და როგორც ხალხის მტრები, ისე დახოცეს. მათი ვაჟიც, სკოტლანდიას ბავშვების მეგობარი, უკალილ გაქრა. ბიძა სტანისლავ რედენსიც, ნადევდას დის, ანას მეუღლე, დახვრიტეს. სკოტლანდიას ბიძამ, პავლემ (დედის ძმამ), პანიკურ შიშში ცხოვრებას ვერ გაუძლიო და ინფარქტით გარდაიცვალა. სკოტლანდია 17 წლის როცა იყო, მამამისმა მისი შეყვარებული, აღექსი კაპლერი 10 წლით გულაგში გამოეტა...

სკოტლანდიას ცხოვრებაში ტრაგიკული მოვლენები სტალინის სიკვდილის შემდგაც გაგრძელდა. მისი უფროსი მმა ვასილი დააპატიმრეს, ხოლო 1962 წელს ღოთობით გარდაიცვალა. მისი ლიტერატურული მეგობრები 60-იანი წლე-



დედა-შვილი
— ნადევდა
და სკოტლანდია



სვეტლანა,
ლავრენტი
ბერია და
სტალინი

ბის ნახვარში ერთომეორის მიყოლებით გაუკენეს შრომით ბანაკების გზას. როცა სვეტლანამ ბოლოს ცოტა სიმშეიდე ჰპიტა ბრაჯშ სინხის (ინდოელი პოლიტიკოსი, მოსკოვში მთარგმნელად მუშაობდა) მელავებში, მას ოფიციალური ხელმოწერის უფლება არ მისცეს, თუმც კი სიცოცხლის ბოლო დღვებს ითვლიდა. ბოლოს სვეტლანას წება დართუს, შეყვარუბულის წემტი მის შმობლიურ ინდოეთში ჩაეტანა.

განგის პირას

როცა მისთვის მიჩენილ მზრუნველთან, ვინმე კასიროვასთან ერთად სვეტლანა თვითმფრინავიდან დელის აეროპორტში ჩავიდა, 1967 წლის 20 დეკემბერს, მას საბჭოთა კავშირის საელჩოს მეორე მდგრანი და საელჩოს კიდვე ორი მოხელე დახვდა. აეროპორტიდან ისე სწრაფად გააქანეს, რომ უერნალისტებმა ორი სიტყვაც ვერ ათქმვინეს. საელჩოს თანამშრომლებმა ჩამოართვეს ვიზა, პასპორტი და ბილეთი. სვეტლანას სურდა, ბრაჯშის ძმისშვილის სახლში დაბინავებულიყო, ძაგრამ იგი საელჩოს სასტუმროში წაიყვანეს. მის ოთახში მხოლოდ საწოლი და მაგიდა იდგა. სხვა კველაუერი გაქროი, ტელეფონიც კი. თუკი ვინმესთან საუბარი მოუნდებოდა, სასტუმროდან საელჩოში უნდა წასულიყო და მასზე მიმაგრებული საელჩოს თანამშრომლის თანდასწრებით დარეკა.

სვეტლანას განუმარტეს, რომ საყვარელი ადამიანის დაკრძალვის ცერემონიალს

ფარულად უნდა დასწრებოდა. მასმედიასთან ურთიერთობა ეკრძალებოდა, მოსკოვშიც ღიოზე უნდა დაბრუნებულიყო.

დაკრძალვის ცერემონიალი სვეტლანას მისვლისთანავე დაიწყო. გარდაცვლილის ძმისშვილმა სვეტლანას ურნაში ჩასვენებული ნებტი გამოართვა და პროცესის წინ გაუძღვა. ინდოეთში ურნა წესით მამაკაცმა უნდა წილოს. სვეტლანა და სხვა ქალები ტერასაზე აჯირდნენ და იქიდან უცემერლენ პროცესიას. ქალებს მასში მონაწილეობის მიღება ეკრძალებათ. მამაკაცებმა ურნა ნავით წაიღეს და შუაგულ განგში, წალში ჩაუშვეს. სვეტლანა ატირდა.

ალილუევას გადაწყვეტილი პქნიდა, 4 იანვარს მოსკოვში არ დაბრუნებულიყო. ინდოეთში მეტხანს აპირებდა დარჩენას. ვიზა ერთვიანი პქნიდა და საელჩო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. დელიში გაჩერება 20 იანვრამდე სურდა, ამიტომ საელჩოს ხელმძღვანელობას წერილი მისწერა და ამის შესახებ აცნობა. წერილი კასიროვას გაატანა. ამგვარად ცდილობდა მისი ზედამხედველობიდან გათავისუფლებას. მართალია, კასიროვა პანიკაში ჩაგრდა, რომ ეს შესაძლოა ძვირად დასჯდომოდა, მაგრამ სვეტლანას აზრი არ შეუცვლია.

მას იმედი პქნიდა, რომ ინდოეთში დასახლების უფლებას მიიღებდა. მაგრამ ამის ორგანიზება როგორ უნდა მოხერხებინა? გადაწყვეტა წიგნის დაწერა (ავტობიოგრაფიული: „ოცი წერილი მუკინისას“). იქნებ მისი გაყიდვა

მოქეურხებინა? მისი აზრით, ტექსტი აპოლიტიკური იყო, ერთგვარი საოჯახო დღიურის ფორმის, თუმცა დიდ ინტერესს გამოიწვევდა. ის ხომ სტალინის ოჯახის შესახებ იქნებოდა.

სვეტლანამ პარიზში გამომცემლის, ემანუელ დ'ასტერის მეუღლეს, ლიუბა კრასინს, რომელსაც მოსკოვიდან იცნობდა, წერილი მისწერა. წერილში გამოუტევდა, რომ ინდოეთში იმყოფება და საბჭოთა კავშირში დაბრუნება არ სურს. ეკითხებოდა, თუ მოახერხებდა წიგნის საზღვარგარეთ გამოცემას? ეს მიწერ-მოწერა დიდად სარისკო საქმე იყო, თუმცა უკეთესი გზაც არ ჩანდა. რამდენიმე დღის შემდეგ ლუბას ტელეგრამა მიიღო: „დიახ, შესაძლებელია“. ამის შემდეგ მან აშშის საელჩოში მისვლა გადაწყვიტა.

გაეცვა

სვეტლანას წერილი ინდოეთში ყოფნის დარჩენის ვადის გაგრძელების შესახებ მოსკოვში გაიგზვნა. ცხადია, წერილით არაფერი გადაწყდებოდა, მაგრამ სვეტლანა დროის მოგებას ცდილობდა. მალე აცნობეს, რომ ვიზიტი ისედაც გაგრძელდა, მან ხომ უკვე გააკეთა ის, რისთვისაც ინდოეთში ჩამოედა. ამის მიუხედავად, ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიზა 15 მარტამდე გააგრძელა. ქვეყნის ტერორისა 8 მარტს უნდა დაეტოვებონა.

სასტუმროში და საერთოდ, საელჩოში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დონის სძიებისთვის ემზადებოდნენ, მუშაობდნენ მოხსენებებსა და საკონცერტო პროგრამაზე. სვეტლანას გულს ურევდა ყოველდღიურად მოსმენა, როგორ იძენდნენ საელჩოს თანამშრომელები ნივთებს, რათა მოსკოვში გადაეყიდათ.

მალე სვეტლანა ელჩმა სადილად მიიწვია. სვეტლანა საჭმელს თითქმის არ შეხებდა. ელჩი კმაყოფილი დარჩა, რომ სვეტლანას მისთვის პრობლემები არ შეუქმნია. — ვფიქრობ, რომ ინდოეთში ვიზიტით კმაყოფილი სართ, ამხანაგო, — უთხრა დამშვიდობებისას.

სვეტლანამ მკვეთრი რეპლიკისგან ძლიერ შეიკავა თავი. მას ხომ დოკუმენტები, მათ შორის, პასპორტი ჰქონდა გამოსართმევი. და ძალიან გაუკვირდა, რომ ისინი მართლაც დაუბრუნეს. ეს ნამდვილად იმით აიხსნება, რომ ელჩი სიხარულით აღარ იყო, რომ ასეთ სახათაბალო, არასასურველ სტუმარს თავიდან იშორებდა.

სასტუმროში სვეტლანა ნაშუადღვს დაბრუნდა. თავდაპირველად ფიქრობდა, ამერიკის საელჩოსათვის მეორე დილით მიეკითხა. ბარგი ჩაალაგა, მათ შორის, ხელნაწერი და საჩუქრები (სვეტლანა საბჭოთა კუშირში ორ შეილს ტოვებდა — იოსებსა და ეკატერინეს). შენიბიძან გამოვიდა და მორიგეს პეიტხა, ტაქსი როგორ გამოეძახებინა. მანქანის გამოძახება მეორე დილისთვის სურდა.

სასტუმროს ოთახში მძიმე ნაბიჯებით დაიწყო სიარული. კიდევ ერთხელ ჩახედა ბავშვებისთვის შეძენილ საჩუქრებს. თან თავისი გეგმის ყოველ დეტალს გულდასმით ამოწმებდა. შემდეგ ტაქსი შეუკვეთა.

მალე გონება გაუნათდა: რატომ უნდა დალოდებოდა დილას?! ეს დაუყოვნებლივ უნდა მოემოქმედა. დილით ყველგან ბევრი ხალხი იქნება. იქნება დაბნეულიყო, შეშინებოდა და უარიც კი ეთქვა თავის განზრახვაზე. უმჯობესი იყო დამის საბურველქვეშ გაქცევა. მით უფრო, რომ ახლა ყველა ერთობოდა და მის გაუზინარებას ვერავინ შეამჩნევდა.

ექვსი საათისთვის სვეტლანა სასტუმროდან გამოვიდა, რათა ტაქსი გამოეძახა. მალე უკვე მანქანაში იჯდა.

— ამერიკის საელჩოს მისამართი თუ იცით? — პეიტხა მძღოლს.

გახლილი და სვეტლანა მამასთან ერთად





სეგტლანა 40-იანი წლების მიწურულს

1967 წ.



1985 წ.



— რა თქმა უნდა, ახლოსაა.

როგორც ჩანს, ინდოელი მძღოლი კლიენტის განზრახვას მიზდა.

„ორამორათ აქაურობას!“

ნიუ-დელისა და ვაშინგტონს შორის 10-საათიანი განსხვავება სეგტლანას სასარგებლოდ მოქმედებდა. ვიდრე ამერიკული დიპლომატიური მანქანა სრული დატვირთვით ამუშავდებოდა, სტალინის ქალიშვილი უკვე რომისკენ მიმავალ თვითმფრინავში იჯდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფონ კოლერი ძლიერ განრისხდა, როცა თავისი ელჩის, ჩესტერ ბოულსის გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო. მან უცებ მოიფიქრა შემდგომი მოქმედების გეგმა.

6 მარტს აშშ-ის სახელმწიფო მდგვანმა დან რასები საიდუმლო ტელეგრამა გაუგზავნა ლეველინ თომასონს, სსრკ-ში აშშ-ის ელჩს და აცნობა, რომ სტალინის ქალიშვილმა შეერთებულ შტატებს თვეშესაფარი სოხოვა; რომ სეგტლანა კომერციული თვითმფრინავით უკვე მიფრინავდა რომისკენ, ამერიკის საელჩოს ერთ-ერთი თანამშრომლის თანხლებით. აცნობა ისიც, რომ რომიდან აშშ-ში გასამგზავრებელი ბილეთი სეგტლანას არ ჰქონდა.

დიპლომატიურმა უწყებამ გააფრთხილა ასევე ამერიკელი ელჩი იტალიაში ჯორჯ ფრედერიკ რენპარტი, რომ სეგტლანას შტატებში ჩასვლა ცუდი იქნებოდა. საქმეს პოლიტიკური ხასიათ მიეცემოდა. ამის თვითდან აცილება საჭირო იყო ასევე სეგტლანას პირადი უსაფრთხოებისთვისაც. შტატებში მიაჩნდათ, რომ უკუთხსი იწებოდა, თუ სტალინის ქალიშვილი შევიცარიაში, ესპანეთში ან იტალიაში მიიღებდა თავშესაფარს. სახელმწიფო მდგვანი თანამშრომლებს სოხოვდა სეგტლანასთვის აქსნათ, რომ ეს მის ინტერესებშიც იყო.

ამერიკის ადმინისტრაციას ამ სახის პოლიტიკური გაროულება სულაც არ სურდა. ნებისმიერი გზით სეგტლანა ევროპაში უნდა გაეჩერებინათ. როცა 7 მარტს, დილის 6 საათზე სეგტლანა და ბობ რეილი (ინდოეთში ამერიკის საელჩოს მეორე მდივანი რობერტ რეილი) რომის აეროპორტში თვითმფრინავიდან ჩავიდნენ, ამ უკანასკნელს ეგონა, რომ შტატებისკენ გამგზავრებაში მათ სელს ვერავინ შეუშლილა. ამიტომ ძალიან გაოცდა, როცა მათ ამერიკის ელჩის მოადგილე დახვდა და ცუდი ამბავი შეატყობინა.

რეილს განუცხადეს, რომ აშშ პრინციპულად წინააღმდეგი იყო სკეტჩანას მიღებისა და მათ შტატების კენტრის გაგრძელებას უკრძალავდა. ფორთიკული კოლერი ამტკიცებდა, რომ სსრკ-თან დიპლომატიური ურთიერთობა ბოლო ხანებში გაუმჯობესდა და ამგარი ნაბიჯის გადადგმა სასარგებლო არ იქნებოდა. თავის მხრივ, რეილისა და მისი თანამოაზრე კოლეგების აზრით, ეს არგუმენტი ნაკლებ-სარწმუნო იყო და ასეთი იდეა მხოლოდ კოლერის თუ გაუჩნდებოდა. თუმცა, დიპლომატიურ მოხელეთა გადაწყვეტილებების თანახმად, სკეტლანას ჯერჯერობით წასასვლელი არსად ჰქონდა. ის აუროპორტის ერთ ოთახში შეიყვანეს, სადაც რეილთან ერთად მოვლენების განვითარებას უნდა დალოდებოდა.

როდესაც იტალიელმა ადმირალმა ეუგენიო ჰენრიკემ განუცხადა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, ამინატორე ფინფანის, რომ სტალინის ქალიშვილი დილას რომში ჩამოფრინდა, ეს უკანასკნელი განრისხდა:

— მოატორეთ იგი აქედან, სასწრაფოდ! მისი აქ ყოფნის კვალიც კი წაშალეთ!

— კეთილი, აეროპორტში საერთაშორისო სექციაში დავიკავებთ ადგილს, საიდანაც ვერავინ გაგვყრის, — განაცხადა ადმირალმა.

ამ ნაბიჯის წყალობით, სკეტლანა და რუილი იტალიის ტერიტორიაზე არ იქცოვებოდნენ. მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში აშშ-ის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჯსტრალიისა და ახალი ზელანდიის მთავრობებს დაუკავშირდა. არც ერთი მათგანი არ დათანხმდა სტალინის ქალიშვილისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემას. მხოლოდ სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა იყო ყაბულს, მიეღო ალილუევა, მაგრამ თავად სკეტლანას არ ქადა გამგზავრება იქ, სადაც ჯერ კიდევ მბვიწვარებდა აპარტეიდი.


შვიტარა დათანხმდა სკეტლანას მცირე ხნით შეფარებას. ოღონდ ეს ნებართვა უნდა დაემტკიცებინა ქვეყნის მინისტრთა საბჭოს, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ შეიკრიბებოდა. ამგარი დაგვიანება ძალიან აღიზიანებდა იტალიურ მხარეს, თუმცა, ამის მიუხედავად, როგორც რეილი ამტკიცებდა, „ადმირალ ჰენრიკეს მათი დეპორტირება არ ეწარდა“. აშშ-ის საგარეო საქმეთა სამინისტრო შეპპირდა იტალიელებს, რომ თუ შვეიცარიელთა დელეგაცია პარასკვე დილით არ გამოცხადდებოდა, ლტოლვილი დაუყოვნებლივ გასწევდა შეერთებული შტატების კენ.



ფოთი
კოლერი



დინ რასკი



ჯორჯ
კენანი



სვეტლანა
ალილუევას
მიმართ
დასჯლეთში
ინტერესი
დიდი იყო

შტატებში — შვეიცარიის გავლით

სვეტლანა და რეიილი დამუკრძნდნენ. ბინაში მხოლოდ ერთი სწოლი იდგა, რომელიც სვეტლანას მიაკუთხებს. ტელეფონი შეუსვერებლივ რეკვედა. ყოველი საუბრის შემდგვ რეიილი ფერს კარგადა. სამაგიეროდ, სვეტლანასთან მეტობრობა ამშვიდებდა. შემდგვენი სვეტლანა იხსენებდა: „მთელი სიცოცხლე მოთმინებას ვსწავლობდა და კიდევ, თავის ღირსეულად დაჭრას იმ გადწყვეტილებების მიმართ, რომლებზედაც გავლენის მოხდენა არ შემეძლო“.

პარასკევა, ალიონზე ის და რეიილი იმ ცნობამ გააღვიძა, რომ რომში მათი ჩასვლის შესახებ პრესას შეუტყვია. იტალიელებმა მათ დაუყოვნებლივ მოსთხოვეს ქვენის დატოვება და ამისთვის მხოლოდ ზუთი საათი შისცეს. სვეტლანა და რობერტი ჯარისკაცების თანხლებით გაემურნენ თვითმფრინავისკენ, რომელიც ჯერ ლონდონისკნ, ხოლო შემდგვ შტატებისკენ მიღრინავდა. რეიილმა საელჩოში დაურეკა მეგობარს გამოსამშვიდობებლად. „ჯერ ნუ დასხდებით, — უთხრა მეგობარმა, — შვეიცარიელები მოგაყითხავენ“.

საგანგებოდ გამოგზავნილი სამგზავრო თვითმფრინავი, რომელსაც ისინი უნივერსი უნდა ჩაეყვანა, უკვე გამზადებული იყო. სალონში მხოლოდ ორი იყვნენ, და კიდევ ლაინერის ეკიპაჟი. თვითმფრინავი დამის 1-ლ საათზე აფრინდა. სვეტლანა ევროპაში პირველად მოგზაურობდა. რომში მას ამის შესაძლებლობა არ მისცემდა.

11 მარტს დილით სვეტლანამ გადაკვეთა „ტირანის სამყაროსა და სინათლის სამყაროს უზილავი საზღვარი“. თუმცა საქმე ისე მარტივად არ ყოფილა, როგორც შეიძლება ჰგონებოდა. მისი სიცოცხლის მეორე ნახევრის ნამდვილი მოგზაურობა ახლა იწყებოდა. თუ სვეტლანა ფიქრობდა, რომ წლების განმავლობაში მამის ჩრდილში ცხოვრებას წერტილი დაესმებოდა, ნამდვილად ცდებოდა.

სვეტლანა ბეატენბერგის რაიონში ჩაყვანეს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მასზე მთელი მეთვალყურეობა შვეიცარიელებს დააკისრა. ეს უკანასკნელი კი შიშობდნენ და ამერიკელებისგან მოითხოვდნენ, რომ ისინიც მზად ყოფილიყვნენ ყოველი შემთხვევისთვის.

სვეტლანას საქმე ანტონიო ჯანერს, შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორს ჩააბარეს. როლესაც დაინახეს, რომ მასთან შესახვდრად ურნალისტთა მთელი არმია დაიძრა, სვეტლანა ერთერთ მიყრუებულ მონასტერში დამალეს, ხოლო მონაზვნებს მასთან საუბარი აუკრძალეს.

10 მარტს, პარასკევას, დიპლომატსა და ისტორიკოს, საბჭოთა კავშირში აშშ-ის ყოფილ ელჩ ჯორჯ კენანს ტელეფონით დაურეკა. რეკვედა ჯორჯის მეგობარი, CIA-ს თანამშრომელი ლონალდ ჯეიმსონი. „ჩვენ შეგვიძლია ამ საქმეს პოლიტიკური ხასიათი მივცეთ“. მან კენანს სვეტლანას ხელნაწერის წაკითხვა და მისი შინაარსის შეფასება შესთავაზა. ასლების გადაღებაზე CIA-ს ჯერ


კიდევ სვეტლანას რომში ყოფნისას ეზრუნა. ჯეომსონს აინტერესებდა, ტექსტის წაკითხვის შემდგავ კენანს სვეტლანასთან შეხვედრის სურვილი თუ ექნებოდა.

კენანმა სვეტლანასთან შესახვედრად ჩესტერ ბოულსი გამოყო, ხოლო დინ რასეს მისწერა, ალილუება ჩვენი საგარეო პოლიტიკის განსამტკიცებლად უნდა გამოვიყენოთ. თან დაამატა: „მას ესმის, როგორი დიდი როლის შესრულება შეუძლია სსრკ-ს ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესებაში“. კენანი, ამასთან, აფრთხილებდა ბოულსს: „რაკი გამწარებით ეძებს ცხოვრების სახსარს, მოსალოდნელია, რომ ხელნაწერის გამოცემის საკითხში გადაწყვეტილება სწრაფად მიიღოს“.

როცა ხელნაწერის ასლმა შტატებამდე ჩააღწია და 16 მარტს კენანს გადასცეს, ყოფილმა ელჩმა, ავადმყოფობის მიუხედავდ იყი ერთ დამეში, დიდი მღელვარებით წაიკითხა. 22 მარტს კენანი შვეიცარიაში ჩაფრინდა. ურნალისტების ყურადღება რომ არ მიექცია, ჯერ ქალიშვილს მიაკითხა უნივერსიტეტში, სადაც იგი სწავლობდა, ხოლო შემდეგ შენეკის უნივერსიტეტში ღვევცია წაიკითხა. კენანმა მისი ვიზიტის შესახებ სვეტლანას ამცნო. „დიდი პატივია მასთან შეხვედრა, — უთხრეს სვეტლანას, — იგი რუსეთის პრობლემების კველაზე კარგი მცოდნეა“.

იტალიაში სვეტლანა ძალიან ჩააფიქრა ცნობამ, რომ აშშ-ს მისი მიღება არ სურდა. არც ის იცოდა, რის იმედი უნდა ჰქონოდა კენანის დაპირების შემდგა. როცა ეს თავაზიანი დიპლომატი ანტონიო ჯანერის სახლში სვეტლანას შეხვდა, ძალიან მოუწონა ჩანაწერები. ნათელი გახდა, რომ ხელნაწერი დიდი ყურადღებით წაეკითხა. კენანმა გადაწყვეტა, სვეტლანა დაეცვა ამერიკაში ანტისაბჭოურ პროპაგანდაში გამოყენებისგან. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამისგან მაინც ვერ შეიკავა თავი.

კენანმა დაარწმუნა სვეტლანა, რომ თუ მართლა გადაწყვეტდა შტატებში წასვლას, იქ გამომცემელს უპრობლემოდ იპოვიდა. 29 მარტს სვეტლანამ ფირმა Greenbaum, Wolff & Ernst-ს ხელი მოუწერა ორ ხელშეკრულებაზე. ერთია მიხედვით, ფირმას უნდა მოეგვარებინა ყველა საკითხი, რომელიც სვეტლანას ემიგრაციას უკავშირდებოდა, ხოლო მეორით მას ეძლეოდა როგორც უკვე დაწერილის, ისე მომდევნო წიგნების გამოცემის უფლება.





ამავე დროს, შვეიცარიის ხელისუფლება აიძულებდა აშშ-ს, სტალინის ქალიშვილი მათი ქვეყნიდან წაუვანა, მიუხდავდ იმისა, რომ ქალი ამ ქვეყნას პრობლემებს არ უქმნიდა. დინ რასკმა დაითანხმა პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი, სვეტლანა შტატებში შექმნათ, როგორც კრძა პირი.

სახელმწიფო დეპარტამენტმა მედიას განუცხადა, რომ სტალინის ქალიშვილი აშშ-ში ჩამოდის ნახევარწლიანი ტურისტული ვიზით Greenbaum, Wolff & Ernst-ის მოწვევით, რათა წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყვეტილი. დარომ ოფიციალურად, დეპარტამენტს ამ საქმესთან საერთო არაფერი ჰინდა.

ახალი ცერვება

21 აპრილის დღილას ბობ რეილი სასტუმროდან გამოვიდა. სვეტლანა მას უკვე ავტომანქანაში უცდიდა. ორივე ნიუ-იორკში მიმავალ თვითმეტინაზში ჩაჯდა და ფიქციური გვარით გაფრინდა. აეროპორტში უამრავი შეიარაღებული ჯარისკაცი იყო. ჰაერში რეილმა სვეტლანას ჰკითხა:

— როცა დავურინდებით, შეგეკითხებიან, თუ რას გააკეთებთ. ხომ არ ინებებდით, თქვენ მაგიერ მე გავცე ჰასუხი?

— არ არის საჭირო. მე ვუპასუხებ, — უთხრა სვეტლანამ.

მას ქვნანმა ტექსტი დაუწერა, რომელიც აეროპორტში უნდა წარმოეთქვა: „ამ ქვეყნაში იმიტომ ჩამოუდივარ, რომ რუსეთის საზღვრებს გარეთ ახალი ცხოვრება დავიწყო. შეერთებულა შტატების გაცნობის სურვილიც მაქვს. ჩემს წიგნთან დაკავშირებით აქ ბევრ ადამიანს შევხვდები. არ ვიცი, რამდენ ხანს დავრჩები... მგზავრობამ დამდალა, რამდენიმე დღით მინდა დავისუხნო, ვიდრე მედიის წარმომადგენლებს შევხვდები“.

კენანის ამოცანა იყო ისე წარემართა სვეტლანას ცხოვრება, რომ აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისთვის ზიანი არ მიეყნებონა. ყოფილი ელჩი ქალს საკმარისად კარგად არ იცნობდა, სტალინის ქალიშვილს არ ქრისტიანი მისი კონსპექტით სარგებლობა. მას სურდა ნათლად აქტენა ხალხისათვის, რატომ დატოვა რუსეთი. მთავარი მიზეზი სულაც არ ყოფილა წიგნი, არამედ ის დამოკიდებულება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას ჰქონდა სელოვნებისა და ინტელექტუალებისადმი საზოგადოდ. ამტრიკელებს რაც უნდა ეთქვათ, კრემლს მაინც ვერ დააჯერებლენ, რომ CIA-მ „არ მოაშაბადა და არ დააფინანსა“ სვეტლანას გაქცევა. საბჭოთა ხალხს ოფიციალურად უნდა დაეჯერებინა, რომ სვეტლანა მოიტაცეს. მათვის გამორიცხული უნდა ყოფილიყო იმის დაშვება, რომ ქალმა საკუთარი სურვილით დატოვა რუსეთი. ამიტომ რუსებს მისი უკან დაბრუნება სურდათ. ეს კვლავერი სვეტლანამ სახალხოდ ასე ახსნა:

„მათ არ შეუძლიათ იმის გაება, რომ ადამიანს დამოუკიდებლად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება. ვერ გაუგიათ, რომ რუსეთიდან ჩემი სურვილით წიმოვედი, რომ არც რამე შეთქმულებას, თუ რამე ხაფანგის დაგებას ადგილი არ ჰქონია. მათვის ასეთი სცენარი წარმოუდგენელია. მათოვის ადამიანის მხოლოდ ისეთი ქცევაა მისაღები, რომელიც რომელიდაც ორგანიზაციის ინიციატივიდან, კოლექტური ნებიდან გამომდინარეობს. ჰიდაპირ ცოდებს ყრიან, როცა იგებენ, რომ 50 წლის განმავლობაში რუსი ხალხის განუწყვეტელი დამუშავების შედეგად ადამიანის ცნობიერებაში მაინც ვერ დამკვიდრდა სამყაროს ასეთი აღქმა. მათ აღაშფოთებთ ის გარემოება, რომ მთელმა ნახევარმა საუკუნემ ამაოდ ჩაიარა და ხალხს რაღაც აქვს სათქმელი“.

მოაშაბადა ამბობის გრიშიკაშვილმა



„წითელი ექამაკუნები“ და საქართველო

კალინ ფილმიდან „წითელი ექამაკუნები“ (1923 წ.)

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწევისში საბჭოთა იდეოლოგია ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში იყო. ხელოვანს ჯერ კიდევ პერიდა მხატვრული ფორმის განსაზღვრის თავისუფლება, ბრძად არ ემორჩილებოთ და ტლანქ კლასობრივ სქემებს, რასაც მას ახალი იდეოლოგიური სისტემა გარნახობდა. კომუნისტურ-ბოლშევკური მარწუხები არ იყო ჯერ ისეთი მახრიხობელი, როგორც მოგვიანებით. 1921 წლის 15 მარტს, ანუ საქართველოს ოკუპაციის მომდვინო თვეში, რუსეთში გამოცხადდა ნეპი (НЕП — Новая экономическая политика), ანუ ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც საბჭოური ეკონომიკის ჩამომლა თავიდან უნდა აყცილებინა. სამოქალაქო ომის შედეგად, რუსეთი ნანგრევებად იყო ქცეული. ლამის მთელი კოფილი იმპერია შიმშილობდა...


საქართველოს, შეიძლება ითქვას, „გაუ-მართლა“, რადგან კომუნისტური მმართველობის ისტორიაში ნეპ-ის პერიოდი ყველაზე ღიბერალურად მიიჩნევა. საბჭოთა კავშირი ბევრად უფრო გახსნილი იყო ნეპ-ის შემდგომ ხანასთან შედარებით, როცა იყრძალებოდა „იმპორტული“ ფილმები და მუსიკა, განსაკუთრებით ჯაზი. ასეთი გამოთქმაც კი გაჩნდა: „დღეს ჯაზს უსმენს, ხეალ — სამშობლოს გაყიდის“. აღრეულ პერიოდში კი საბჭოთა კინოჟურნები და პერიოდილი პერიდა ამერიკულ ფილმებს, რომელთა რაოდენობა საბჭოთა პროდუქციას ოთხჯერ აღემატებოდა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა წმინდა ამერიკული ვესტერნის ფანრი. „ო, ეს კაუზოები, — წერდა რუსი

მწერალი ლევ ნიკულინი, — რომლებმაც ერთხელ და სამუდამოდ მოაჯადოეს ჩვენი კინომუშავები“. ვესტერნის ფანრის ფილმება მოუსხეს საბჭოთა მაყურებელი, მათ შორის, ქართველებიც. საბჭოთა კინოს პიონერი ლევ კულეშოვი აღმერთებდა „ველურ და-სავლეთზე“ შექმნილ ამერიკულ ფილმებს და კინოსკოლაში თავის სტუდენტებს უჩვენებდა. 1924 წელს მან გადაიღო ვესტერნის საბჭოთა გარიაცია, ექსცენტრიკული კომედია „მისტერ უესტის არაჩვეულებრივი თავგადასავალი ბოლშევიკების ქვეყანაში“, სადაც უველაზე დასამახსოვრებელი პერსონაჟი გახლდათ კუბით ჯედი, რომელსაც ასახიერებდა მომავალი რეჟისორი ბორის ბარნეტი.

ინტერესი ამ ამერიკული ფანრისადმი იმ-



(ზემოთ) ფან პერესტიანი. (ქვემოთ) მარცხნიდან:
გერმანულ გოგოტიძე და ამო ბეკ-ნაზაროვი



დღენად დიდი იყო, რომ 20-იან წლებში გამოიცა ვესტერნის ბევრი მსახიობის ბიოგრაფია, მათ შორის განთქმული ვარსკვლავის, ტომ მიქსის ავტობიოგრაფია „კაუბოის თავგადასაყალი“. კინოს დიდ მოყვარულ სტალინს თურმე უყვარდა კაუბოური ფილმები, — იგონებდა ნიკიტა ხრუშჩოვი, — განსაკუთრებით ჯონ ფორდისა და ჯონ უეინის ვესტერნები და უქმაყოფილებას გამოხატავდა, რომ საბჭოთა კინოინდუსტრია საკუთარ ვესტერნებს ვერ აწარმოებდა. მართალია, ჩვენებისას ფილმებს აკრიტიკებდა იდეოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ მეორე წელს ახალ ფილმს ითხოვდა. სიცოცხლის ბოლო წლებში, როგორც ბრიტანელი ავტორი მაიკლ მუნი აღნიშნავს 2004 წელს გამოცემულ წიგნში John Wayne: The Man Behind the Myth (ჯონ უეინი: ადამიანი

მითის უეან“), სტალინმა გადაწყვიტა, მოეკლა თავგამოდებული ანტიკომუნისტი ჯონ უეინი, რისთვისაც ლოს-ანჯელესში დაქირავებული მკელელები გაგზავნა. ყველაფერი ჩაიშალა სტალინის გარდაცვალების გამო. 1959 წელს ამერიკაში ყოფნისას ხრუშჩოვი უეინს შეტვდა და უთხრა, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღეს სტალინის უკანასკნელ შემლილ წლებში და მე გავაუქმეო. რამდენად შეესაბამება ეს ამბავი სინამდვილეს, მნელი დასადგენია...

ამ, ერთი შეხედვით, მარტივი სტრუქტურის ფილმებმა ბოროტებისა და სიკეთის ორთაბრძოლის შესახებ, საგრძნობი დარტყმა მიაექნა აზლად ჩამოყალიბებულ საბჭოთა იდეოლოგიას, რომელისთვისაც თეორეკანიანი კაუბოები იმპერიალისტი მტრები იყვნენ. ამავე დროს, ისინი უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობდნენ საბჭოთა კაუშირის მოქალაქეებში. ამის დაშვება არ შეიძლებოდა. თუმცა, რეპრესიულ მანქანას ჯერ კინოსთვის არ ეცალა. აქვე გასათვალისწინებელია ფილმებიდან ხაზინაში მიღებული შემოსავალიც. ამერიკელი კაუბოისა და საზოგადოდ, ამერიკანიზმების „მოოთკვა“ მხოლოდ 20-იანი წლების მიწურულს შეძლეს.

1923 წლის დასაწყისში თბილისში, კინოსექციაში მივიდა პაველ ბლიახინი — ცნობილი რუსი რევოლუციონერი, მწერალი და კინოდრამატურგი. 1921 წელს იგი ვაჟიშვილთან ერთად მატარებლით მიეგზავრებოდა კოსტრომიდან ბაქოში. არეული დრო იყო და მგზავრობამ მოჟლ თვეს გასტანა. მგზავრობისას დაწერა „წითელი ეშმაკუნები“ და თბილისშიც სწორედ ამ მოთხოვობის ეკრანზე გადატანის იმედი ჰქონდა. გერმანულ გოგოტიძემ და ამო ბეკ-ნაზაროვმა ბლიახინი იგან პერესტინათან გაგზავნეს. ეს უკანასკნელი, როცა მოთხოვობას გაუცნო, აღფრთვონდა და კინოსექციის ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ შესაბამის იყო, მის ეკრანიზებას შესდგომოდა.

მოთხოვობის სიუჟეტი ასეთია: მიმდინარეობს სამოქალაქო ობი. უკრაინის ერთ დაბაში მცხოვრები რკინიგზელი მუშის — პეტროვის შვილები, მიშა და დუნიაშა, გატაცებული არიან ლილიან კონიჩისა და ფენიმორ კუპერის რომანტიკულ-სათავგადასავლო რომანების კითხვით. ერთხელაც, დაბას თავს დაესხმიან ბანდიტები და პეტროვს მოკლავენ. შეიღები შურისძიებას გადაწევტენ. მათ შეუერთდებათ შავკანიანი ტომ ჯეკსონი. მალე სა-

მთვენი შზვერავებად ჩაირიცხებიან სემიონ ბუდიონის ცხენოსან არმაში და თავგამოდებით ებრძიან ყაჩალებს. საბოლოოდ, ახალგაზრდა მეომრები დაატყვევებენ ბანდიტების მეთაურს — ნესტორ მახნოს და ფქვილის ტომარაში მოწყვდეულს მიჰკვრიან სემიონ ბუდიონის, რისოვისაც ორდენებს დაიმსახურებენ.

ფილმში, ისევე როგორც მოთხოვბაში, ისტორიულ-სოციალური ფონი ზედაპირულად არის მოცემული, ალბათ იმიტომ, რომ ბლაიხინის „ეშმაკუნები“ ბაჟშებისთვისაა დაწერილი. გასაგები მიზეზების გამო, დამახინჯებულია ფაქტები, მახნოს ანარქისტები, ანუ „ცუდი ბაჟები“, გროტესკულად არიან გამოყვანილი. ისინი სულ ლოთობენ, ყაჩაღობებს და თავისი უფროსის ბრძანებებს ასრულებენ, რომელიც მხოლოდ ერთ სიტყვას იძახის — „დახვრიტე!“ თვით მახნოს ერთ-ერთ კველაზე მანკიერ მხარედ ნაჩენები იყო მისი მექალთანეობა. ფილმში წითლებმა იგი დააპატიმრეს, სინამდვილეში კი ნესტორ მახნო ემიგრაციაში წავიდა და 1934 წელს პარიზში ტუბერკულოზით გარდაიცვალა. უკრაინის სტეპებიც რეჟისორმა მთან რეგიონად აქცია, რათა უფრო მომზიბვლელი გამოსულიყო. ფილმის გამოსვლის შემდეგ ივან პერესტიანიმ უცნობისგან წერილი მიიღო: „ვის დასცინით? თქვენ იცით, რომ ნესტორ მახნო ხალხის საუკეთესო მეგობარი იყო, რომელიც მათი ბედნიერებისთვის იბრძოდა? თქვენ კი როგორ აჩვენეთ ის? სირცხვილია! ...თუ უპარტიო ხართ, გონის მოდით! და თუ პარტიული ხართ, სამგზის წყეული იყავით!“ ხელმოწერა „მახნოვეცი“. თუ ისტორიულ ფაქტებს მივყვებით, უცნობი მართალი იყო.

ფილმში უნდა ყოფილიყო დევნა, სროლა, სხვადასხვა ტრიუკი, ანუ ამერიკული ვესტერნისთვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი. პერესტიანი დიდხანს ექცევდა მთავარი როლის შემსრულებელ ახალგაზრდა მსახიობებს. ერთხელ ცოლთან ერთად ცირკში აკრობატების, პაკელ ესიკოსებისა და სოფია შოზეფის (ნამდვილი გვარია ლიპკინა) წარმოდგენას დაესწრო. ანტრაქტის დროს მეუღლეებ, შეთავსებით რეჟისორის უცვლელმა თანაშემწემ, ლუსია ბარხუტლინოვმა პერესტიანის ახალგაზრდებზე მიუთითა: „აი, შენი ფილმის გმირები“. ლიტერატურული პირველწეროს მიხედვით, მიშასა და დუნიაშას მეგობარი უნდა ყოფილიყო ჩინელი, მაგრამ ასეთი ვერ



ტომ მაქსი



პავლ ბლაიხინი

მოძებნეს და იგი შეცვალეს იმავე ცირკში მომუშავე შავგანიანი სენეგალელი მოკრივე კადორ ბენ-სალიმით, ფრანგული არმიის დეზერტირით, რომელსაც ამერიკელი ტომ ჯესონი უნდა განესახიერებინა. არც ბუდიონისა და მახნოს როლების შემსრულებლები, კონსტანტინ დავიდოვსკი და ვლადიმირ სუტირინი ყოფილან კინომსახიობები. ისინი რეჟისორმა ქაჩიდან აიყვანა.

გადაღებები გაიწელა, კინემატოგრაფისტები თანხების, ტრანსპორტისა და ტექნიკის უქონლობას განიცდიდნენ. მაგალითად, გასანათებელი აპარატურა, რომელიც სამი ხელსაწყოსგან შედგებოდა, აღარ ვარგოდა და თითქმის არ მუშაობდა. ამისდა მიუხდავად, სხვადასხვა ტექნიკური სიახლის, ტრიუკებისა და დინამიკური გადაღებებისას, რაც შესრუ-



„წითელი ეშმაკუნების“ აფიშა

კადრი ფილმიდან „წითელი ეშმაკუნები“




„ებულა საკმაოდ მაღალ დონეზე, კარგად გამოჩნდა რეჟისორისა და ოპერატორის მხატვრული გემოვნება და გამომოვნებლობა. „შმაკუნებისა“ და საერთოდ, ამ მუნჯი ფლების ყურებისას რწმუნდები, რომ კინოს ეს მესვეურები, განსაკუთრებით კი ოპერატორები, ნამდვილი „ფოკუსინი კბი“ იყნენ. წარმოიდგინეთ იძროონდელი გადალების პროცესი: ერთი ხელით საჭირო იყო კამერის სახელურის თანაბრად ტრიალი, ფირის მოძრაობის ტექნიკი ხომ ხელით რეგულირდებოდა, მეორეთი კი ვერტიკალური და ჰორიზონტალური პანორამა უნდა ემართა; როცა საჭირო იყო, ერთდროულად უნდა ეკუთხინათ ჩაბნელებაც და წაფენაც (როცა ერთი კადრი ნელ-ნელა ცვლის მეორეს). ეს მხოლოდ მოგვაინებით დაიწყეს ამ ეფექტების ლაბორატორიულად დამუშავება; ან კიდევ, ორმაგი ექსპოზიციისთვის ზუსტად უნდა დაეთვალიათ სახელურის ბრუნვის რაოდენობა, და სხვა მრავალი ხრიკი. ყველაფერს გარჯომში და პრაქტიკა სჭირდება და ოურმე სასურველი ეფექტისთვის რომ მიეღწიათ, ოპერატორები ხან „ზინგერუბზე“ და ხან სხვა საჭრავ მანქანებზე კარჯიშობდნენ...

კინოსექციის დირექტორ-განმარგულებლმა გოგიტიძემ დახმარებისთვის კომკავშირის სამხარეო კომიტეტს მიმართა, რის შედეგადაც გადამდებმა ჯგუფმა მიიღო ფორმები, მუნდირები, ფეხსაცმელი, იარაღი, ცხენები და მთელი საარტილერიო ნაწილი ქვემქებითა და ჯარისკაცებით. საინტერჯსოა, რომ გაგანია გადაღებისას რეჟისორს ფილმის სცენარი დაეკარგა, ამითომ იძულებული გახდა, საკუთარ მქნისერებას დაყრდნობოდა და ფილმი სცენარის გარეშე გადაეღო, რაც ფლენის ტიტრებში აისახა: „ფილმი გადაღებულია სცენარის გარეშე“ — გვამცნობდა წარწერა. ამან ბლათინის პროტესტი გამოიწვია — ნაწარმოები დამიმახინჯაო. სამაგიეროდ, სახენიმრეწვში „წითელმა ეშმაკუნებმა“ პერესტიანის ისეთი ავტორიტეტი მოუპოვა, რომ მომავალ ფილმებსაც უსცენაროდ იღებდა, ფილმის წარმოებაში ჩასაშვებად მისი ზებირი განაცხადი (კი საკმარისი იყო).

ორსეურიანი ფილმის გადაღებები, რომელიც 1923 წლის თებერვალში დაიწყო, შემოდგომისთვის დასრულდა. გამოსვლისთანავე „წითელა ეშმაკუნებმა“ (რუსეთში ის ასევე ცნობილი იყო სათაურით „Махновщина“) ნამდვილი სენსაცია მოახდინა. „კინოგაზე-

ტამ“ მას უწოდა რევოლუციის პირველი ფილმი, რომელიც ყოველმა მოქალაქემ უნდა იხილოს. „პირველი მერცხალი“, „საბჭოთა კინემატოგრაფიის სასწაული“, „საბჭოთა სათავეადასავლო კინოფილმების დიდებული საწყისი“, „პირველი საბჭოთა კინოშექურა“ — ასეთი სათაურებით იწერებოდა პრესაში სტატიები ფილმზე. საბჭოთა კინომცოდნე ვლად კოროლევიჩი, რომელიც რევოლუციის შემდგომ რუსულ კინოს „მკედარ ორთქმა-გალთა სასფლაოს“ ადარებს, ხოლო აუდიტორიას — მკედარ კინობრძოს, წერდა რომ ეს „კინომძირი“ პირველმა გააპო ჯავშნოსანნა სახელწოდებით „წითელი ეშმაკუნები“, „რომელმაც მხიარულად აუწეა გამარჯვება. ხალისიანად და სწრაფად გაიეღვა ახალმა კადრებმა“. იმ პერიოდში მოსკოვის სტუდია „სოვკინი“, ჯერ კიდევ ძველი, ალექსანდრ ხანუმნიკვის დროინდელი უანრის ფილმების ტეკვე იყო და სიუჟეტის თანამედროვე გააზრება, როგორც ეს პერესტიანიშ მოახერხს „წითელ ეშმაკუნებში“, მათ ფილმებში არ ჩანდა.

აღსანიშნავია, რომ „წითელი ეშმაკუნები“ პირველი საბჭოთა ფილმია, რომელზეც რეცენზია დაიბეჭდა New York Times-ში (8 დეკემბერი, 1923), სტატიის ავტორი იყო ბრიტანელი ჟურნალისტი უოლტერ დიურანტი, რომელიც ამერიკული გაზეთის მოსკოვის ბიუროში მუშაობდა 1922-1936 წლებში. იგი წერდა: „წითელი ეშმაკუნები“ (სხვანაირად მას „Red Imps“-ს უწოდებდნენ). — ი. მ.) შესაფერისი სახელია პირველი ნამდვილი ბოლშევიკური ფილმისა, რომლის პრეზენტაცია გასულ კვირას გაიმართა. რევოლუციური ფილმები იქამდეც გადიოდა, მაგრამ არც ერთი არ შეეღრება „წითელი ეშმაკუნების“ მასშტაბებს. ეს ფილმი არის ჰეკლბერი ფინისა ან ტომ სოიერის რუსული რევოლუციური ვერსია, რომელიც გადაღებულია ტარზანის სტილსა და ტემპში... როგორც კი ეკრანზე კაზაკი გენერალი ბუდიონი გამოჩნდებოდა, დარბაზში გრგვინვისმაგვარი მოწონების შეძახილები და დრიანცელი ატყდებოდა... ფილმში არ არის სასიყვარულო ისტორია, მაგრამ არის სოფლის ცხოვრების ამსახველი რამდენიმე ბრწყინვალე სცენა... ცოცხლად გადაღებული წითელი არმიის სცენები და თავბრუდამხევი ბრძოლა კაზაკებსა და ჯავშნოსან მატარებელს შორის“. წერილის დასასრულს დიურანტი „წითელ ეშმაკუნების“




კადრი ფილმიდან „წითელი ეშმაკუნები“, კადორ ბენ-სალიმი ტომ ჯექსონის როლში



ფრანგულ ფილმებს ადარებს. კინომცოდნე პიტერ კენეზის სიტყვებით, ფილმი ოც წელი-წადს იყო პოპულარული. ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს სევასტოპოლის დამცველებს კინოთატრებსა და მოწინავე პოზიციებზე 300-ზე მეტჯერ აჩვენეს ეს

ოთხეგვერთი სამუშაო ზაპესში (1926 წ.)



ფილმი. წითელარმიელებს აღაფრთოვანებდათ 1920 წლის ბრძოლების გმირთა გულადობა და გამჭრიახობა.

ფილმის გამოსვლის დროს სამოქალაქო ომი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ახალგაზრდები და ბაჟშები ასობით წერილს ავზავნიდნენ სემიონ ბუდიონის სახელზე, რომ „ეშმაკუნების“ მსგავსად, ისინიც მიეღო თავის არმაში შევერავებად. 1925 წელს მოეწყო გამოკითხვა და რესპონდენტთა 50%-მა საყვარელ ფილმად „ეშმაკუნები“ დაასახელა. ფილმი გახდა მაგალითი, როგორ შეიძლება მცირე ბიუჯეტით (35 ათასი მანეთი) შემოსავლიანი ფილმის გადაღება (მხოლოდ 1926 წელს „ეშმაკუნებმა“ 200 ათასი მანეთი შემოიტანეს). ფილმი მოსვენებას არ აძლევდა მომავალ თაობებს და ეკრანზე გამოსვლიდან ორმოცხვე მეტი წლის შემდეგ, 1963 წელს ედმონდ კერსაიანმა შექმნა ფილმის რიმეიკი, გამორჩეული საბჭოთა ფილმი „მოუხელოუბელი შურისმაძიებლები“, რომელმაც წინამორბედის მსგავსად უზარმაშარი წარმატებით მოიარა საბჭოთა კავშირის ეკრანები და ერთერთ ფილმაზე შემოსავლიან ფილმად იქცა.

საბჭოთა კავშირში „წითელი ეშმაკუნების“ პოპულარობაზე ისიც მეტყველებს,

რომ რუსეთის ქალაქ ვლადიმირის საფეიქრო კომბინატის წარმომადგენლები საგანგებოდ ჩამოვიდნენ თბილისში და ფილმის გადამღებ ჯგუფს და სახენბრწვის მიულ კოლექტის საზეიმო ვითარებაში გადასცეს წითელი დროშა, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „საქართველოს სხვ განათლების კომისარიატთან არსებული სახენბრწვის მუშაკებს, პირველ საუკეთესო საბჭოთა ფილმის „წითელი ეშმაკუნების“ შემქმნელთ ფაბრიკა „კომუნისტური ავანგარდის“ მრავალი ათასი მუშავებან პროლეტარული ჰეშმარიტი მაღლობა. გაუმარჯოს სოციალიზმის დიდ თანამგზავრს — კონხელოცნებას“. ამ ფილმის წარმატება თავად სტალინმა აღნიშნა, როცა თბილისში ზაპესში შექნებლობას ეწვია 1926 წელს. იქ პატარა სუფრა გაიშალა, სადაც გერმანე გოგიტიძეც იმყოფებოდა და მისი მისამართით სტალინმა სადღეგრძელო წარმოთქვა: „ამხანაგო, ჩვენ პატივს გცემთ იმის გამო, რომ ეს საქმე შეასრულეთ, თქვენ კი პატივი უნდა გვცეთ იმიტომ, რომ ამ საქმის შესრულების შესაძლებლობა მოგეცით“.

„წითელი ეშმაკუნების“ სახით პოპულარულ ამერიკულ ვესტერნებს ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა. პაველ ესიკოვსკი, სოფია



უოზეფი და კადორ ბენ-სალიმი ბრწყინვალედ ასრულებდნენ ურთელეს ტრიუკებს: დააჯირითებდნენ ცხენებს, გადიოდნენ უფსკრულზე გაჭიმულ ოკუზე, დარბოლნენ გაქანებული ვაგონების სახურავებზე, ბრწყინვალედ ისროლნენ და ა.შ. ცნობილი კინორეჟისორი სერგეი იუტკვიჩი წერდა: „მამაცი უოზეფი — ღუნიაშა, ფიცხი მიშეა — ესიკოვსკი და შავი, გულუბრყვილო და ღონიერი ჯერსონი — ბენ-სალიმი, ცირკის ნამიანი ნახერხიდან ბრტყელ ვერცხლისფერ ეკრანზე გადმოვიდნენ და თან მოიტანეს თავიანთი მომზიბელელი ოსტატობა, სისწრაფე და სისადავე, ჭალარა პერუსტიანიძ კი თავისი ოსტატობით მათგან შესანიშნავი სახები შექმნა“. პერუსტიანის მსახიობები ამერიკული ვესტერნის ვარსკვლავებს ბაძავდნენ და ამით უფრო მათ იდეალიზაციას ახდენდნენ, ვიდრე იმ რევოლუციონერი გმირებისა, ვისაც განასახიერებდნენ. შავკანიანის ჩართვა ფილმს მკაფიო იდეოლოგიურ დატვირთვას სქენდა, როგორც ნიშანს ნამდვილი სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა, რომელიც ამარცხებს რეაქციულ ძალებს, კრძოლ კი ნესტორ მახნის, რომელიც უკრაინელ ნაციონალისტებს წარმოადგენდა. მართალია, მაშინ საბჭოთა



▲
კადრი ფილმიდან
„მუუხლისუბელი
შურისმაძებლები“
(1967წ.)


◀
ედმონდ ჯოსაიანი

კავშირის მასშტაბითაც იღებდნენ ამგვარ ფილმებს, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გაუტოლდა პერუსტიანის, „საბჭოთა ვესტერნის მამის“ ნამუშევარს.

სამი წლის შემდეგ ივან პერუსტიანიმ გაითვალისწინა უამრავი მაყურებლის მოთხოვნა და უსცენაროდ გადაიღო „წითელი ეშმაკუნების“ რამდენიმე სიკველი (მხატვრული ნაწარმოების გაგრძელება): „საუკრ-სამარჯ“, „თავადის ასულ შირვანსკაიას დანაშაული“, „თავადის ასულ შირვანსკაიას სასჯელი“



რეჟისორი თან პერსეფონი ფილმის გადაღებისას




კადრი ფილმიდან
„არსენა
კორჯაბეგილი“.
მარჯვნი: თან
პერსეფონი
ჭირინცვაშვილის
როლში

და „ილან დილი“, მაგრამ ამით „რევოლუციურ-პერიოდული ეპოქეიდან „წითელი ეშმაკუნები“ შაბლონურ დეტექტიურ ლენტად გადაიქცა“. რეჟისორი გაიტაცა მხოლოდ ეფექტებმა და ტრიუგებმა და ეს კინოსურათები ვერ ავიდნენ „წითელი ეშმაკუნების“ სიმაღლეზე.

ვესტერნის გავლენა საბჭოთა კინემატოგრაფზე მოძველებულია. საინტერესოა, რომ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რომლის შესახებაც ყოველ ქართველს უყვარს საუბარი და ტრაბაზი, კინოხელოვანთა თვალსაწიერში იშვიათად ხვდებოდა. სათავგადასავლო ფილმების სიმრავლით ქართული კინო არასოდეს გამოიჩინოდა, მაგრამ ის, რაც შეიქმნა, უდავოდ ვესტერნის ქანრის შთაგონებით იყო გადაღებული. არადა, ჩვენი ისტორია ნამდგვლი ვესტერნია. კველაფერს რომ თავი გაუანგბოთ და ჩვენს უახლოეს წარსულს გადავხედოთ, თუგინდ მხოლოდ გურული ფირალების, ან სხვა კუთხის აბრაგებისა და ყაჩაღების ამბებს ხომ წმინდა წყლის კინემატოგრაფიული მასალაა. აიღე და გადაიტანე ეკრანზე. ამის შევენიერი შანსი გვერდია კომუნისტების ბატონობის პერიოდში. როცა კინოში ფული ჩეჩეივით იყო, შეიძლებოდა რევოლუციურ თემატიკაზე სათავგადასავლო ფილმების გადაღება ისე, რომ არც მწვადს დაწვადი და არც შამფურს — პირისპირ არ შეეჯახებოდი არსებულ იდეოლოგიას და შექმნიდი ვესტერნის კანონებზე დამყარებულ ნაწარმოებს (რით არის ცუდი „უდაბნოს თეთრი შე“ ან „სიკვდილი არავის უნდოდა“), მაგრამ თავს არავინ იწუხებდა, უფრო ე.წ. სავტორო და ე.წ. ინტელექტუალური ფილმების (მე მათ „ტვინის საჭყლეტ“ ფილმებს ვეძახი) კეთებით იყვნენ და კვებული. თუ ამგვარი სურათები მაინც კეთდებოდა, მხოლოდ თითო-ოროლა — „დარიკო“, „მაცი ხვიტა“, „კოლხური ბალადა“, „მიზანი“, „ძმა“. შესაძლოა რამე გამომრჩა, მაგრამ არ მგონია... (ერთხელ „მიზანის“ მემონტაჟე მომიყვა: თურმე ფილმში გამოყენებული სროლის კველა ეფექტი „შესანიშნვი შეიდეულიდან“ იყო აღებული. თავად „შეიდეული“ კი საბჭოთა კავშირის მასშტაბით დიდი ხნის განმავლობაში აღმართ კველაზე მნიშვნელოვან და საყვარელ ფილმად იქცა და დღემდე ასეთად რჩება).

ირაკლი გახარაძე

კანიბე ნოტ-დატ



ნოტ-დატ,
დასკვლეთის
ფასადი



დასულეთის ფასადის შუა არუხში დატანებული გარღული

პარიზის ღვთისმართის ტაძარი, იგივე ნოტრ-დამი — ყველაზე ცნობილი ტაძარი მსოფლიოში

უცნაური დამთხვევის წყალობით, სწორედ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარზე მოვამზადეთ მასალა ჩვენი უურნალის ტრადიციულ რეპრიკაში. სტატიის აწყობა სტამბაში ნომრის ჩაბარების წინაღლეს დასრულდა და იმავე საღამოს, ნოტრ-დამი ცეცხლის აღში გაეჭვა... გადავწევოტეთ, ხანძრის შესახებ მოკლე ცნობა ცალკე დაგვებეჭდა, ხოლო სტატიას პარიზის ღვთისმშობლის ტაძარზე გთავაზობთ უცვლელი სახით — რა სახით მოშადდა მაშინ, როცა ცუდ ამბავს არავინ ელოდა...

ნოტრ-დამის ბრწყინვალე გოტიკური შენობა აღმართულია კუნძულ სიტეზე პარიზის შეუგულში, მდინარე სენის ორ ტოტს შორის. ის აშენდა პარიზის პირველი ქრისტიანული ეკლესიის — წმინდა სტეფანის ბაზილიკის ადგილას, რომელიც, თვის მხრივ, გალურ-რომაული იუპიტერის ტაძრის საძირკველზე აივო. ნოტრ-დამის მშენებლობა დაიწყო ლუდვიკ III-ის ეპოქაში, პარიზის ეპისკოპოს მორის დე სიულის ინიციატივით. პირველი ქა საძირკველში 1163 წელს ჩადო პაპმა ალექსანდრე III-მ, რომელიც იმ დროს პარიზში იმჟოფებოდა.

ტაძრის თავდაპირველი პროექტი ითვალისწინებდა გრძელი, ოთხდონანი მთავარი ნავის აგებას ცენტრალური ნაწილის (ტრანსპტის) — განვით ნავის გარეშე. ტრადიციის შესაბამისად, თავდაპირველად ააგეს ქორონ საკურთხევლით, რათა მისი კურთხევის შემდეგ ტაძარში შესაძლებელი ყოფილიყო დეისტისახურება მშენებლობის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე. კედლები დასრულდა 1177 წლის თვის, მთავარი საკურთხეველი კი 1182 წლის 19 მაისს აკურთხა პაპის ლეგატმა. 1196 წელს დასრულდა მთავარი ნავიც, რომლის ტეკიის სახურავისთვის მასალის შესაძენად, გარდა-




მუხლმოყრილი მეფები — დაუ XIII და დაუ XIV საკურთხევლის

ცელილმა ეპისკოპოსმა მორის დე სიულიმ, ანდერძით 100 ლივრი დატოვა.

1200 წლისთვის დაწყო დასავლეთის მთა- გარი ფასალისა და კოშკების აგება. 1240 წლს დასრულდა სამხრეთ სამრეკლო. გადაწყდა, არ დასრულებულიყო კოშკები შპილებით და 10 წლის შემდეგ მეორე სამრეკლოც დამ- თავრდა. პროექტი მშენებლობის პროცესში შეცვალეს და საბოლოოდ გადაწყდა ტრან- სეპტის აგებაც. ისე გამოვიდა, რომ სწორედ ტრანსეპტისთვის განკუთხნილი ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასალების ამგები ორი არქიტე- ქტორი მიიჩნევა ტაძრის მთავარ შემქმნელად: უან დე შელი, რომელიც 1250-1265 წლებში მუშაობდა და პიერ დე მონტრეი, რომელმაც 1250-1267 წლებში იღვაწა. თუმცა, რასაკ- ვირველია, ამ გრანდიოზულ მშენებლობაში უამრავი ხუროთმოძღვარი და მოქანდაკე მონაწილეობდა. ნოტრ-დამი ძირითადად დასრულდა XIII საუკუნეში, მაგრამ ოფი- ციალურად მისი საბოლოოდ დასრულების თარიღი 1345 წელია. აღსანიშნავია, რომ

ძეგლი მრავალჯერ გადააკეთეს მომდევნო საუკუნეებშიც.

ხუთნავიანი ტაძრის სიგრძეა 130 მეტრი, სიგანე — 48, სიმაღლე — 35, სამრეკლოების სიმაღლე — 69, ხოლო შპილის სიმაღლე 96 მეტრი. მთავარი ნავი რომანულ სტილს განე- კუთვნება მასიური სეეტებითა და მძმე კედ- ლებით. ტაძარს აქვს 37 კაპელა-ეკვდერი და მდიდრულად მოჩუქურთმებული პატრონიკე (აივნისებური სადგომი). დასავლეთის საზეი- მო ფასადი არქიტექტურული კომპოზიციის უმაღლესი ოსტატობის დემონსტრაციაა, მისი შესასვლელი პორტალების სკულპტუ- რული გაფორმება კი გოტიკური ხელოვნების შედევრია. მარჯვნივ განლაგებული წმინდა ანას პორტალი XII საუკუნის ბოლოს მიეკუ- თვნება, ცენტრალური პორტალი საშინელი სამსჯავროთი აიგო 1220-1230 წლებში, თუმცა შემდეგ მრავალჯერ რესტავრირდა. ხოლო მარცხნა, ღვთისმშობლის პორტალი XIII საუკუნის დასწევისისა. პირველ ქრის- ტიან წამებულს, წმინდა სტეფანს ეძღვნება



წმინდა ანასა (ზემო) და საშინელი საშეჯუროს (ქვემო) პორტალების ფრაგმენტები

სამხრეთ ფასადის ტრანსეპტის პორტალი, რომელიც XIII საუკუნის მეორე ნახევრშია აგებული.

ტაძარში სინათლის ერთადერთი წყარო გოტიკური, მაღალი ისრული ფანჯრების მრავალრიცხოვანი ვიტრაჟებია. სხვა გოტიკური ტაძრების მსგავსად, ნოტრ-დამში არ არის კედლის მხატვრობა,

ნოტრ-დამი ერთ-ერთი პირველი დიდი გოტიკური ტაძარია, რომლის ისრულ კამარებს ექვს-ექვსი ნერვიურა (თაღის გამობურცული წიბო) ქმნის და თან ინარჩუნებს რომანული სტილიდან ნორმანულ სტილში გარდამავალი ეტაპის ნიშნებს. ნოტრ-დამი ასევე ერთ-ერთი პირველი შენობა იყო მსოფლიოში, სადაც არ კიტანები, ე.წ. გარევანი თაღები გამოიყენეს. თავდაპირველ პროექტში ქორსა და გუმბათების კედლებთან არ კიტანები გათვალისწინებული არ იყო, თუმცა მშენებლობის დაწყების შემდეგ, კედლებზე ჭარბი სიმბიმის ზეწლის ნიშნები გაჩნდა და რღვევის თავიდან

ასაცილებლად, დამატებითი საყრდენების აგება შეიწნა აუცილებელი.

დიდებული დასავლეთის ფასადი სამ ვერტიკალურ ნაწილადაა დაყოფილი პილასტრებით, ხოლო პორტალიზონტალურად სამ იარუსად — გალერეებით ქვედა იარუსზე ზემოხსენებული სამი ბრწყინვალე პორტალია ისრული თაღებითა და სკულპტურული პანორამით ბიბლიურ მოტივებზე. ცანტრალურ პორტალზე გამოსახულია მსაჯული იესო, მის ქვემოთ მიცვალებულები საფლავებიდან დგებან, რომლებიც ორმა საყვირიანმა ანგელოზმა გააღვიძა. მიცვალებულთა შერის ერთი შეფეხა, ერთი პაპი, ჯარისკაცები და ქალები, რაც სიმბოლურად მთელი კაცობრიობის სამსჯავროს განასახიერებს.

მეორე იარუსს საზღვრაას პორტალების თავზე განლაგებული მეფეთა გალერეა 28 ქანდაკებით. ეს ქანდაკებები ძველი იუდეის ბიბლიურ მეფეებს განასახიერებენ. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის რევოლუციის დროს რობერ დე ბურბონის ბრძანებით მეფეთა



ტაძრის ცენტრალური ნაწილი — მთავარი ნავისა და განივი ნავის გადაკვეთის ადგილი


გალერეიის ქანდაკებებს თავები მოკვეთეს, ზოგიც გადმოაგდეს. ისინი XIX საუკუნეშია აღდგენილი. მეფეთა გალერეიის ზემოთ კი ფასადის შუა იარუსში დატანებულია 9,6 მეტრი დაამეტრის „დასავლეთის ვარდული“ (უზარმაზარი მრგვალი სარკმელი), რომლის მარცხნივ და მარჯვენავ ორი სარკმელია. 1220 წელს შექმნილი ვარდული ვიტრაჟებით გააფორმეს 1230 წელს, რომელიც ზოდაქოს ნიშნების გარდა წარმოადგენს „ფიქტურაქიის“ ანუ სხვადასხვა ნაკლისა და სიკეთის ორთაბრძოლის განსახიერებას. სარკმლის ცენტრში მოთავსებულია ღვთისმშენებელი ყრმით.

ბოლო, მესამე იარუსს გამოყოფს მაღალი, სამყურასებრი ჩუქურთმებით მორთული კამაროვნი გალერეა. მის ფაქტზე სკეტებზე მასიური ბაქანი დგას, ხოლო ბაქანზე აღმართული ორი მაღალი კოშკი მოულ ფასადს აგვირგვინებს. აღსანიშნავია, რომ კოშკებს შორის დატოვებული სივრცეც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს.

ტაძრის სახურავი რესტავრირებულია XIX საუკუნეში. მუხის სახურავი 5 მმ სისქის ტყვიის ფურცლებითაა დაფარული, რომლის საერთო წინა 210 ტონაა. ნიმუშად რესტავრატორმა ვიოლე დე დიუკმა შარტრის შუა საუკუნეების სახურავი გამოიყენა. მისივე წინადაღებით, ტაძრის ზედა მხარე შეამკვს გარგულიებითა და ქიმერებით, რასაც 15 მოქანდაკის შრომა დასჭრდა ჟოფრუა-დეშომის ხელმძღვანელობით. მუხისგან დამზადებული და ტყვიით დაფარული შპილის საერთო სიმაღლე 96 მეტრია. შპილის საძირკველი მოციქულთა ბრინჯაოს ჯგუფური ქანდაკებებითაა შემცული, რომლებიც ასევე ჟოფრუა-დეშომის ნამუშევარია. ყოველი ჯგუფის წინ ფრთისანი ფიგურა მოციქულის სიმბოლოა: ლომი — მარკოზის, კურო — ლუკასი, არწივი — იოანესი და ანგელოზი — მათესი. ცველა ფიგურა პარიზის გაჰყურებს, არქიტექტორთა მფარველ წმინდა თომას გარდა, რომელიც შუბლზე ხელმიდებული, სახით შპილისკენაა



(ზემოთ) XIII საუკუნის ვიტრაჟი. (ქვემოთ მარც ხნივე) ქორის აფინის ფრაგმენტი. (ქვემოთ მარჯვნივ) მაცხოვრის ეკლესის გვირგვინი. მთავს სებულია ბროლის კორპუსში, რომელიც მორთულია ოქროს მცენარული ორნამენტებით



76 ა სოფლიოში ცოდნილი თარიღი






მოციქულთ
ბრინჯაოს
ქანდაკებები
შეიღის
საძირკველთან

წმინდა ოომას
სკულპტურა

პარიზის
ნოტრ-დამი.
აღმოსავლეთის
ხედი





ტაძრის
მთავრი
ნაგი

მიქეული. ყოველივე ამის გარდა, ნოტრ-დამი თვალს აჯაღობს კიდევ სხვა ურიცხვი ქანდაკებით, ნაძერწი თუ ჰედური ჩუქურთმიანი დეტალით და ყველაფერი ერთად, მართლაც განუმეორებელ ანსამბლს ქმნის.

ტაძარში 110 ვიტრაჟია. მეტებური ვიტრაჟები შენარჩუნებულია მხოლოდ ტრანსეპტის ორ ვარდულსა (დიამეტრი 13 მ) და მთავრი შესასვლელის ვარდულში (დიამეტრი 9,6 მ). ეს უნიკალური ვიტრაჟები ფრანგული გოტიკის შედევრებია. „დასასვლელის ვარდულის“ ვიტრაჟი განასახიერებს განძლირობას, ხოლო ტრანსეპტის ვარდულების ვიტრაჟებს, რომლებიც ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებს განასახიერებს — „წმინდა ლუდოვიკოს ვარდებს“ უწოდებენ. როგორც ამბობენ, მეფემ შესწირა თანხა მათ დასაშადებლად და შედგის სანახავად რომ მისულიყო, 1249 წელს თავისი ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებაც კი გადადო.

ტაძარში ინახება ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული რელიგია — იესო ქრისტეს ეკლისის

გვირგვინი, რომელიც 1238 წელს ლუდოვიკ IX-მ გამოისყიდა გენეციელებისგან, ვისთანაც ბიზანტიის ლათინმა იმპერატორმა, ბალდვინ II-მ დააგირა დიდი სესხის სანაცვლოდ.

ტაძრისწინა მოედანი მოსაზღვრულია მდინარე სენათი, 651 წლიდან მოქმედი უძველესი საქალაქო სააგადმყოფო „ოტელ-დიოთი“ და საქალაქო პრეფექტურის ყაზარმების ნაგებობით, რომლის ფასადიდან ნოტრ-დამს ფრიგიელი ქალღმერთი ციბელა შეჰერებს... მოედანზეა აგრეთვე ფრანგული „ნულოვანი კილომეტრი“, საიდანაც იწყება სრულიად საფრანგეთის ყველა გზის ოფიციალური ათვლა.

ნოტრ-დამი პარიზის ეპარქიის კათოლიკური საკათედრო ტაძარია და აქ რეგულარულად სრულდება ღვთისმსახურებანი. ტაძარში ღვთისმსახურებას ხელმძღვანელობს ე.წ. ტაძრის რექტორი, ხოლო პარიზის არქიეპისკოპოსი ლიტურგიას მხოლოდ საზეიმო ღღებში ატარებს.

რამაზ გურგაელი

პოლკოვნიკი ლოურენსი და არაბითის აჯანყება

თომას ედვარდ ლოურენსი იყო დიდი ინგლისელი მზვერავი, ადამიანი-ლეგენდა, ავტორი გახმაურებული წიგნის „სიბრძნის შვიდი საფუძველი“, რომელსაც ყველა ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლები ეცნობოდნენ. საბჭოთა რეზიდენტი იტალიაში.

საბჭოთა ეურნალისტი, მწერალი და პოეტი ლეონიდ კოლოსოვი წერს:

- სუკ-ის უმაღლეს სკოლაში შესანიშნავი ბიბლიოთეკა იყო. სწორედ იქ წავიკითხე „სიბრძნის შვიდი საფუძველი“. ასე გავიცანი გენიალური პიროვნება, უდიდესი ინგლისელი მზვერავი ლოურენსი.

პარგი გაკვეთილები

თომას ედვარდ ლოურენსი (1888-1935) უელსის ერთ-ერთ სოფელში, სამუალო შექლების ბრიტანულ ოჯახში დაიბადა. სწავლით იქსფორდის უნივერსიტეტთან არსებულ სკოლაში. ბავშვობიდანვე გაუჩნდა სიყვარული ისტორიისადმი, განსაკუთრებით არქეოლოგიისადმი, რაც მთელი სიცოცხლე გაპყვა.

პატარა ლოურენსი სუსტი ბავშვი იყო. ამიტომ თანაკლასებები ხშირად სცემდნენ. ლოურენსი ამას მტკიცნეულად განიცდიდა, მაგრამ არავის არაფერს ეუბნებოდა. დილაუთენია დებორდა, დარბოდა, ვარჯიშობდა, ინგლისურ კრის ეუფლებოდა. ნელ-ნელა მოქნილი და ძლიერი გახდა.

— როცა გჩაგრავენ, თავი უნდა დაიცვა, ანუ ის უნდა სცემო, ვინც ჯგუფის ყოჩია, — წერდა შემდგომში ლოურენსი.

მომავალი მზვერავი ასეც იქცეოდა. როცა კლასის ყოჩია ვინმე რობერტმა თავში წაუჟა, უყვირა:

— ეი, შენ, ნებვო, ფრთხილად, თორუე!

ნაცილი I



თომას ედვარდ ლოურენსი არაბულ სამოსში

მარცხნიდან: თომას ლოურენსი და დავიდ ჯონს პოგართი





ცხენოსნობის შემდეგ, ლოურენსი მოტოციკლეტის
მართვასაც ვირტუოზულად დაუუფლა



გაოცებული რობერტი შედგა. მისთვის ასე მიმართული ვერავინ ბედავდა. ლოურენსმა ელვის უსწრაფესად ყბაში ამოსცხო. რობერტი ნოკაუტში ჩავარდა. ძლივს მოასულიერეს.

— ამის შემდეგ თავი დამანებეს, — იგონებს ლოურენსი.

უკვე სკოლაშივე ლოურენსს აღმოსავლეთისადმი ინტერესი გაუდვივდა. არაბელი ენა და ისტორია დამოუკიდებლად შეისწავლა. განსაკუთრებით ბედუინების ყოფაში მოხიბლა, მათმა ცხოვრების წესმა, იმან, რომ ყველა ბედუინი შესანიშნავი მოჯირით იყო. ლოურენსმაც ჯირითი ისწავლა. ცხენოსნობა არცოუ აღვილად ასათვისებელია, ლოურენ-

სიც გაკვეთილებზე არაერთგზის ჩამოვარდა, ბოლოს კი უქარი მოჯირით დადგა.

— ცხენზე ისე ვირტუოზულად იჯდა, ბერ ბედუინს შეშურდებოდა, — წერს ბაზილ ლიდელ-ჰარტი, გამოჩენილი ინგლისელი სამხედრო ისტორიკოსი და ოორუტიკოსი, თომას ლოურენსის ბიოგრაფიის ავტორი.

ცხენოსნობის გარდა, გატაცებული იყო ველოსიპედით, რომლითაც მთელი ინგლისი, შემდეგ კი საფრანგეთიც მოიარა. მოგვიანებით მოტოციკლებზე გადავიდა. ამ უსწრაფეს და იმ დროისთვის თანამედროვე ტრანსპორტ-საც ვირტუოზულად დაეუფლა.

— ლოურენსი მალიან ჯიუტი და ნების-ეფფანი გახლდათ. გამოირჩეოდა მახვილი ანალიტიკური გონებითა და სიმამაცით. ამისთანები ნებისმიერი სპეცსამსახურისთვის მიგნებაა, — წერს კოლოსოვი.

არქაოლოგი დაზვერვაში

ლოურენსმა ოქსფორდის უნივერსიტეტი წარჩინებით დამატავდა. მონაწილეობდა არქეოლოგიურ ექსპედიციაში ახლო აღმოსავლეთში. მომავლმა დიდმა შვერავმა მოიარა თანამედროვე სირიის, ერაყის, საუდის არაბეთის, ლიბანის ტერიტორიები. არაბებს შორის უამრავი მეგობარი შეიძინა. ის ხომ მათ ენაზე ჩინებულად საუბრობდა, ცხენზეც ბედუინივით იჯდა.

— არაბებმა ლოურენსი თავისიანად მიიღეს, — წერს ლიდელ-ჰარტი.

ექსპედიციას პროფესორი დევიდ ჯონს ჰოგართი ხელმძღვანელობდა. იმსანად ლოურენსმა არ იცოდა, რომ ჰოგართი არა მხოლოდ მეცნიერ-არქეოლოგი, არამედ „ინტელიჯენს სერვისის“ საიდუმლო თანამშრომელიც იყო. პროფესორი ახალგაზრდა არქეოლოგს ყურადღებით აკვირდებოდა. ლოურენსი უჩვეულოდ გონიერი და ნების-ეფფანი გახლდათ. არაბებთანაც საერთო ენა ადვილად გამოძებნა. ჰოგართმა ინგლისის დაზვერვაში მუშაობა შესთავაზა.

— თქვენნაირი მამაცი, ენერგიული და პატრიოტულად განწყობილი პიროვნება ჩვენს დაზვერვას ძალიან სჭირდება, — განუცხადა ლოურენსის ჰოგართმა.

— თავი ბედნიერად ჩაგთვლი, თუ საშუალება მომეცება, ინგლისს ვემსახურო, — მიუგო ლოურენსმა.

ჰოგართის რეკომენდაციით, ლოურენსი ინგლისის დაზვერვაში მიიღეს. შემდეგ იყო

სპეცმოშაბდება. ლოურენსმა აითვისა კონსპირაციის ანაბანა, აგრეთვე ხელჩართული ბრძოლის ილეობი. ამის შემდეგ ის კაიროში ე.წ. არაბთა ბიუროს მიამაგრეს. სინამდვილეში ბიურო ახლო აღმოსავლეთში ინგლისის დაზვერვის ფილიალი გახდათ.

ლოურენსი, როგორც მეცნიერ-არქეოლოგი, ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობდა. მის მეცნიერებს შორის იყვნენ საუდის არაბეთის მეფე ჰუსეინი და მისი ვაჟები. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა მას ჰუსეინის ვაჟ პრინც ფეისალთან ჩამოუყალიბდა. მომავალში ეს მეცნიერობა ძალიან გამოადგა.

პარტიზანული ომი

ახლო აღმოსავლეთში იმხანად ოსმალეთი ბატონობდა. პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერია გერმანიის მხარეს, ინგლისის წინააღმდეგ იბრძოდა. ინგლისის დაზვერვა-მაც ახლო აღმოსავლეთში ძირგამომთხველი მუშაობა გააჯტიურა. ამაში ლოურენსმა განსაკუთრებული როლი ითამაშა.

— ინგლისის დაზვერვამ პრემიერს ამბიციური პროექტი წარუდინა. ის მთელ ახლო აღმოსავლეთში მასობრივი ანტიოსმალური პარტიზანული ომის გამდას გულისხმობდა, — წერს ლიდელ-პარტი.

თავდაპირველად ბერძობა ეს პროექტი უტო-პიად მიიჩნია. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა სერ უინსტონ ჩერჩილმა ლოუ-რენსის ნახვა ისურვა. მასთან საუბარმა ორ საათზე მეტხანს გასტანა. ჩერჩილის დასკვნა მტკიცე იყო:

— ლოურენსს ნებისმიერი, თურდაც ყვე-ლაზე ფანტასტიკური დავალების შესრულება შეუძლია! მას სრული კარტ-ბლანში უნდა მივცეო.

ლოურენსი სამხედრო სამსახურში 1914 წლის იანვარში მიიღეს. მას ლეიტენანტის ჩინი ჰქონდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე დიპლომატიურ სარბიელზე ცდილობდა, თურქი გენერლები საპატიო კა-პიტულაციაზე დაყოლიერინა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამას წარმატება არ მოჰყოლია.

— ცა და დედამიწა ერთმანეთს უფრო გაუსწორდება, ვიღრე ოსმალეთის იმპერია დაგ-ნებდებათ, — ასეთი იყო გენერლების პასუხი.

ლოურენსი თურქების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასხეს. ის თავის ძეველ მეცნიერთან, პრინც ფეისალთან მივიდა. უფლისწუ-

ლი მცირე პარტიზანულ რაბმს ხელმძღვანელობდა, რომელშიც სულ 100 მეომარი იყო.



— ჩვენ მასობრივი პარტიზანული ომის ცეცხლი უნდა დავანთოთ! ყოველივე არაბთა გრანდიოზულ აჯანყებაში გადაიზრდება, — განუცხადა პრინცს ლოურენსმა.

— ეს ზღაპარია, — უფისალმა თავი გააქნია.

— დღეს შესაძლოა ზღაპრად გვეჩვენება, ხელ კი რეალობა გახდება! — ცხარედ მიუგო ლოურენსმა.

ის ფეისალთან დარჩა. პრინცმა ლოურენსი თავის მრჩევლად დანიშნა. მას ბედუინივით ეცვა, არაბისგან მხოლოდ კანის ფერით განირჩეოდა. ფეისალმა არ იცოდა, რომ ლოუ-რენსი ინგლისის დაზვერვის თანამშრომელი იყო. პრინცისთვის ის ინგლისელი ოფიცერი გახდდათ. ინგლისი კი თურქეთს ერმებოდა. შესაბამისად, ლოურენსი ფასდაუდებელი მეგობარი და მოკავშირუ გამოდგა.

პარტიზანები ლოურენსს პირ-ქარამ-შაპის სახელით იცნობდნენ. რასაკვირველია ხვდებოდნენ, რომ ეს ნამდვილი სახელი არ



ჰუსეინ
იმპ აღა
აღ-ხაშიძე,
სუდის
არაბეთის
პარტიზან
მეფე

ჰუსეინ
იმპ აღას
პარტიზანი



❖ Բանահնջութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

❖ Հյուսալ I՝ առաջարկութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

օյն. մատուցություն առաջարկութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

— մալլ լուսական առաջարկութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

լուսական առաջարկութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

— բարեկարգ առաջարկութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

— բարեկարգ առաջարկութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

յարտեղություն է առաջարկութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

յարտեղություն է առաջարկութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

— մարդու առաջարկութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

— մարդու առաջարկութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

— առաջարկութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

ԱՐԱԲԻԱ ԱՋԱԲԵՐԵԱ

Կարտուսանուղարկութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

լուսական առաջարկութեան մասնակի պատճենները՝ առաջարկութեան ժամանակաշրջանում (1919 թ.)

არაბთა რაზმი
არაბული
აჯანყების დროს
(1916-1918 წწ.)




ს იჯანყებულებთან ერთად ქალაქში პირველი შევიდა. ეს აჯანყების პიკი გახლდათ.

პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა. ოსმალეთის იმპერია დაინგრა. ამავე დროს, არაბთა იმედებს გაურთიანების შესახებ ასრულება არ წარერა. მათ შორის ტომობრივი შუდლი კვლავაც ძლიერი იყო. ინგლისმა და საფრანგეთმა ეს ოსტატურად გამოიყენეს. მათ ახლო აღმოსავლეთი გაყენეს. ერთიანი არაბული სახელმწიფოს შექმნა ვერ მოხერხდა.

დიალოგათი და მოერალი

— საშინალად გაწილებული ვიყავი! არაბები დამოუკიდებლობას იმსახურებდნენ, მათ კი უსამართლოდ მოექცნენ, — წერდა შემდგომში ლოურენსი.



აქლემშე
ამხედრუბელი
თომას
ლოურენსი



დიდი
არაბული
აჯანყების
დაწყების 50
წლისთავის
აღნიშვნა
(იორდანია,
2016 წ.)



ქადრი ფილმიდან
„ლოურენსი
არაბეთიდან“,
(1962წ.).

ମାର୍ଗ କ୍ଷେତ୍ରରେ
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ
ପାଠିବାର ପରିଚୟ

შევერავის ღვაწლი ბრიტანეთის იმპე-
რიას წინაშე უზარმაზარი იყო. ლოურენსი
ორდენითა და რაინდ-კომანდორის წოდებით
გვაკიციოდოდა. ლოურენსმა ამაზე უარი მოვა.

— თქვენ არაბები მოატყუეთ, — განაცხადა მან.

ლოურენსი მოღვაწეობდა, როგორც დი-
პლომბატი. ის არაბების დამოუკიდებლობას,
აგრეთვე პალესტინაში ებრაელთა სახელმწი-
ფოს შექმნას უჭერდა შხარს. მონაწილეობდა
ეკრალის სამშვიდობო კონფერენციის მუ-
შაობაში, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია.

— მე, როგორც დიპლომატმა, მარცხი განვიკვლე, — განუკადა მან ჟურნალისტებს.

ამის შემდეგ ლოურენსმა ბედი სამწერლო
ასპარეზზე სცადა. დაიწყო მუშაობა წიგნზე,
„სიბრძნის შვიდი საფუძველი“. მასში ოურ-
ქეთის წინააღმდეგ ბრძოლასა და არაბების
აჯანყებაზეა მოთხოვილი. მოულოდნელად
ლოურენსმა წაგნზე მუშაობა შეწყიდა.

— დაწერილით უკმაყოფილო ვიყავი, —
ასე იგონებს იგი ამ პერიოდს.

მალე ლოურენსი ინგლისის სამხედრო-სა-

କାର୍ଯ୍ୟର ଦାଲ୍ଲେବଶି ହାରିପକ୍ଷେ ଲେଖା ଗଵାରିତ. ଏରତ-ଏରତମା ଅନ୍ଧାରୀରମା କର୍ଜେସାଥ, ବାନ୍ଦାଶଳ୍ଲ-କର୍ଜୁଲ୍ଲି ସାନ୍ଧାରୁରିଲେ ଫ୍ରାଙ୍କାର ଲୋକର୍ଜେନ୍ଦ୍ରିୟରେ କ୍ଷେତ୍ରମାର୍ଗରୁ ବିନାରୁବା ଗାୟମଣିଲା. ମହାବ୍ରାହମା ସାମନ୍ତରିତ-ସାମାଜିକ ଦାଲ୍ଲେବା ଲାଭରୁଙ୍କା ଲାଭ ସାତ୍ତାନକୁ ନାହିଁଲେବଶି ଗାନ୍ଧାରିରା. ତ୍ରୈକ୍ରିଯା ଯାତ୍ରାରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ଆନିମିକୁର୍ଜେବଶିରା, ଆମିତ୍ରମ ତ୍ରାନ୍ତକୁଶାତ୍ର ବିନାର୍ଥୀରେନ୍ଦ୍ରିୟରୁଙ୍କା ଲାଭରୁଙ୍କା ଅନ୍ଧାରୀରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ଆନିମିକୁର୍ଜେବଶିରା, ଆମିତ୍ରମ ତ୍ରାନ୍ତକୁଶାତ୍ର ବିନାର୍ଥୀରେନ୍ଦ୍ରିୟରୁଙ୍କା ଲାଭରୁଙ୍କା.

— პოლგრონაკი ლოუერენსი უდავოდ გრინა-ლური კაცა, — ასე ახასიათებს მას ცნობილი აგრძანელა შზგურავი ალტერ შელენბერგი.

50 11 2020 10

ଓন্তিমৰণী পুঁজি



500 ღლა ღლამა მშენებები

(დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №№59-72, 91, 93, 95, 97, 99)

დიასახლისმა მასწავლა, სად ცხოვრობდა მისი ნაცნობი ქალი... ოლია გრიბოედოვა.

გვარი მომეწონა. გრიბოედოვა... გრიბოედოვა... „ვაი ჭკუისაგან“. მახსენდება პროფესორი სერგი დანელია... ლევიციები რუსელი ლიტერატურის ისტორიაში. ჩაცკი... გრიბოედოვი... მთწმინდა... ეს ყველაფერი იყო, როგორც სიზმარში...

ოცნებები მომავალზე, სწრაფვა სრულ-ყოფისკენ, სულისა და სხეულის წრთობა, ნუთე იმისთვის ვეზნადებოდი, რომ ვიდაც უცნობ ოლია გრიბოედოვას ქმარი გამზღარიყვა? კაცი ბჟობდა და დმერთი იცინოდაო! როგორ ერთი ხელის მოქნევით დაიმსხვრა ყველაფერი!..

ფიქრებიდან დიასახლისის ხმამ გამომაფიზდა.

„500 ღლე და ღამე მტრის ზურგში“, რომელიც მცირედით შეკვეცილი ქვეწ-დება, რიგითი მებრძოლის თავგადასაყლს აღწერს — 1941 წლის 22 თებერვალი, 1943 წლის 30 თებერვალი. ნაწარმოები 1981 წელს წარადგინეს ერთ-ერთ გამომცემლობაში, თუმცა მან შინის სინათლე ვერ იხილა. ცხადია, ოთხმოციანი წლების დასაწყისში არ გამოაქვეყნებდნენ წიგნს, რომელშიც მთხოვნილი იქნებოდა ოკუპაციურ ტერიტორიაზე, მტრის გარემოცვაში მყოფი მეომრის რეალური თავგადასაყლი. აქ აღწერილი მოვლენები დოკუმენტური ხასიათისაა და უანრობრივად მემუარებს განეუფერება.

დიმიტრი შუალიშვილმა ეს წიგნი თავისი მეობრის, დიმიტრი ჩრდილელის ხსოვნას მიუძღვნა, რომელიც მეორე შეოფლით ომში დაიღუპა და თითქმის ისეთივე გზა გაიარა, როგორც ნწარმოებში არის გადმოცემული.



გერმანული ჯარისკაცები გომელის რაიონში (1941 წ.)

— მგონი ჩაეძინა, — ეუბნება იგი ქმარს, — დაიღალა საბრალო!..

დიასახლისი დგება და საძინებელ ადგილს მიმზადებს.

მალე ოთხში სიბნელე და სრული სჩუქე ჩამოწევა, რომელსაც გირიანი კედლის საათი თავისი ულმობელი, მონოტონური ტიკტიკით არღვევდა.

გათენებული არ არის, დიასახლისი ღუ-მელთან ფუსფუსებს, ვლგები, ფეხსაცმელს ვიცვამ, დაგლევაილ ქურქში მკლავებს ვუყრი და წასავლელად შნად ვარ.

დიასახლისი ვემშვიდობები, ვეკითხები, მეზობელ სოფელში, ან იქ, სადაც ოლია გრიბოედოვა ცხოვრობს, გერმანელების კომენდატურა ხომ არ არის.

დიასახლისი მამშვიდებს:

— ფოსტის გზაზე გერმანელთა მანქანები მოძრაობები, მაგრამ მათ თავიანთი საქმე აქვთ, და არ გამიგია, რომ ვინმეს ერჩოდნენ.

ოლიასთან მიდი, ჩემგან მოკითხვა გადაეცი და მერე, საქმე თვითონ გიჩვენებს, — მარი-გებს დიასახლისი.

— უკვე მიდიხარ, თბილისში თუ ჩაღწიე, წერილი მოიწერე, — ნახევრად დაცინვით, ნახევრად სერიოზულად მეუბნება სახლის პატრონი და გზას დამილოცავს.



ძველი სახლი სოფელზე ტერიტორიაში

კეთილ მასპინძლებს მაგრად ვარომევ
ხელს და ქუჩაში გავდიგარ. უკანმოუხედავად
მივყენები გზას.

სამი თუ ოთხი საათის სიარულის შემდეგ
სოფელი ნოსოვიჩიკ გამოჩნდა.

ოლია გრიბოედოვას სახლი სოფლის
ბოლოშია.

სოფლის ერთადერთ ქუჩას მივუყვები. მნასფალტებულ გზაზე გერმანელთა სატვირთო მანქანები კანტიკუნტად მოძრაობენ, თავის გზით მიღიან. შიში თანდათან ქრება. ყურადღებას არავინ მაქცევს, ჩანს, ადგილობრივი მცხოვრები ვგონივარ, ჩემთვის არ სცალიათ, თავიანთი საჭმე აქვთ.

სუსხიანი ქარი უბერავს, ნაცრისეფერი
ცა ბურღულის მაგვარ თოვლს ცივად და
შრალად ფანტავს. შუადღ ახლოვდება.
საგრძნობლად დამღალა შეუსვენებელმა
სიარულმა. გულის კოჭათან სიცარიელის
გრძნობა მატულობს. შშია...

— ვნახოთ, ვინ არის ოლია გრიბოედოვა?
ცოტა შევისვნებ, უგებ დავნაყრდე კიდეც და
მერჯ ვნახოთ!..

აგერ ოლია გრიბოედოვას სახლიც... ხის
მორებით ნაგები, ჩვეულებრივი ბელორუსუ-
ლი, უკვე საკმაოდ მოძველებული სახლი,
შემოუღობავი ეზოთი. შორიდანვე ეტყობა
— მამაკაცის ხელი აკლია. მეზობელ ეზო-
ში გერმანელთა სატვირთო მანქანა დგას.
სახლიდან გერმანელი ჯარისკაცი გამოდის
და რადიატორში ცხელ წყალს ასხამს. ეს არ
მომწონს. ეტყობა, გერმანელებს აქ დამის
გასათვავი მოუწყვათ. მათ გვერდით ცხოვრება
როგორი ამბავი იქნება ჩემთვის! ეს იგივეა,
თხამ მგლის ბუნაგის გვერდით დაიდოს ბინა.

გერმანელი არავითარ ყურადღებას არ
მაქვთება — მანქანას ამზადებს წასასეგლელად.

შევდივარ ეზოში, კარხე გაუტელავად
ვაკაცუნებ. ვდგავარ... სახლიდან ჩამიჩუმი
არ ისმის, უფრო მაგრად ვარაუნებ. ისევ
არავინ მიღებს კარს. სახლის წინ დიდ ხანს
დგომა არ ივარებს — შეიძლება გერმანელი
ჯარისკავის ყურადღება მივიძყო.

შინაურივით ვაღებ კარს. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში შევდიგარ.

— კან არის? — საიდნენაც მაღლიდან ქალის ხმა ისმის, ღუმლის ზემოდან ახალგაზრდა ქალის გაჩერილი თავი ჩნდება. ვხვდები — ეს უნდა იყოს სწირებ ჩემი საცოლე, — ოლია გრიბოედოვა. თავი ისევ იმალება და იმავ წამს, ვნების მომგვრული, ქალის ათქევირებული თეთრი ბარძაფები პაურში ეკიდება.

იატაკზე ჩამომხტარი, ნამდინარები ქალი დიდრონი ცისფერი თვალებით, თავიდან ფქება-ძამლე მშენრავს.

— მე თქვენმა მეგობარმა — აი, მეზობელი
სოფლიდან, თქვენთან მომასწავლა...

— აა! ფენიამ, გაიხადეთ, დაჯექით, დაის-კვნეთ...

ვჯდები... უხერხულ სიჩუმეს ჩვილი ბავშვის ტირილი არღვევს.

ტირილის ხმა დუმლის გვერდით, ჭერ-

ზე ოკით ჩამოკიდებული ყეთიდან ისმის. ოლია იქითკვნ მიდის, მე თვალს ვაყოლებ. მის კასერზე მოზრდილი, ყვითელთავანი მუწეული იქცვას ჩემს ყურადღებას. „ვინ იცის რა სჭირს?“ – გულში ცუდი ეჭვი იღვიძებს. ოლია უხალისოდ არწევს ჩამოკიდებულ

აკვანს, თან კითხვას კითხვაზე მაძლევს —
ვინ გარ, საიდან, რას ვაპირებ?

— წინ გრძელი და ცოვი ზამთარია, მე მარტო ვარ პატარა ბავშვის ანაბარა, — ნაღვლიანად ამბობს იგი, — შეშის მომტანიც კი არავინ მყავს. ვინმე რომ გამოჩნდებოდეს... იგი უეცრად ჩუმდება, თავს ხრის და შუბლის ქვევიდან რაღაცნაირი, მოთენთილი თვალებით მიყურებს. ისევ უხერხული სიჩუმე... საოცრად შებოჭილად ვგრძნობ თავს...

გცდილობ სასაუბრო თემის გამონახვას, მაგრამ არაფერი გამოდის. ვერა და ვერ აწეშო ჩვენი საუბარი. ეტყობა, ოლიასაც დაუფლა გაუბედავობა და უხერხულობის გრძნობა. ჩუმად და ანგარიშმიუცემლად არწევს აკვანს, თუმცა ჩვილს კარგა ხანია სინავს.

მოული არსებით ვგრძნობ — ოლია რაღაცას ელის, ელის ან სიტყვას ან მოქმედებას. მე თითქოს ენა მუცელში მაქვს ჩავარდნილი, იდიოტვით კრიჭაშეკრული ვზივარ და ჭერში ვიყურები.

ერთბაშად ვიღებ გადაწყვეტილებას — გამოვემშვიდობო აშ ბავშვიან ქალს და გზა განვაგრძო.

— რა გეტქარება, — უხალისოდ და გულ-გატებილად მუცენება ოლია, — დარჩენილი-ყავი, მიგეხდ-მოგეხედა...

— არა, მე წავალ, უკვე დროა...

— გესაუზმა მაინც, — გაუბედავად მეუბნება.

სასწრავოდ ვემშვიდობები, ოლია ხელს მა-გრად მართმევს, ხელი ცხელი და ფაფუკი აქვს.

ქარი გაძლიერებულა, მშრალ თოვლს ჰაერში ატრიალებს. მივდივარ სამხრეთის სკონ, რამდენიმე ბელორუსული სოფელი მაქვს გასავლელი, მერე კი უკრაინა იწყება.

დაკონკილი, ასგან გახული საცალი მაცვია, მცივა, ქარი რბილსა და ძვალში მივლის. გათოშილ ხელებს ჯიბებში ვიწყობ და, უკვე კი არ მივდივარ მივბარბაცებ. მშია... შუაღლე გადავიდა, ჩემს პირში კი ლუკა არ ყოფილა. ვნანობ, თავებედს ვიწყვლი, ვწყვლი მამაკაცურ სიამაყეს. რა იქნებოდა, ვითომ საპატარძლოსთან რომ მეჭმა.

გზას მარჯვნა მხარეს ბექობზე რაღაც შენობაა. კამლი ამოდის. იქითკნ მოვლასლა-სებ. კვამლის სუნი მადას აღიზანებს.

კარზე მორიდებულად ვაკაკუნებ. სახლიანან, პატარა ტანის, შუახნის კაცი გამოდის. ჩუმად მათვალიერებს. პატარა მჩხვლეტავი თვალებით. მათვალიერებს დამცინავად, ცოვა და მტრულად.

— რაო? — ხმაში გაბოროტებაა.

— პურის ნაჭერი ხომ არ მოგემებნებათ?

— გერმანელები შემოუშვი... იმათთან მიდი, ისინი გაჭმევენ. დიალოგი ამით მთა-ვრდება. წელმოწყვეტილი, თავზაქინდრული განვაგრძობ გზას.

ცოვი ქარი თოულს სახეში მაყრის. „მაინც რამ გააბოროტა ასე ეს კაცი, რამ დაკარგვნა სიბრალულის გრძნობა? ან არადა, ჩემგან რა უნდა, განა მე, მარტო მე შემოუშვი გერმა-ნელები?! მე რა შეაში ვარ?“ — ვივერობ და გულში ეჭვი ისაღეურებს, თითქმის ვნანობ, რომ ზედისძედ არ დატრჩი ოლია გრიბოედოვასთან.

მყუდროება, ღუმლის თბილი აგურები, ახალგაზრდა ქალის ათქეირუბული სხეული.

ცხელი ბორშჩი, სიწყარე, ყოველდამე ჭირზევშ ძილი. ამ ყველაფერს ხელი ვკარი და უსახლკა-როდ ხეტიალზე, ქარსა და ყინვაზე გაფცვალე!

იმ გაბოროტებულ კაცთან შეხვედრამ გუ-ლი ჩამითუთქა. მომავლის რწმენა წამართვა....

უსახლკარო, ნაცემი ძალლივით, კუდამო-ძებული მუყვები გზას. დაბინდებამდე სოფელ ტერქოუგამდე უნდა მივაღწიო. შეიძლება იქ გამიღიმოს ბერდა — ღამის გასათვიც ვიშოვო და საჭმელიც. უიმედობას ისევ იმედი ცვლის.

ტერქოუგა უკანასკნელი ბელორუსული სოფელია. მერე უკრაინა იწყება. უკრაინა მდიდარია, პური მაინც ექნებათ, თორებ ბე-ლორუსიაში კარტოფილის მეტი არაფერი აბადიათ. კარტოფილისგან პურისმაგვარ კვერებსაც კი აცხობენ და იმით გააქვთ თავი. თვითონაც არაფერი აბადიათ და შენ რას გაჭმევნ! სამხრეთში ჯერ კიდევ შემოღომაა, იქ უფრო ეთბილება კიდეც — თუ გაჭირდა, კაცი მინდორშიც გაათვეს ღამეს.

— წინ! — ვეუბნები საკუთარ თავს და ნაბიჯს ვუმატებ.

სოფელი ტერქოუგა დღეს
რეინიგზის სადგური





გერმანულები დანგრულ ტაძართან როგორუგზა
(გომელის რაიონი, 1941 წ.)

ბინდდება... სოფელ ტერქოუკაში შევდივარ. პირველივე სახლში დამის გათვაზე უარით მისტუმრებენ, თუმცა კარგად გამომაძრეს.

ისევ გამახსნდა ოლია გრიბოედოვა... ვნანობა... შევძლებ კი ფრონტის ხაზზე გადასვლას, და საერთოდ დავწერი გერმანულებს, რომლებიც უკვე მოსკოვის მისადაღომებთან არიან? კაფკასიონის მთებამდე, საქართველომდე კი ფანტასტიკურად გრძელი მანძილია გასავლელი.

თითქმის მოელი სოფელი გავიარე, მაგრამ დამის გასათვავი ვერ ვიშოვე. ყველას ეშინია. კედლებზე გერმანელი კომენდანტის ბრძანებაა გაკრული: მოსახლეობას ეკრძალება უცხო პირთავის თავშესაფრის ძიცება. ამ ბრძანების დამრღვევთ სასტიკი საჯელი ელით, როგორც პარტიზანთა ხელის შემწყობთ. მათ სახლ-კარს ცეცხლს უკიდებენ, ხოლო ოჯახს ტანკსაწინააღმდეგო თხრილებში ხვრეტენ.

ბოლოს და ბოლოს, ერთი დარიბული ქოხის კარი იღება ჩემთვის, სახლიდან 35-40 წლის შავგვერუმანი ქალი გამოდის, მას თხელი, შავთვალწარბა სახე აქვს. გული შემიქანდა —

„ნუოუ ქართველია?“ — მან ნაღვლიანი თვალებით ამაფალიერ-ჩამათვალიერა და მითხრა:

— ჩემ მამაკაცი არ გვყვავ სახლში, მე ვარ და ჩემი ორი ქალიშვილი, ჩემთან დამის გათვა უხერხულია.

ღამდება... ეს უკანასკნელი იმედიღა... არა-და ცვ დამეში, ღია ცის ქვეშ დარჩენა მელის.

— არაფერს დაგიშვებთ, გინდათ შემკარით, თოკი ხომ გაქვთ სახლში? დილამდე გაუნდრევლად გვდიდი, საღმე კუთხეში.

ჩემს სიტყვებზე ქალს ნაღვლიანად ეცინება.

— კარგი, შემოდით, ადამიანი ორჯერ არ იძალება, არც ორჯერ კვლება. ჩემი მასპინძელი გულთბილი და კეთილი ადამიანები აღმოჩნდნენ. ქალი ებრაელი იყო, ბელორუსიელზე გათხოვილი. ორი ანგელოზით გოგონა ჰყავდა. ორივეს შავი ხუჭუჭა თმა, შავი წარბები და ცისფერი თვალები ჰქონდა. ეტყობა, მამის თვალები და დედის თმის ფერი გამოჰყოლოდათ. უფროს საშუალო დაქმთავრებინა, მეორე კი მეცხრე კლასში გადასულიყო.

ბაგშეები ღვემლის თავზე მიძვრუბიან დასაძინებლად... ზემოდან თავები გადმოჰყვეს და ცნობისმოყვარეობით, შავ წარბებს ქვემოდან ცისფერი თვალებით მათვალიერებენ.

— როგორ აგირია ცხოვრება ჰიტლერმა!

— ჩიოდა დიასახლისი — როგორც იყო დწყნარდა ცხოვრება. მიუწევით კიდეც ახალ ყოფას და უცებ ისევ ყველაფერი აირია, წლობით, წვითა და დაგვით აშენებული, ერთ დღეს დაინგრა... საშუალო სკოლა გაუშეს გერმანულებმა — ამის შემდეგ მხოლოდ ოთხლასიანი სკოლები იქნება. ჩემი უცცროსი გოგო დამრჩა გაუნათლებელი და ვეღარც უფროსი შევა უმაღლესში.

— ეს კველაფერი დროებითა, — ვანუგეშებ მე.

— დროებითი... ფიქრში წასული მიპასუხებს დიასახლისი — შეიძლება დროებითიცაა, მე და ჩემი შეიღები კი ვეღარ მოვესწრებით...

სოფელში ყველაბ იცოდა, რომ ეს ქალი ებრაელია; მართლია, ბელორუსიელზე იყო გათხოვილი, მაგრამ ჰიტლერულები არც ასეთებს ინდობდნენ; თვითონ დიასახლისმაც ეს კარგად იცოდა და შვილების მომავალი აწუხებდა.

ერთ დღეს, ვინ იცის, ჩენც მოგვიხდება ტანკსაწინააღმდეგო თხრილში ჩაწოლა... ჩურჩულით მითხრა დიასახლისმა და თვალი გოგონებისკენ გააპარა, რომლებსაც უკვე ღუმლის თავზე უდარდელად ჩასძინებოდათ.

— აი, შენ შეიძლება გმწყინა კიდეც, რომ

დამის გასათევად სახლში არ გიშვებდი... განა მართლა შენი გვეშინოდა... რა გვაქვს, რა უნდა წაიღო? არც აგაზაკს ჰგავსარ. გერმანელების მეშინია; არა!.. მე კი არ მეშინია — ბავშვები მეცოდება... რომ გაიგონ, დამე გაგათვინე, სახლს გადამიწვავენ და ჩვენც ზედ მიგვყოლებენ... მაგრამ რა ვქნათ, ვებ, ჩემს ქმარსაც შენსავით უჭირს — შეიძლება, მასაც მისცა ვინმებ თავშესაფარი!..

ის დამე შფოთიანად გაგატარე. თვალწინ ეს უმანკო ქალიშვილები მედგნენ, რომელიც სიკვდილი ელოდათ, მხოლოდ იმიტომ, რომ დედა ებრაელი ქალი ჰყავდათ.

დილით ადრე ავდექა, მნიდოდა შეუჩნევლად გავპარულიყავი, მაგრამ დიასახლისძა სანამ არ დამაპურა, სახლიდან არ გამიშვა.

არასოდეს არ დამავწყდება მისი ნაღვლიანი თვალები და სიტყვები, რომელიც მან გამომშვიდობებისას მითხრა:

— თუ რამე გაწყენინეთ, გვაპატიე. ხომ იცი ანდაზა: ტანსაცმლის მიზედვით იღებენ სტუმარს და ჭკუის მიზედვით აცილებენ.

ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ბელორუსის მიწა-წყალი დავტოვე და უკრაინის თვალუწვდენელ ტრამალებში შევაღი ფქი. დეკორაციასავით უცებ შეიცვალა გარემო.

უკან დამრჩა ბელორუსის ტყებითა და ჭაობებით დაფარული, ოქროსგერი ქვიშა-მიწა, წინ უკიდვეანო ტრამალები გადაიშალა.

ყოველდღე 40-50 კილომეტრამდე გავდივარ, მივდივარ შეუჩნებლივ. მივდივარ შარა გზებით, ხუტორიდან ხუტორამდე, ვერიდები რაიონულ ცენტრებს, დიდ სოფლებს, სადაც შეიძლება კაცი გერმანელებს წაწყდეს. სიარულისგან ცერა თითების სახსრები მტკიცა. ყოველი ნაბიჯის გადადგმა წამებაა, მაგრამ მე მაინც კბილს კბილზე ვაჭრ და განვაგრძობ გზას. რაც უფრო სამხრეთისკენ მივდივარ, სულ უფრო უკან იხევს ზამთარი. წინ ისევ შემოდგომაა — მწვანე ხეები, მწვანე მინდვრები. ესეც დიდი შედაგათა. როცა ღამის გასათვეო ბინა არ მაქვს, მინდორშიც იოლად ვიძინებ, — მნაში ან მიტოვებულ სოფელში.

ხშირად მაგონდება ბარათაშვილის სიტყვები:

„სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;

მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცო გულისა მე საიდუმლო!“

მართლაც, რამდენჯერ ტრიალ მინდორ-

ში შემოღამებულს, დამე ნამჯის ბულულის თავზე გამოოფება. ავმდვრალვარ ზევით, სურნელოვან ნამჯაზე და ცის სიღრმეში მოკიაუე გარსკვლავებისთვის მიმიბჯვნია თვალები. ეს გარსკვლავები საქართველოსაც დაპყურებენ, საქართველოშიც კიაფობენ. რა მახლობელი და შორეული იყვნენ ისინი ახლა ჩემთვის.

გერმანელები უკვე მოსჯვის მისადგომებთან არიან, ფრონტი ისე სწრაფად მიიწვეს აღმოსავლეთისკენ, რომ მისი დაწესებულებისტიკურად მეჩვენება. კავკასიასთან კა შეაჩერებენ მტერს (თუ თურქეთიდან ან ირანიდან არ შემოიჭრხნენ), მაგრამ კავკასიამდე 2000 კილომეტრამდეა ფქით გასავლელი, მყოფა კი ენერგია ამ მანძილის გადასალახად? მაგრამ თავს რუსთაველის სიტყვებით ვიმჩნევებ: „ბედი, ცდა და გამარჯვება დამტერთსა უნდეს მო-ცა-გხედების“.

უკრანის მიწაზე ჯერჯერობით, სრული ანარქიაა. ფრონტი ისე სწრაფად ინაცვლებს აღმოსავლეთისკენ, რომ გერმანელები ვერ ასწრებენ თავისი „ახლი წესიგის“ დამყარებას. მთელი რაიონებით თვეობით უხელისუფლებოდ არიან დარჩენილი. რა ხელსაცრელი პირობებია პარტიზანული მოძრაობის გასაშლელად! მაგრამ, ეტყობა, ამ მხრივაც მოუმზადებელი შევხვდით ომს.

პარტიზანების შესახებ ჯერ ჩამიჩუმიც არ იმის. მიმწენდა მარტოს ხეტიალი, ნეტა სადმე წვეწყდებოდე პატარა რაზმს მაინც, მხოლოდ ერთხელ მოგარი თვალი ცხენოსანთა ჯგუფს.

გულიაიპოლეს გვერდს ვუკლი. ვიცოდი, რაიონის ცენტრში გერმანელთა კომენდატურა იყო.

(გაგრძელება იქნება)



სანდრო ბოტიჩელის ტილო

საკანონრდი ჟურნალი „კანუსელისგან“

უფრო მეტ სამუშაოდა, ყინულინიდან, თავადაცხად და სამუშაოების ამიტი თავისუფალის გამოწვევის ფრინვლიდან

3. ქადაგის სერელის ავტომატიკა, ჩანს უძალენობა.

4. ჰელიკონის დადაქალაქი

7. თავისუფალი ფორმის ნარკები

1. ქლედიანი ღრმა ჩეფი

2. მაულიანინიელი რეგისაბა

5. ანდამატი

6. წიწვეუნი ჩეფი

8. ზანცისა და ოფიციანის შეილი

9. ამერიკანის ფიზიკის გრენჯ ულარე ...

10. ბელგიურ-ლი ნაუკინი-ბილეკი

11. გერმანის მოწაფე

12. ტროპიკული ნილი

13. „ჩინარას“ აუტორი

14. ცხინის ბეჭი

15. კუჯა კამერი

16. აშშ-ის შტატი

17. სასიმინდე

18. ნოტიოთ ჩანარებული ფესტივალი

19. წაბლის ცენტრი ცხინი

20. ფრანგი მამლერაციის მირები ...

21. მოდერნი ... ქაბეტ-ლის ხელი

22. მაკმარი-ანთა დამტერია

23. მოკარი არტერია

24. ფრანგი დრამატურგი ქაბ ...

25. პოლფე-ლის შახ ... ფანსი


26. თეობრის დეკლი

წინა ნომერში გამოვლენებული სკანონრდის პასუხები:

1. ამარი; 2. რეგერანსი; 3. ნიკე; 4. ვენა; 5. ამირი; 6. ძოღიარებელი; 7. არხოლდ; 8. ორთავ; 9. ნეკა; 10. სენა; 11. იან; 12. რომანი; 13. ნუ; 14. ანდორა; 15. ერუსა; 16. დაფნა; 17. „ოლიადა“; 18. ზურა; 19. იმოლა; 20. ხაო; 21. მეფი; 22. დაფინო; 23. ექი; 24. დეა; 25. არადანი; 26. დანტე. სურამიშვ: ანა ბოლგინი.

ქართველი მეფები

პატრონი და მსახური ეპეყნისანი



:ქართველები



გაზიარებულ „კვირის პატრონატიან“ ენთაღ
ისტორია, რომელიც ქვიჩვასია!

გამოდის
თვეში ერთხელ

იკითხეთ წიგნის მაღამიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე:

0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგართოთ.



Palitra.L.Publishing www.palitra.ge

კლასიკოსები ბავშვებისთვის


ის, რძსაც არ ეღობით!

უდიდესი მწერლების შედევრები ბავშვებისთვის
12 ავტორი - 12 წიგნი



სპეციალური
ფასი 13⁵⁰ლ
გაგეთთან
ერთად 15ლ

ლევ ტოლსტოი, ვინჭინია ვულფი, ჭავჭავაძე, ლონდონი, უილიამ ფოლკნერი, ოსკარ უაილდი, ტოლკინი...



თვეში ერთხელ გაგეთ „პირის პალიტრასთან“ ერთად

იქითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში

ან ლარვეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674

და www.elva.ge თქვენის სასაჩველ ადგილზე მოგარიშეთ

